

პირადი უფლებების დაცვა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2021, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2021, №1

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2021, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

უურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

სამიჯული

პირადი უფლებების დაცვა 4; 17; 43; 59; 70; 82; 99; 124; 134

პირადი უფლებების დაცვა

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-569-540-2014

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების
უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ჟურნალ „რ-ის“ (შემდეგში – ჟურნალი) 09.07.2012 წლის 28-ე ნომერში დაიბეჭდა ც. შ-ას (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი) ინტერვიუ, რომელშიც მან ბ. კ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, კასატორი) შესახებ განაცხადა: „მისი პატივი და ღირსება ერთი გახვერტილი თეთრიც არ ღირს. ძალიან მრცხვენია, რომ ამ ნაძირალა არაკაცს ჩემი ქმრის სახელი ერქვა“.

2. 2012 წლის 7 სექტემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

– მოპასუხისათვის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის დავალება ინფორმაციის იმავე საშუალებით და შემდეგი ფორმით – „სიცრუეა, რომ მოსარჩელის პატივი და ღირსება ერთი გახვერტილი თეთრიც არ ღირს. სიცრუეა, რომ მოსარჩელე არის ნაძირალა არაკაცი“;

– მოპასუხისათვის ზიანის – 5000 ლარის დაკისრება;

– მოპასუხისათვის მკურნალობის ხარჯების – 1470.36 ლარის დაკისრება.

3. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული სადავო ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ცრუ ინფორმაციის გავრცელებით კი, მოსარჩელეს პატივი და ღირსება შეეღახა. ამასთან, მოპასუხესთან არსებულმა დავებმა მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა, მოსარჩელეს დასჭირდა საავადმყოფოში მკურნალობა და მნიშვნელოვანი თანხის გაღება.

4. მოპასუხემ მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მოპასუხის მტკიცებით, ინტერვიუში არსებული სადავო ფრაზები საკუთარი აზრის გამოხატვა, შეფასე-

ბა იყო, რომელიც არ სცილდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

5. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი წარადგინა მატერიალური ზიანის – 355 000 რუსული რუბლის ეკვივალენტი ლარისა და მორალური ზიანის – 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოთხოვნით. მისი მტკიცებით, მოსარჩელესთან თანაცხოვრების პერიოდში ამ უკანასკნელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ჯანმრთელობა დაუზიანდა, დაუქვეითდა შრომის უნარი. მოპასუხემ განიცადა როგორც ფიზიკური ტკივილი, ისე მორალური ტანჯვა.

6. მოსარჩელემ შეგებებული სარჩელის მოთხოვნები არ ცნო, ამასთან მიუთითა, რომ ამ მოთხოვნებზე სასამართლომ უკვე იმსჯელა, რის გამოც შეგებებულ სარჩელზე წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

– მოსაპუხეს დაევალა 2012 წლის ჟურნალის №28 გამოცემაში (გვ. 38) მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გამოცემული ჟურნალის პირველივე ნომერში შემდეგი ფორმით: „მოსარჩელის პატივი და ღირსება ერთი გახვრეტილი თეთრიც არ ღირს, მოსარჩელე არის ნაძირალა არაკაცი – არ შეესაბამება სინამდვილეს“;

– მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

– შეგებებული სარჩელი, მოპასუხისათვის მორალური და მატერიალური ზიანის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

8. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდეგში კონვენციის) მე-10 მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) მე-18, 408-ე, 413-ე მუხლები და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში სპეციალური კანონი) პირველი, მე-3 მე-4, მე-9, მე-13, მე-17 მუხლები.

8.1. სასამართლომ მიუთითა, რომ 2009 წლის 6 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაევალა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა ჟურნალში. მითითებული გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად 2012 წლის 18 ივნისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული ვალდებულების შესრულებისას, მოპასუხემ კვლავ შელახა

მოსარჩელის პატივი და ღირსება, საჯარო შეურაცხყოფა მიაყენა მას.

8.2. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა: ა – მოპასუხის მიერ მის შესახებ შეურაცხმყოფელი განცხადებების გავრცელება და ბ – აღნიშნული განცხადებებით, მისი პატივისა და ღირსებისათვის ზიანის მიყენება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ორივე გარემოება დაამტკიცა, კერძოდ: მოპასუხემ საჯაროდ გაავრცელა განცხადება და მის მიერ მოსარჩელეზე გავრცელებული ინფორმაცია ზიანის მიმყენებელი და სახელის გამტეხი იყო ამ უკანასკნელისათვის, ლახავდა მის პატივსა და ღირსებას.

8.3. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მან გამოხატა თავისი აზრი და მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები არ გაუვრცელებია. სასამართლომ განმარტა, რომ მაშინაც კი, როდესაც განცხადება „შეფასებით მსჯელობას“ წარმოადგენს, ჩარევის თანაზომიერების შეფასება შეიძლება, დამოკიდებული აღმოჩნდეს იმაზე, არსებობდა თუ არა შესაბამისი სადავო განცხადებების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება, გადაჭარბებულად ჩაითვალოს, თუკი იგი არ ემყარება საკმარის ფაქტობრივ საფუძველს. სასამართლომ მითითებით, გავრცელებული ფაქტები საზოგადოებამ აღიქვა რეალობად, მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ აღნიშნული განცხადებების გავრცელებას მოჰყვა მისი დისკრედიტაცია, მოსარჩელე უარყოფითი კუთხით წარმოჩნდა საზოგადოებაში. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული გამოხატვამები შეიცავდა მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს.

8.4. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მან განიცადა მორალური და მატერიალური ზიანი. 2010 წლის 22 სექტემბერს მოსარჩელე კლინიკაში მოათავსეს, ჩაუტარდა სამედიცინო პროცედურები, რაშიც 1470.36 ლარი გადაიხადა, თუმცა არ დგინდება, რომ ეს მოპასუხის მოქმედებამ გამოიწვია. სადავო ინტერვიუ მოსარჩელის ავადმყოფობიდან ორი წლის შემდეგ, 2012 წელს გამოქვეყნდა. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხის ქმედებით.

8.5. მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეგებებული სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ ეს მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს გადასახდელად დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება – 5000 ლარი. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, დაუშვებელია იმავე მოთხოვნის ხელახლა განხილვა.

8.6. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, მოპასუხემ წარმოადგინა სამედიცინო კლინიკის მიერ გაცემული 2009 წლის 17 ნოემბერს ცნობა, რომლის საფუძველზეც იგი 355 000 რუსული რუბლის ანაზღაურებას მოითხოვდა. მასზე 2012 წლის 3 აპრილის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უკვე იმსჯელა და განმარტა, რომ არ დგინდებოდა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის.

9. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის, ხოლო შეგვებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

9.1. აპელანტის მტკიცებით, სასამართლოს მითითება, რომ უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის განჩინებით საკასაციო სასამართლომ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელის ქმედებასა და შედეგს შორის, არასწორია. პირიქით, უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მტკიცება, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით მოპასუხემ, როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივ-ფსიქიკური ტანჯვა განიცადა, ვინაიდან ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა უარყოფით გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე, მით უფრო, განზრახ და ძალის გამოყენებით.

9.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება იყო ცილისწამება, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, რომ ამით მას ზიანი მიადგა, პატივი და ღირსება შეელახა, სახელი გაუტყდა. მოსამართლე ზიანის (სავარაუდოდ, მორალურის) მიყენებაზე მიუთითებს, თუმცა კი, საბოლოოდ, ყოველგვარი ზიანის მიყენების ფაქტს უარყოფს.

9.3. ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტი სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელებაა. შესაბამისად, მოსარჩელეს, უპირველესად, ის უნდა ემტკიცებინა, რომ მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა ფაქტები, რომლებიც არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება. აპელანტის მტკიცებით, შეფასებითი მსჯელობა ცილისწამებად არ მიიჩნევა. სადავო გამონათქვამები ცალკე აღებული შესაძლოა, შეურაცხყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ სტატიის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს გამონათქვამები უნდა შეფასდეს როგორც მოპასუხის მიერ საკუთარი შეხედულებების მკვეთრი (უხეში) ფორმით გამოხატვა, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელის შეფასება

ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი ღირსეული, პატივსაცემი პიროვნება არ არის.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

– გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

– მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მოპასუხეს დაევალა ჟურნალის 2012 წლის №28 გამოცემაში მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებით.

10.1. პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა მტკიცებულებები, რომელიც მოპასუხე მხარის მიერ მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებას დაადასტურებდა. სასამართლოს განმარტებით, პატივი გულისხმობს პიროვნების მორალური თუ სხვა ობიექტური თვისებების შეფასებას საზოგადოების მიერ, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულებას სხვათა მიმართ, ხოლო ღირსება მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებაა თავად პიროვნების მიერ. პატივისა და ღირსების შელახვა გულისხმობს ისეთი ცნობების გავრცელებას, რომელიც შეიცავს პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევას. ცილისწამების შემთხვევაში, უნდა გავრცელდეს კონკრეტული ფაქტი. ამასთან, ინფორმაციის გამავრცელებელი პირი არაორაზროვნად უნდა მიუთითებდეს, რომ განცხადებაში აღწერილი ფაქტი შეესაბამება სინამდვილეს.

10.2. სასამართლოს დასკვნით, მოპასუხის განცხადება ჟურნალში შეფასებითი მსჯელობა იყო მისი ყოფილი მეუღლის მიმართ, რომელიც არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტებს. სადავო გამონათქვამების დადასტურება ან უარყოფა რაიმე ფორმით, მით უფრო, მტკიცებულების წარმოდგენით, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის განცხადება იყო მისი დამოკიდებულება მოსარჩელის მიმართ, რომელიც, როგორც მისი სუბიექტური აზრი და შეფასება პიროვნების მიმართ, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

10.3. პალატამ განმარტა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივი მსგავსებისა და მყარი ურთიერთკავშირის გამო მოსაზრებებისა და ფაქტების (ცნობების) ერთმანეთისგან ხისტი გამიჯვნა რთულია, მაინც უნდა განისაზღვროს, რომ აზრი მტკიცებას არ ექვემდებარება, რადგან მისი სისწორე თუ მცდარობა ადამიანის

პირად წარმოდგენაზეა დამოკიდებული და ის შეფასებითი მსჯელობის შედეგია. ამდენად, ნამდვილობის მტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტთან (ცნობასთან) და არა – მოსაზრებასთან მიმართებით. მოსაზრებები, თუნდაც შეურაცხმყოფელი, ნამდვილობის მტკიცებას არ ექვემდებარება.

10.4. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოპასუხემ ცილისმწამებლური, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია გაავრცელა. ვერც იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება წარადგინა, რომ ეს განცხადება მისთვის ზიანის მიმყენებელი იყო და საზოგადოებაში, ოჯახსა თუ საქმიან წრეებში მისი სახელის, საქმიანი რეპუტაციის შელახვა გამოიწვია.

10.5. პალატამ შეგებებულ სარჩელზე საქმისწარმოება შეწყვიტა, რადგან მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება გამოტანილი იყო დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რაზეც მოცემულ საქმეში აღძრული შეგებებული სარჩელი. ორივე საქმეზე დავა წარმოებდა იმავე მხარეებს შორის, დავის საგანი იყო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო საფუძველი – 2005 წლის 13 ივნისის ოჯახური კონფლიქტის საფუძველზე მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სხეულის დაზიანებით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის განჩინებით მითითებულ ნაწილში საქმისწარმოება შეწყდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტები გაუქმდა.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით. კასატორის მითითებით, სადავო გამონათქვამები რომც არ განეკუთვნებოდეს ცილისწამებას, არ ნიშნავს იმას, რომ ის პატივისა და ღირსების შემლახველი არ არის. სასამართლომ, მართალია, გამონათქვამები მოპასუხის აზრად მიიჩნია და მასზე აბსოლუტური პრივილეგია გაავრცელა, მაგრამ არ დაასაბუთა შეიძლება თუ არა აზრი შეურაცხმყოფელი და უხამსი ფორმით გამოიხატოს. კასატორის მტკიცებით, გამონათქვამები უხეშად ლახავს საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკის ნორმებს. განცხადებით მოსარჩელე შეფასებულია, როგორც პიროვნება, რომელიც საზოგადოებაში დადგენილი მორალური პრინციპების შეუსაბამოა და არ

გააჩნია პატივი და ღირსება.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხის სადავო გამონათქვამებმა მისი პატივი და ღირსება შელახა. მოსარჩელის ეს უფლებები აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით (გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად), კონვენციის მე-10 მუხლითა (ყველას აქვს უფლება, გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება, დაექვემდებაროს ისეთ წე-

სებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი-სა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად) და სსკ-ის მე-18 მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის (პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან) ჩანაწერი პატივისა და ღირსების „კანონით დადგენილი წესით“ დაცვასთან დაკავშირებით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალურ კანონს გულისხმობს. ამრიგად, არაქონებრივი უფლებების დაცვის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას მითითებული კანონი გამოიყენება.

15. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის თაობაზე, სპეციალური კანონის მე-13 მუხლს (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა) ეფუძნება (აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით მოსარჩელე მიჩნეულია კერძო პირად და ეს გარემოება საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი).

16. მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს, რომ შესრულებულია ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა, კერძოდ:

- ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
- ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
- გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.

17. განცხადება რომ მოპასუხეს ეკუთვნის, სადავო არ არის. რაც შეეხება მეორე წინაპირობას, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ განცხადება არ შეიცავს

ისეთ კონკრეტულ ინფორმაციას, რომლის დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სპეციალური კანონით მოცემულია როგორც აზრის (შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს), ისე ცილისწამების (არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება) დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. მითითებული ნორმის მიხედვით, „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამონმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება, დამტკიცებულ იქნეს, მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს (*Lingens v. Austria*; *Jerusalem v. Austria*; *Dichand and Others v. Austria*).

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3.04.2012). მოცემულ შემთხვევაში, სადავო განცხადება შეფასებითი ფორმისაა და მკითხველზე ცალსახად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის მხოლოდ რესპონდენტის მოსაზრებაა. სადავო ფრაზები არ აღწერს ობიექტურად არსებულ გარემოებას და არ შეიცავს რაიმე ინფორმაციას ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისად, მასზე ვერც სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები ვერ გავრცელდება. ამდენად, მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადავო ინტერვიუ შეიცავდა ფაქტებზე მითითებას და არა – შეფასებას (აზრს), გაზიარებული

ვერ იქნება.

19. როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა (№ას-677-638-2011, 24.09.2012) ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია. ნიშანდობლივია, რომ სადავო განცხადება არცერთ ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს. ინტერვიუს სადავო ნაწილი ფაქტობრივ ინფორმაციას საერთოდ არ შეიცავს.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამი მოპასუხის პირადი შეფასებაა მოსარჩელისა, რომელიც არც ეყრდნობა და არც ეხება ფაქტებს. სასამართლო განმარტავს, რომ ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. სადავო განცხადება სწორედ ის შემთხვევაა, როცა მასში მხოლოდ მოპასუხის შეფასება, მოსარჩელისადმი მისი პირადი დამოკიდებულებაა გადმოცემული და არც მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში არ იძლევა მისი ფაქტის კატეგორიისადმი მიკუთვნების მინიმალურ საფუძველსაც კი.

21. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო კასატორმა მოპასუხის განცხადებისათვის „ფაქტის“ სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ვერ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია. აქედან გამომდინარე, სადავო გამონათქვამები, როგორც შეფასებითი მსჯელობა, ცილისწამებად ვერ მიიჩნევა. აზრი კი, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

22. კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ სადავო გამონათქვამები შესაძლოა, არ შეიცავდა ფაქტებს და, შესაბამისად, არ იყო ცილისწამება, თუმცა აზრი გამოთქმული იყო შეურაცხმყოფელად, სუბიექტური შეფასება გამოიხატა უხამსი ფორმით, რამაც შელახა მისი პატივი და ღირსება.

23. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, მოპასუხის მიერ აზრი უხეში ფორმითაა გამოთქმული, მაგრამ მხოლოდ ეს გარე-

მოება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება. საკასაციო პალატა მიუთითებს ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმად, „აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი და პროგრესისა და ინდივიდუალური თვითრეალიზაციის მთავარი პირობაა. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების მიხედვით, სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ სასურველ, უწყინარ ან ნეიტრალურ „ინფორმაციებსა“ და „იდეებს“, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემაშვოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები, ურომლისოდაც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს (Nilsen v. Norway). აზრის გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრება „ისეთი განცხადებისა და გამოთქმის უფლებაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, აღმაშვოთებელი და შემანუხებელია“ (Castells v. Spain).

24. ამდენად, კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, კერძო პირის რეპუტაციის დასაცავად შეურაცხმყოფელი გამონათქვამების შეზღუდვა, ევროსასამართლოს მიერ, აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად ფასდება. ეს არ გულისხმობს იმას, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება ყოველთვის სარგებლობს უპირატესობით სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ან საზოგადოებრივ ინტერესებთან დაპირისპირებისას. ასეთი მიდგომა გამოხატვის თავისუფლებას აბსოლუტურ უფლებად აქცევდა, თუმცა პიროვნების შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს სასამართლოს წინაშეა მთავარი კითხვა: იყო თუ არა აღნიშნული განცხადება „გადაჭარბებული“? ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხმყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (Chauvy v France). ამდენად, შესაფასებელია გამოხატვის ფორმა და ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

25. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამი ფორმულირებულია უსიამოვნო, უხეში ტერმინებით, თუმცა მათი მიზნისა და იმ ზემოქმედების გათვალისწინებით, რაც მას საზოგადოებაზე შესაძლოა, მოეხდინა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმდენად გადაჭარბებულად, რომ გამართლებული იყოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, კერძოდ, როგორც აღინიშნა, სადავო განცხადება ჩამოყალიბებულია იმდაგვარად, რომ მკითხველზე მხოლოდ მოსარჩელის მიმართ მოპასუხის პირადი განწყობისა და დამოკიდებულების შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლო პრაქტიკაში აშკარა ტენდენციაა, რომ შეფა-

სებით მსჯელობად მიიჩნიონ სრულიად სხვადასხვა კრიტიკული განცხადებები და კომენტარები: ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ხელისუფლების მიერ მოპასუხის დევნა მომჩივნის მისამართით, ტერმინ „იდიოტის“ გამოყენების გამო, წარმოადგენდა დარღვევას, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ სიტყვის გამოქვეყნება არ იყო გადაჭარბებული მომჩივნის მხრიდან მანამდე გავრცელებული პროვოკაციული განცხადებების ფონზე (*Oberschlick v. Austria* (no.2). ასევე, ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე მოხსენიებული იყო როგორც „უცნაური“, „უზნეო“ და „უხეში“, სასამართლომ დაადგინა, რომ, განონათქვამები იყო უხეში, თუმცა კრიტიკა არ იყო გაზვიადებული და წარმოადგენდა პასუხს მის პროვოკაციულ გამოსვლაზე (*Lopes Gomes DA Silva v. Portugal*).

26. ამ მიმართებით, საყურადღებოა ისიც, რომ ევროსასამართლოს განმარტებით, როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლით გამყარების გარეშე შეიძლება, ზედმეტი იყოს (*Dichand and Others v. Austria*). მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიერ მოპასუხის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დადგინდა. შესაბამისად, მოპასუხის მოსარჩელისადმი უარყოფითი სუბიექტური დამოკიდებულება გამყარებულია გარკვეული ობიექტური ფაქტობრივი საფუძვლებით. ამდენად, მოპასუხის უხეშ შეფასებით მსჯელობას რომც არ მივანიჭოთ აზრის პრივილეგია, მაინც არ არსებობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობა.

27. გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა პირთა უფლებებისა თუ რეპუტაციის დასაცავად უხამსობის (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს) შეზღუდვა და, შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროპულმა სასამართლომ უხამსობის შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებით განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეადგენს დემოკრა-

ტიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს და მისი განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ის გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი „ინფორმაციისა“ და „იდებების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობად მიიღება ან განიხილება, როგორც უვნებელი, ან როგორც ინდიფერენტიზმის საგანი, არამედ ისეთების მიმართაც, რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხმყოფელია, აღშფოთებას იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს. ეს არის პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და სალი აზროვნების არსებითი ნიშანი, რომლის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება (Handyside v. United Kingdom; Lingens v. Austria). ამდენად, გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით, კერძოდ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას, რა თქმა უნდა, დასაშვები კრიტიკის ფარგლებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

28. მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ, კრიტიკის ვიწრო ფარგლების მიუხედავად, დავა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადანყდეს, სხვაგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდვა ხელყოფდა შეხედულებების თავისუფლების არსს, იმის გათვალისწინებითაც, რომ ინტერვიუში გამოყენებული სადავო სიტყვები ერთმნიშვნელოვნად სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული აზრის გამოხატვაა.

29. მოსარჩელემ სპეციალური კანონით დაცული უფლების დარღვევა ვერ დაამტკიცა. სადავო განცხადება სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცილისწამების შემადგენლობას არ შეიცავს. ის მოპასუხის შეფასებითი მსჯელობაა, მისი შეხედულება, დამოკიდებულება პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, რაც სავსებით თავსდება ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გადმოცემულ „აზრის“ კატეგორიაში, თავის მხრივ, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულად და უპირობოდ გათავისუფლების საფუძველია (ამავე კანონის 4.1 მუხლი და პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი). ამასთან, მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე, ვერ აკმაყოფილებს შეზღუდვის სტანდარტს.

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპე-

ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 263.4, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1011-972-2016

26 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გაზეთ „ა-ში“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გაზეთი, მედია, პირველი მოპასუხე) მ. ხ-ისა (შემდეგში ტექსტში

მოსხენიებული, როგორც პირველი მოსარჩელე) და სს „თ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ბანკი, მეორე მოსარჩელე) შესახებ გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, კერძოდ:

1.1 2014 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნდა ჟურნალისტ დ. ჩ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ჟურნალისტი, მეორე მოპასუხე, მესამე კასატორი) სტატია, სადაც მითითებულია, რომ „მ. ს-ის ფინანსური ჟანდარმი – მ. ხ-ე „ე-ის“, თავისუფლების მოედანზე მდებარე „ცე-ის“ უზარმაზარი შენობის, „ბ-სა“ და სხვა ხილული თუ უხილავი სიკეთეების მონელებისა თუ შეტყაპუნების შემდეგ „გ-ს“ მიადგა“ (სტატიაში დასახელებული სანარმოები შემდეგში ტექსტში მოხსენიებულია, როგორც სადავო კომპანიები).

1.2. 2014 წლის 17 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, მეორე მოპასუხე რესპოდენტ ზ. კ-ს უსვამს კითხვას: „თქვენ მ. ხ-ე ახსენეთ და ბარემ აქვე გკითხავთ – „გ-ის“ მეექვსე კორპუსთან მ. ხ-ემ მ. კ-ას მიტინგის ჩატარების საშუალება მართლა არ მისცა, ხელი დაარტყა და მერე მ-მა მართლა სასტიკად სცემა „თ-ის“ ახლანდელი უსტაბაში? თქვენ ამას იმიტომ გეკითხებით, რომ, როგორც ვიცი, სულ მ-ის გვერდით იყავით ეროვნული მოძრაობის გაროშრაჟზე“.

1.3. 2014 წლის 3 მარტს გამოქვეყნდა მეორე მოპასუხის სხვა სტატიაც, სადაც მითითებულია „როგორც გაზეთმა გამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მეშვეობით, ცრუ მენარმეობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება – გაფლანგვით პირველმა მოსარჩელემ და მისმა „თ. ბანდამ“ ს-ის ყოფილ ღუბერნატორსა და ელჩს – დ. მ-ეს არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილიონის ქონება. ცხადია, შენობის კანონიერ მესაკუთრეს არაფერი ჰკითხეს და ერთი თეთრიც არ გადაუხადეს.“ ამავე ნომერში ამავე ჟურნალისტის სტატიაში ავტორი აცხადებს: „დიახ, პირველი მოსარჩელისათვის 1989 წლის 18 თებერვლის მიტინგის დარბევა, რომელსაც საქართველოს ეროვნული გმირი – სულმნათი მ. კ-ა უძღვებოდა, ავ ბედისწერად იქცა... ან კი, რას იფიქრებდა მაშინდელი „გ-ის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომ-ის კომიტეტის მდივანი, რომ ქვეყანა ამოტრიალდებოდა, ქართველი ერი მ. კ-ას ეროვნულ გმირად შერაცხდა და იმ ავბედითი დღიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ ან უკვე მილიონერ პირველ მოსარჩელეს, რომელიც მილიარდერობას ეთამაშება, გაზეთი და მკითხველი მ. კ-ას მისამართით მოქნეულ ხელკეტს ცხვირში ძმრად ამოადენდა?“

1.4. 2014 წლის 21 აპრილს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია ჟურნალისტ ჯ. ხ-ას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ჟურნალისტი, მესამე მოპასუხე, პირველი კასატორი) ავტორობით, სა-

დაც აღწერილია სოფელ გ-ში მომხდარი ტრაგედია, ასევე, მითითებულია, რომ პირველი მოსარჩელე სადაზღვევო კომპანია „ჯ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადაზღვევო კომპანია) მმართველი ორგანოს წევრია და სტატიის სადავო ნაწილი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „აი, ყოველივე აქედან გამომდინარე, ძვირფასო მკითხველო, ვ-ის რაიონის სოფელ გ-ში მომხდარი შემზარავი ტრაგედია – მამის მიერ შვილის გადასარჩენად თავის ჩამოხრჩობა პირდაპირ კავშირშია მ. ხ-ესთან... დიახ, მ. ხ-ე ქართველი ხალხის ჯიბიდან ამოღებული პროცენტებით ახალისებს და ტირაჟირებას უწევს ქართველი დედის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, პატრიარქის, სინამდინეების შეურაცხმყოფელ „ლიტერატურას“, მაგრამ თვითმკვლელობამდე მიჰყავს ქართველი მამა – ახალგაზრდა კაცი, რადგან მას შვილის ოპერაციის 2 ათასი ლარით დაფინანსებაზე უარს ეუბნება...“

2. 2014 წლის 23 ივლისს პირველმა და მეორე მოსარჩელემ (შემდეგში ასევე ერთობლივად მოხსენიებულები, როგორც მოსარჩელები ან პირველი აპელანტები) დაზუსტებული სარჩელი წარადგინეს გაზეთის, გაზეთის რედაქტორის, ლ. ნ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც რედაქტორი, მეოთხე მოპასუხე, მეოთხე კასატორი), მედიის მესაკუთრის – შპს „ს-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გაზეთის ან მედიის მესაკუთრე, მეხუთე მოპასუხე, მეორე კასატორი) და სტატიის ავტორ ჟურნალისტთა წინააღმდეგ (შემდეგში ტექსტში ასევე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მოპასუხეები ან მეორე აპელანტები) და მოითხოვეს:

3.1. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის, 160 000 ლარის (პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ – 80 000 ლარის, მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ 80 000 ლარის), მოპასუხეთათვის დაკისრება;

3.2. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის გამოქვეყნება გაზეთის იმავე გვერდზე და ისეთივე შრიფტით, როგორც გამოქვეყნდა აღნიშნული (დიფამაციური) ინფორმაცია.

4. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ამ გადაწყვეტილების 1.1-1.4 პუნქტებში მითითებული ინფორმაცია ფაქტების შემცველია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, მოპასუხეები მიზანმიმართულად და სისტემატურად ატყუებენ საზოგადოებას, რაც მოსარჩელებს პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას ულახავს. ასეთი ინფორმაცია გაზეთის ოთხ გამოცემაში გამოქვეყნდა. იგი 10 000 ტირაჟით მაინც გამოდის და ერთი გაზეთის ღირებულება 2

ლარია. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება მოპასუხეებს სრული ტირაჟიდან მიღებული თანხის ოდენობით უნდა დაკისრებოდათ.

5. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია არ შეიცავს ცრუ ფაქტებს. არაერთი გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა მოსარჩელეთა წინააღმდეგ, არც მოსარჩელეთა და არც მოპასუხეთა სასარგებლო ფაქტი დადასტურებული არ იყო, შესაბამისად, მათი განცხადებები აზრის გამოხატვა, შეფასება იყო და არა – ფაქტების კონსტატაცია. ასევე, მათი მოსაზრებით, გაზეთი არასათანადო მოპასუხე იყო, მხოლოდ მისი გამომცემელი უნდა ყოფილიყო დასახელებული მოპასუხედ.

მედიის მესაკუთრემ წარდგინილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოპასუხეთა მიერ გამოქვეყნებული მასალა ეყრდნობოდა კონკრეტულ რესპონდენტთა ინტერვიუებსა და მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. ის მოვლენათა კომპლექსური გაშუქება იყო და მათზე დაყრდნობით ჟურნალისტების კრიტიკული შეფასება. მისი მტკიცებები, გაზეთისა და ჟურნალისტების ქმედებები არ სცილდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

6.1.1. მოპასუხეებს დაევალა: ა) გაზეთის მე-7 გვერდზე ამავე გაზეთში 2014 წლის 10-16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სადავო სტატიაში, გავრცელებული ცნობების უარყოფის გამოქვეყნება, კერძოდ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ ვითომ პირველმა და მეორე მოსარჩელემ უკანონოდ მისაკუთრეს სადავო კომპანიათა აქტივები. ბ) გაზეთის მე-6 ან მე-7 გვერდზე ამავე გაზეთის 2014 წლის 17-23 თებერვლის ნომრის სადავო სტატიით გავრცელებული ცნობების უარყოფის გამოქვეყნება, კერძოდ, არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ პირველმა მოსარჩელემ დაარბია 1989 წლის 18 თებერვლის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამ მოძრაობის ლიდერ მ. კ-ას;

6.1.2. მოპასუხეებს დაეკისრათ გაზეთის მე-19 გვერდზე გამოქვეყნონ ამავე გაზეთში 2014 წლის 21-27 აპრილის გამოქვეყნებული სადავო სტატიით გავრცელებული ცნობების უარყოფა, კერძოდ, რომ პირველ მოსარჩელეს კავშირი არ აქვს 2014 წლის 21 მარტს სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან.

6.1.3. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

6.2. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა ადამი-

ანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებების დაცვის კონვენციის (შემდეგში კონვენციის) მე-10 მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) მე-18 მუხლი და „სტიყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში სპეციალური კანონი) პირველი მუხლის „ე“, „ი“ ქვეპუნქტები და ამავე კანონის მე-14 მუხლი.

6.3. სასამართლოს განმარტებით, დიფამაციის საქმეებზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, გასაჩივრებული განცხადებები შეიცავდა თვალსაზრისს, კომენტარს, შეფასებით მსჯელობას, თუ მასში გადმოცემული იყო დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტები, რომელიც არწმუნებდა მკითხველს, რომ მოვლენა სინამდვილეს შეესაბამებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაზე სადავო სტატიებში მითითებული იყო გარემოებები, რაც შეიძლება დადასტურებულყო ან – არა. სასამართლომ დაადგინა, რომ სტატიები ეძღვნებოდა: 1. მენარმე სუბიექტის სავარაუდო გაკოტრებასა და მისი ქონების უკანონო მითვისებას, ასევე, პარალელებს სხვა მენარმე სუბიექტებისა თუ კერძო პირების ქონების სავარაუდო უკანონო დაუფლებას; დასახელებული იყო კონკრეტული მალაიკი თანამდებობის პირი და არაპირდაპირი ფორმით გადაცემული თანხა. 2. ქართველებისათვის თვალსაჩინო პიროვნების – მ. კ-ასთან სავარაუდო ფიზიკურ შეხებას და 1989 წელს ეროვნული ძალების მიერ ჩატარებული მიტინგის უკანონო ხერხებით დაშლას; 3. სადაზღვევო კომპანიის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის სავარაუდო შეუსრულებლობას და ამის გამო სოფელ გ-ში დატრიალებულ ტრაგედიას.

6.4. სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დაადგინა, რომ არცერთი ზემოთ ხსენებული ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ამავდროულად, სტატიები იყო ნეგატიური, ბანკი დადანაშაულებული იყო საკუთრების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში, რამაც კომერციული პირის საქმიან რეპუტაციას ზიანი მიაყენა. პირველი მოსარჩელის მიმართ წამოყენებული იყო მნიშვნელოვანი ბრალდებები, უარყოფითი ინფორმაცია, რაც გავლენას ახდენდა საზოგადოებისათვის ცნობილი პირის რეპუტაციაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი არ წარმოადგენდა პოლიტიკურ ფიგურას და მის მიმართ არსებობს გამოხატვის თავისუფლების შედარებით ვიწრო ფარგლები. შესაბამისად, სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიზანშეწონილად მიიჩნია.

6.5. სასამართლოს განმარტებით, ჟურნალისტი მოვალეა, ინფორმაცია შეაჯეროს სხვადასხვა წყაროსთან, საშუალება მისცეს პირს, რომლის წინააღმდეგაც ამზადებს რეპორტაჟს, პასუხი გასცეს კითხვებს, გააკეთოს კომენტარი და მხოლოდ შეჯერებული

და დაბალანსებული სახით წარუდგინოს ნაშრომი საზოგადოებას. როდესაც სუბიექტი დადანაშაულებულია სისხლის სამართლის დანაშაულში, აუცილებელია, ჟურნალისტი ეყრდნობოდეს გადამოწმებულ ფაქტებს, სარწმუნო მტკიცებულებებს, რაც უდავოს ხდის დანაშაულებრივი ქმედების არსებობას.

სასამართლოს მითითებით, გამოხატვის თავისუფლების მოსარგებლე ვალდებულია, იმოქმედოს ისე, რომ სხვა მომიჯნავე ღირებულებები არ დაარღვიოს და არ ხელჰყოს ადამიანის კონსტიტუციით დაცული და გარანტირებული პატივისა და ღირსების უფლებას.

6.6. რაც შეეხება ზიანს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი დაკისრებისათვის მნიშვნელოვანი იყო მედიის სახეობა, კერძოდ, მოპასუხე მედიასაშუალება ყოველკვირეული გაზეთი იყო და არა – ტელევიზია, რაც საფუძველს იძლეოდა, რომ ამ მედიასაშუალების მიმართ გამოყენებულიყო შეზღუდვის მინიმალური სტანდარტი. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა კონკრეტული მტკიცებულებებით ვერ დაასაბუთეს, გაზეთი რა მასშტაბით ვრცელდებოდა და რა ტირაჟით იყიდებოდა. ამიტომ, სასამართლომ მიუთითა, რომ იგი შეზღუდული იყო ემსჯელა ამგვარი ცნობების გავრცელებით მიყენებული ზიანის მოცულობაზე.

7. გადაწყვეტილება სააპელაციო ნუსით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხე მხარემ.

7.1. პირველმა აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

7.1.1. სასამართლოს გაზეთის გავრცელებით მიყენებული ზიანის ოდენობაზე მსჯელობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან მოსარჩელების მიერ სარჩელში მითითებული გაზეთის გავრცელების ტირაჟი (სულ მცირე, ასი ათასი) მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია. აპელანტთა მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურებაზე უარი, სრულიად დაუსაბუთებელი იყო და ეწინააღმდეგებოდა თავად ამ გადაწყვეტილებაში მოცემულ სხვადასხვა მსჯელობას.

7.1.2. სასამართლომ არ იმსჯელა კომპენსაციის პრევენციულ ფუნქციაზე, რასაც წინამდებარე საქმეში, პუბლიკაციების ინტენსივობიდან და სისტემატური ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფინანსური სანქციის არათანაზომიერებაზე მსჯელობისას, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სტატიების გამოქვეყნების სისტემატური ხასიათი: განსხვავებით ევროსასამართლოს პრეცედენტისგან, სადაც სასამართლომ

იმსჯელა „მსუსხავი ეფექტის“ ტესტზე (Erdogdu v. Turkey) წინამდებარე საქმეში ერთჯერადი ან თუნდაც რამდენიმე საგაზეთო სტატია კი არ იყო, არამედ 2014 წლის 10 თებერვლიდან დაწყებული ამ დრომდე არ გამოსულა არცერთი ნომერი, რომელშიც უარყოფით და შეურაცხყოფელ კონტექსტში არ იყვნენ მოსარჩელები მოხსენიებული.

7.1.3. პირველ აპელანტთა მოსაზრებით, გადაწყვეტილების სა-რეზოლუციო ნაწილის ფორმულირებით მოპასუხეებს შეეძლოთ, შეერჩიათ ნებისმიერი, მათ შორის, წერილი და შეუიარაღებელი თვალთ შეუმჩნეველი შრიფტი გავრცელებული ცნობების უარსა-ყოფად, მაშინ, როცა დიფამაციური სტატიები ვრცელდებოდა მსხვილი სათაურებით, ხშირ შემთხვევაში, ბანკის ლოგოსა და პირ-ველი მოსარჩელის სურათების მითითებით მკითხველის ყურად-ღების უკეთ მისაპყრობად. შესაბამისად, პირის დარღვეული უფ-ლების აღსადგენად, აუცილებელი იყო, მოპასუხეებს უარყოფე-ლი ცნობების გამოქვეყნება იმავე შრიფტით დავალებოდათ, რომ-ლითაც გავრცელდა დიფამაციური ხასიათის განცხადებები.

7.2. მოპასუხე მხარემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-უქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარ-ყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით მოითხოვა:

7.2.1. მეორე აპელანტის განმატებით, ნებისმიერ კონკრეტულ საკითხზე კონკრეტული რესპონდენტის მიერ ინტერვიუები მტკი-ცებითი ფორმით იყო მიცემული და მათ მიერ წარმოდგენილი იყო მასალებიც. ასეთ ვითარებაში, აპელანტისათვის გაუგებარია, თუ როგორ უნდა უარყოს მოპასუხე მხარემ ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულმა რესპონდენტებმა გაავრცელეს ინტერვიუებში. აღ-სანიშნავია, რომ იმავე საკითხზე სხვა საინფორმაციო საშუალების პუბლიკაცია მოსარჩელე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

7.2.2. მეორე აპელანტის მოსაზრებით, მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არსებითად მცდარ ფაქტებს შეიცავდა. მოსარჩელეს არ წარუდგე-ნია მათ მიმართ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გა-მაბათილებელი მტკიცებულებები. მოქმედი კანონმდებლობის შე-საბამისად, დაუშვებელია ჟურნალისტს საკუთარი აზრისა და პო-ზიციის გამოხატვის შეზღუდვა დაუნესდეს და ამისათვის მას პა-სუხისმგებლობა დაეკისროს.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

8.1.1. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მოპასუხის სააპელა-ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

8.1.2. გაზეთის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

8.1.3. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება გაზეთისათვის ცნობების უარყოფისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში;

8.1.4. მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

8.1.5. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში;

8.1.6. დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული ცნობების უარყოფის გამოქვეყნება ისეთივე შრიფტით, რომლითაც გამოქვეყნდა აღნიშნული (დიფამაციური) ინფორმაცია;

8.1.7. გაზეთის მესაკუთრეს, რედაქტორსა და ჟურნალისტს (მეორე მოპასუხეს) დაეკისრათ 2014 წლის 10-16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით მიყენებული მორალური/არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად, სულ – 2 000 ლარის სოლიდარულად გადახდა, აქედან, 1000 ლარი – პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო 1 000 ლარი – მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ;

8.1.8. გაზეთის მესაკუთრეს, რედაქტორსა და ჟურნალისტს (მეორე მოპასუხეს) სოლიდარულად დაეკისრათ 2014 წლის 17-23 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2 000 ლარის გადახდა, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

8.1.9. გაზეთის მესაკუთრეს, რედაქტორსა და ჟურნალისტს (მესამე მოპასუხეს) სოლიდარულად დაეკისრათ 2014 წლის 21-27 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2 000 ლარის გადახდა, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

8.2. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სტატიებში ასახული ინფორმაცია ფაქტების შემცველი იყო და ისინი არ შეიძლებოდა ავტორის მოსაზრებად მიჩნეულიყო, თუმცა, სასამართლოს განმარტებით, მოსაზრებაც თავის მხრივ რეალურ, სიმართლესთან შესაბამის, მტკიცებად ფაქტებს უნდა დაფუძნებოდა, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსაზრება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი იყო.

8.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველ მოსარჩელეს კავშირი არ ჰქონდა 2014 წლის 21 მარტს სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან. პალატამ განმარტა, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანა წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას, თუმცა საქმეზე წარმოდგენილი არ იყო განაჩენი ამ დანაშაულის პირველი მოსარ-

ჩელის მიერ ჩადენის დასადასტურებლად. განაჩენის არარსებობა კი, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ქმნიდა პრეზუმფციას, რომ დანაშაული არ ჩადენილა. პალატამ მიუთითა, რომ არც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობა არსებობდა და საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, ვინაიდან პირველი მოსარჩელე სადაზღვევო კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო და საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში მხოლოდ საბჭოზე გატანილ და საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების თაობაზე. კომპანიის წესდების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადაწყვეტა სამეთვალყურეო საბჭოსა და პარტნიორთა კრების უფლებამოსილების ფარგლებს სცილდებოდა.

8.4. პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა სადავო სტატიაში მითითებული ფაქტები, რომ მოსარჩელეებმა უკანონოდ მისაკუთრეს დასახელებული კომპანიები. სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად დადგინდად მიიჩნია, რომ ბანკმა ერთ-ერთი კომპანიის აქციათა 55% კანონიერი გზით შეიძინა, ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სანარმოს მიერ სესხის ხელშეკრულების დარღვევის გამო, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად. თავის მხრივ, ვადამოსული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი გახდა კომპანიის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მიერ კომპანიის სახსრების მართლსაწინააღმდეგო გზით მითვისების გამო. რაც შეეხება თავისუფლების მოედანზე მდებარე შენობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია უძრავი ქონების მესაკუთრე და საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცება, რომელიც დაადასტურებდა სადავო შენობის უკანონოდ შესყიდვას, საქმეში წარმოდგენილი არ იყო. პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ ბ-ს საბადოს მინერალური წყლის მოპოვება-წარმოების უფლება მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისა და მოთხოვნების დაცვით. ამასთან, ბანკი არასოდეს ყოფილა წყლის მოპოვების ლიცენზიატი კომპანიის დამფუძნებელი. პირველი მოსარჩელე კი, კომპანიის წილის ბენეფიციარი მესაკუთრე 2012 წლამდე იყო. რაც შეეხება სადავო კომპანიათაგან ერთ-ერთს, რომელიც რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფებოდა, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბანკმა მხარი და-

უჭირა რეაბილიტაციის რეჟიმის დანყებას.

8.5. სააპელაციო პალატამ მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დაადგინა, რომ სადავო სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, პირველი მოსარჩელის მიერ 1989 წლის 18 თებერვლის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგის დარბევისა და მოძრაობის ლიდერ მ. კ-ასათვის ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

სასამართლომ განმარტა, რომ ფაქტის შემცველი, მიმანიშნებელი კითხვის დასმა ფაქტზე მითითებად და არა მოსაზრების გამოსატყვად განიხილება. ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჟურნალისტის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, ცალმხრივად მიღებული ინფორმაცია გავრცელებამდე სხვა გზითაც გადაემონმებინა. იგივენირად უნდა გადაემონმებულიყო ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც, თავისი არსით, დანაშაულის ნიშნების შემცველი იყო.

8.6. სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტია ვალდებული, ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ან/და მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში მიღებული ზომები ინფორმაციის გადასამონმებლად. სპეციალური კანონის მიხედვით, მისი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ამიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით.

მიუხედავად მტკიცების ტვირთის აღნიშნული წესით გადანაწილების პრეცედენტული საფუძვლისა, სასამართლომ ამ შემთხვევაში კანონისმიერი დანაწესით იხელმძღვანელა და დაადგინა, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა გავრცელებული ფაქტების მცდარობა. პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო ჟურნალისტის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, გაავრცელოს გადამონმებული ინფორმაცია, ამასთან, აღნიშნული ფაქტები პირველი მოსარჩელისათვის პატი-

ვისა და ღირსების შემლახველი იყო, ხოლო ბანკისათვის – საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფელი, რაც იმთავითვე მორალური ზიანის დაკისრების წინაპირობას ქმნიდა. ცილისწამებისათვის პასუხისმგებელ პირებად კი, სასამართლომ ჟურნალისტი, მედიის მესაკუთრე და რედაქტორი მიიჩნია.

8.7. არამატერიალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯერებით უნდა დადგენილიყო. ამასთან, ამ ზიანის (არაქონებრივი) დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისი იყო. პალატის განმარტებით, მორალური ზიანი იმ ოდენობის უნდა იყოს, რომ მოპასუხისათვის მისი დაკისრება მძიმე ქონებრივ ტვირთს არ წარმოადგენდეს და, ფინანსური თვალსაზრისით, მისი შემდგომი საქმიანობის გაგრძელებას საფრთხე არ შეექმნას. ამ კონტექსტით, პალატამ მიიჩნია, რომ თითოეული დარღვევისათვის 2 000 ლარის დაკისრება გონივრული და კანონთან შესაბამისი იყო.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრეს იმ მოპასუხეებმა, რომელთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მოპასუხე) და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა.

9.1. პირველი კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონის იმპერატიული ნორმები არასწორად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად განმარტა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოში აქამდე არსებულ პრაქტიკას, კერძოდ, კანონის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, ანუ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მის მიმართ ცილისწამება გავრცელდა. სააპელაციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს, სირთულის გამო, გაუჭირდებოდათ ამის დამტკიცება და შინაგანი რწმენის საფუძველზე ევროპული პრეცედენტის გამოყენება გადაწყვიტა.

პირველი კასატორის განმარტებით, მართალია, კანონის მეორე მუხლის მიხედვით, იგი ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სასამართლის შესაბამისად უნდა განიმარტოს, თუმცა დაუშვებელია ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ნორმატიული ხასიათი მივაკუთვნოთ თუკი იგი სპეციალური კანონის იმპერატიულ ნორმას ეწინააღმდეგება. ამასთან, იგი სავალდებულოა მხოლოდ მათთვის, ვინც კონკრეტულ დავაში მხარეს წარმოადგენს.

9.2. სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მითითებით დაადგინა, რომ, რადგან სასამართლოში გამამტყუნებელი განაჩენი არ იყო წარდგენილი, მოსარჩელებს კავშირი არ ჰქონდათ სტატიებში მითითებულ ფაქტებთან, მაშინ, როდესაც საქმეში წამოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მათი არარსებობა. საქმეში წარმოდგენილ მასალათა ერთობლიობა ბევრ კითხვასა და ეჭვს ბადებს. ეჭვის არსებობისას კი, დავა უნდა გადაწყვედეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ.

კასატორის მოსაზრებით, კანონის არასწორი განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ საქმეებზე კანონით დაცულ უფლებათა დარღვევა ზიანის არსებობის დასამტკიცებლად საკმარისი იყო. მით უფრო, რომ საქმე საჯარო პირსა და იურიდიულ პირს ეხება. კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს მტკიცებულებები, რომელიც ორივე მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებდა.

იგი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასაც ხდის სადავოდ და მიუთითებს, რომ სწორედ იმ კომპანიამ, რომელსაც მეორე მოსარჩელე მეთვალყურეობდა თავისი ბიუროკრატიული მექანიზმის, სამსახურებრივი დაუდევრობისა თუ ზნეობრივი დანაშაულის გამო, ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

9.3. მეორე კასატორი მიუთითებს გადაწყვეტილების 9.1-9.2 პუნქტში აღნიშნულ პრეტენზიებზე და დამატებით სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ 8.4. პუნქტში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას. მისი მოსაზრებით, ჟურნალისტიკა ცრუ ფაქტი კი არ გაავრცელა, არამედ ხატოვნად გადმოსცა თავისი შეხედულება კომპანიების შექმნასთან დაკავშირებით. სტატიაში ნახსენები ფრაზები – „ფინანსური ჟანდარმი“, „ყაჩაღბანკირი“ და სხვა ჟურნალისტიკის მოსაზრება და პირადი შეფასებაა. აზრისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გასამიჯნად მასალა მთლიანობაში უნდა შეფასდეს და არა – კონტექსტიდან ამოჭრილად.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მტკიცების ფორმით ავრცელებს განცხადებას, რომ პირველმა მოსარჩელემ აქტივები უკანონოდ მიითვისა, მაშინ, როდესაც აღნიშნული ფრაზა სადავო სტატიაში არც მითითებული და არც ნაგულისხმევი არ არის. ამასთან, საყურადღებოა, რომ კვლავ მიმდინარეობს გამოძიება შენობის უკანონო მითვისების ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმეში პირველი და მეორე მოსარჩელებიც ფიგურირებენ. მოსარჩელემ მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი წარადგინა, რითაც მოსარჩელები ვერ ადასტურებენ, რომ ამ საკითხზე გამოძიება არ მიმდინარეობს. მოსარჩელეს კი არ გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ მოსარჩელე მსჯავრდებული ან ბრალდებულია.

9.4. მეორე კასატორი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ 8.5. პუნქტში მითითებულ გარემოებასაც ხდის სადავოდ და ამტკიცებს, რომ საქმეში წრმოდგენილია საგაზეთო ინტერვიუები, სადაც რესპონდენტები პირველ კასატორს ამხელენ მიტინგის დარბევასა და მ. კ-ას მიმართ ხელის აღმართვაში. ერთ-ერთმა მათგანმა ვიდეოფირიც კი წარმოადგინა, სადაც პირველი მოსარჩელე მიტინგის დარბევისას ამოიცნეს. დაკითხული მოწმეები კი, უტყუარად ვერ ადასტურებენ მიტინგზე პირველი მოსარჩელის არყოფნას. აღნიშნულ საკითხზე მასალები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთხელ გამოქვეყნდა, თუმცა მოსარჩელეს ცილისწამებაზე არასოდეს უდავია.

9.5. მესამე და მეოთხე კასატორის საკასაციო პრეტენზიები მეორე კასატორის პრეტენზიათა იდენტურია.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე კასატორთა საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დასაბუთებულია და ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. წრმოდგენილი საკასაციო საჩივრებით კასატორები აპელირებენ, რომ სადავო სტატიები შეიცავდა როგორც ჟურნალისტთა შეფასებას (აზრს), ისე ფაქტებს. ფაქტები კი, თავის მხრივ, სინამდვილეს შეესაბამება, ვინაიდან მოსარჩელემ მათი მცდარობა ვერ დაადასტურა. ამდენად, სადავო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს კასატორის მითითებას იმ საპროცესო სამართლებრივ დარღვევებზე, რასაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა. მოცემულ შემთხვევაში, კა-

სატორები მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებაზე აპელირებენ.

13. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველი მოსარჩელე მიჩნეულია საჯარო პირად და ეს გარემოება მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა. შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო პირის ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სტანდარტი, რომლის სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ანესებს სპეციალური კანონის მე-14 მუხლი (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება).

მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი:

ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;

ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;

გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა;

დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას.

ასევე, სარჩელის წარმატებისათვის უნდა გაირკვეს ხომ არ არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ, რომ განცხადება, სპეციალური კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა; უნდა დადგინდეს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პრივილეგიის მიმნიჭებული გარემოებების არარსებობა; ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა (თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა, სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის დაუდასტურებლობისა და მცდარობის გამო).

14. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიების მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი სადავო არაა. კასატორები მიიჩნევენ, რომ

გამოქვეყნებული სტატიები დაფუძნებულია რესპონდენტთა გამონათქვამებსა და ჟურნალისტთა შეფასებებზე, რაც მოპასუხეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია.

საკაცაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა ზემოაღნიშნულ მტკიცებას და აღნიშნავს, რომ ხუთივე სადავო სტატია ისეთ კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს, რომელთა დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია. ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა როგორც სპეციალური კანონის, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (შემდეგში ევროსასამართლო) პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით მათი განსხვავება შესაძლებელია.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სპეციალური კანონით მოცემულია როგორც აზრის (შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს), ისე ცილისწამების (არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელოს გამტეხი განცხადება) დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. მითითებული ნორმის მიხედვით, „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს (Lingens v. Austria; Jerusalem v. Austria; Dichand and Others v. Austria).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მი-

სი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3.04.2012). მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიებში ინფორმაცია და გამონათქვამები მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმისაა – „როგორც გაზეთმა გამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მეშვეობით, ცრუ მენარმეობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება – გაფლანგვით პირველმა მოსარჩელემ და მისმა „თ. ბანდამ“ ს-ის ყოფილ გუბერნატორსა და ელჩს ... არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილიონის ქონება. ცხადია შენობის კანონიერ მესაკუთრეს არაფერი ჰკითხეს და ერთი თეთრიც არ გადაუხადეს“. სტატია ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მკითხველზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიმე მსჯელობა ან იმაზე მინიშნება, რომ ეს მხოლოდ სტატიის ავტორის მოსაზრებაა, არ გვხვდება, პირიქით, ავტორი ირწმუნება, რომ ამგვარი ფაქტები „გაზეთმა გამოარკვია“.

ასევე, დადასტურებულ ფაქტად არის მოხსენიებული და სუბიექტურ შეფასებად ვერ მიიჩნევა პირველი მოსარჩელის მიერ მ. კ-ას ცემის შემთხვევა, – „ან კი, რას იფიქრებდა პირველი მოსარჩელე, რომ ... გაზეთი და მკითხველი მ. კ-ას მისამართით მოქმედებულ ხელკეტს ცხვირში ძმრად ამოადენდა?“ მიმანიშნებელი კითხვაც – „გ-ის“ შეექვს კორპუსთან მ. ხ-ემ მ. კ-ას მიტინგის ჩატარების საშუალება მართლა არ მისცა, ხელი დაარტყა და მერე მ-მა მართლა სასტიკად სცემა „თ-ის“ ახლანდელი უსტაბაში?“, – აღწერს ობიექტურად არსებულ გარემოებას და მასზე ვრცელდება სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები. ამდენად, კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სადავო სტატია შეიცავდა მხოლოდ ჟურნალისტის შეფასებას (აზრს) და არა ფაქტებზე მითითებას, გაზიარებული ვერ იქნება.

ასევე, 21.04.2014 წლის სადავო სტატიაში მოპასუხე პირველ მოსარჩელეს პირის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს და გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტებს, თუ რომელი ადამიანის თვითმკვლელობასთან არის დაკავშირებული, რა ფორმით არის დაკავშირებული და რა ვითარებაში მკვლელობასთან – „პირველ მოსარჩელეს ... თვითმკვლელობამდე მიჰყავს ქართველი მამა – ახალგაზრდა კაცი, რადგან მას შვილის ოპერაციის 2 ათასი ლარით დაფინანსებაზე უარს ეუბნება...“

როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა (№ას-677-638-2011, 24.09.2012) ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო

კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია. სადავო სტატიების ზემოთმითითებული ინფორმაცია ყველა ამ კრიტერიუმს აკამყოფილებს და არცერთი გადმოცემული ფაქტი არ არის მოკლებული ობიექტურ (ფაქტობრივ) სიცხადეს.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრებში მითითებულ პრეტენზიას, რომ სტატიებში ნახსენები ფრაზები „ფინანსური ჟანდარმი“, „ყაჩაღ ბანკირი“, „სულით კომსომოლა“ ჟურნალისტის პირადი შეფასებაა, სასამართლო განმარტავს შემდეგს: ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიებში, ბუნებრივია, მხოლოდ ფაქტები არ არის გადმოცემული და ჟურნალისტთა მოსაზრებასა თუ შეფასებასაც შეიცავს, თუმცა აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი (შდრ. №ას-1278-1298-2011, 20.02.2012). მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული გამონათქვამები არც მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში არ იძლევა მათი ფაქტის კატეგორიისადმი მიკუთვნების საკმარის საფუძველს. ამასთან, ევროსასამართლოს განმარტებით, როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს (Dichand and Others v. Austria). მოცემულ შემთხვევაში კი, გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით და მანერით, რომ პირველი მოსარჩელე წარმოჩინდა, როგორც დამნაშავე, რომელმაც თავი აარიდა პასუხისმგებლობას: პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა, ქონების მითვისება, ეროვნული გმირის ცემა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო კასატორმა მოპასუხის განცხადებისათვის „აზრის“ სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ვერ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია.

15. ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და მათ მოსთხოვა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების დადასტურება. სპეციალური კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, დაადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო 21.04.2014 წლის სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ პირველმა მოსარჩელემ დანაშაული ჩაიდინა – პირი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. პირველი კასატორი საკასაციო საჩივარშიც ადასტურებს, რომ პირველი მოსარჩელე სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებულია, ვინაიდან მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა კომპანიამ სამსახურებრივი დაუდევრობისა თუ ზნეობრივი დანაშაულის გამო ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ ფაქტების ჭეშმარიტების დადასტურება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებითაც რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (*Abeberry v France*). შეუძლებელია, თუნდაც სამოქალაქო საქმეზე, პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდეს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისწამებულურია. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიის წესდების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხს სამეთვალყურეო საბჭო არ წყვეტს. შესაბამისად, პირველი მოსარჩელის, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტი არ დგინდება, რის გამოც არ დგინდება ხსენებულ ტრაგედიასთან მისი კავშირი.

სტატიაში დასახელებული კომპანიების აქტივებთან მიმართებით კასატორები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტის მიერ მითითებუ-

ლი „მონელება და შეტყაპუნება“ უკანონოდ მითვისებას არ გულისხმობდა, შესაბამისად, ამ ინფორმაციის სისწორეზე კასატორები არ დავობენ. ხოლო თავისუფლების მოედანზე მდებარე ქონების უკანონოდ მითვისების ნაწილში, კასატორის მოსაზრებით, სარჩელის დაუსაბუთებლად მიჩნევის მთავარი წინაპირობა ის გარემოებაა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების გამო არ არის გადაწყვეტილი გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის საკითხი.

საქმეში წარდგენილი არ არის შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან მოსარჩელეთა კავშირს დაადასტურებდა. ასეც რომ იყოს, აღნიშნული დასტური იქნებოდა იმისა, რომ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადასტურდებოდა მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა წინააღმდეგ გამოძიება არ მიმდინარეობს, ან თუნდაც გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და საქმეზე არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, საკმარისია შეფასების გასაკეთებლად, რომ მოსარჩელემ დაძლია სპეციალური კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების (გავრცელებული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს) დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგზე ეროვნული გმირის – მ. კ-ას ცემას, სარჩელის დამამტკიცებელ მტკიცებულებად მოსარჩელე მხარის განმარტებაც უნდა განვიხილოთ, რომლის დამაჯერებლობა საფუძვლიანად გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებითაც. სასამართლოს შინაგანი რწმენა ცემის ფაქტის მცდარობის თაობაზე, მონმეთა ჩვენებებთან ერთად, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან წარმოდგენილ მტკიცებულებასაც ემყარება, რომლის მიხედვითაც მითითებულ მოვლენებზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში პირველი მოსარჩელის ახსნა-განმარტება არ ინახება.

ამდენად, კასატორთა პრეტენზია, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება, დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა და განმარტა სპეციალური კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი, (სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლე-

ბის შეზღუდვის საწინააღმდეგოდ), სწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და მართებულად დაასკვნა, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა, ხოლო მოპასუხემ ვერ წარმოადგინა საპირისპირო რაიმე მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს ფაქტების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს გაუჩენდა.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით მოხმობილ McVicar-ის საქმეს, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან პრინციპულად შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის მტკიცების დაკისრება. სასამართლომ მიუთითა Bladet Tromso and Stensaas-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მან განმარტა, რომ გაზეთის გავრცელებამდე ფაქტების შესახებ განცხადებების გადამოწმება წარმოადგენდა სრულიად ორდინარულ ვალდებულებას. ევროსასამართლოს მიდგომა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არ არის იმგვარი, რომ ფაქტების სისწორის მტკიცება ყოველთვის მოპასუხეს ეკისრებოდეს (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ტვირთის დაკისრება აზრის გამოხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას), არამედ სასამართლო მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა თავისი „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის“ შესრულება უნდა დაამტკიცოს (იხ. 19 პუნქტი).

ასევე ვერ იქნება გაზიარებული კასატორთა პრეტენზია ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან გარდა იმისა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებული კანონის იერარქიის პრინციპიდან გამომდინარე კონვენცია უპირატესია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონზე, თავად კანონის მეორე მუხლიდან გამომდინარე კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად). მითითებული პრეტენზია უსაფუძვლოა იმიტომაც, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი სწორედ საქართველოში აქამდე არსებული პრაქტიკის შესაბამისად გაანაწილა, რო-

მელიც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე არ ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

16. რაც შეეხება კასატორთა აპელირებას, რომ სტატიათა ნაწილი რესპონდენტთა გამონათქვამებია, რომლებიც სამართლებრივად სათანადოდ არ შეფასდა, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს გამავრცელებლის მიმართებას მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მცდარობა-ჭეშმარიტებასთან. დაუშვებელია, მედიის წარმომადგენლებს მოეთხოვოთ ასი პროცენტით გადამონმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა გონივრულ ფარგლებში გადამონმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რომ არ გაუფასურდეს დემოკრატიული ფასეულობები. ქცევის ამგვარი სტანდარტის დანესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მათ შორის მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი, საჭიროების შემთხვევაში, გაემიჯნოს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა ნებისთი უნებლიეთ არ გადაიქცეს სიძულვილის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად. სადავო სტატიებში ჟურნალისტები არათუ გაემიჯნენ რესპონდენტთა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, არამედ თავადაც გამოთქვამდნენ ამგვარ ფრაზებს.

17. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მტკიცებას, რომ მოპასუხეთა ქმედება მიზანმიმართული იყო და გაცხადებული ფაქტების მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი.

როდესაც სტატია ფაქტებს ეხება, მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს ჟურნალისტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულება: მისი მხრიდან ფაქტების გადამონმება და კრიტიკის ობიექტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ პრესის მეშვეობით პასუხი გასცეს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. მათი შეუსრულებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს ჟურნალისტის განზრახვასთან მიმართებით, მას ამოძრავებს საზოგადოების ინფორმირების სურვილი თუ თავს ესხმის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის მიზანი შეურაცხყოფა და რეპუტაციის შელახვაა.

საკასაციო პალატა იზიარებს ევროსასამართლოს მიდგომას, რომ, როდესაც ჟურნალისტი „არაკეთილსინდისიერად“ მოქმედებს, მისი (ჟურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე – ვალდებულებებს, რომლებიც უნდა და-

იცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზეც ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმადვე, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე (*Bladet Tromsø and Stensaa v. Norway*).

საქმეზე დადგენილი გარემოებები ჟურნალისტის მხრიდან ამ მოვალეობათა დარღვევაზე მიუთითებენ. საკასაციო საჩივრები კი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას მათ მიერ პროფესიულ მოვალეობათა დაცვასთან დაკავშირებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ დადასტურდებოდა, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია მიიღო ოფიციალური წყაროებიდან, იგი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამონმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადამონმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია, გამორიცხულიყო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პრესას ინფორმაციის გავრცელების ამოცანა აკისრია, საზოგადოებას, თავის მხრივ, უფლება აქვს, მიიღოს სულ მცირე, გადამონმებული ინფორმაცია.

კასატორები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებაზე აპელირებენ და მიუთითებენ, რომ მსგავს სტატიებს სხვა საინფორმაციო საშუალებებიც ავრცელებდნენ. მოცემულ შემთხვევაში ერთი მხრივ არსებობს ფაქტის შესახებ განცხადება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და მეორე მხრივ, ჟურნალისტი განიხილავს ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის პროფესიონალური ქცევის და კეთილსინდისიერების შემონმება ხდება გადამწყვეტი მნიშვნელობის (*Kasabova v. Bulgaria, Flux v. Moldova*). პალატა განმარტავს, რომ სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებისათვის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე მინიჭებული დაცვა იმ წინაპირობას გულისხმობს, რომ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყონ ზუსტი და საიმედო ინფორმაციის გადაცემა. მართალია, ჟურნალისტის მხრიდან გაზვიადება და გადაჭარბება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა, მაგრამ პრესამ არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, განსაკუთრებით, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით. მოცემულ საქმეში, ბრალდებები იყო სერიოზული, ისინი არ იყო გამყარებული მასალებით, ასევე, არ დგინდება, რომ ჟურნალისტმა საკუთარი პროფესიული ვალ-

დებულებები შეასრულა, გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან შესაძლებლობა მისცა მოსარჩელებს პასუხი გაეცათ წარდგენილი ბრალდებებისთვის. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებიც არ ამართლებენ ბრალდებებს.

18. გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე უფლებას აერთიანებს და დაცვის სფეროებზე განსხვავებულია, კერძოდ, განსხვავებულია მდგომა მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე, როდესაც სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვის პირობებში მიიღოს. ასევე, განსხვავებულია დაცვის სტანდარტი, საჯარო პირის მიმართ ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელსაც საზოგადოებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თმენის მომეტებული ვალდებულება ეკისრება, მაგრამ, მოცემულ საქმეზე მედიის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია, უპირისპირდება მოსარჩელეთა რეპუტაციის უფლება, რომელიც აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა (გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად) და კონვენციის მე-10 მუხლით (ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის ნაყოფიერია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხე-

ლისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად).

გამოხატვის ძირითადი უფლება დაკარგავს თავის არსს, თუკი მას მოეხსნება შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. ამდენად, სხვათა უფლებების და ღირსების დაცვა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისათვის დაწესებულ კონსტიტუციურ საპირნონეს. მითითებული ნორმებიდან ჩანს, რომ ღირსებისა და რეპუტაციის საკითხს, საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია განიხილავს, როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს. პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა კი, უპირველ ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რომ ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხმყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (Chauvy v France). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებმა პირველი მოსარჩელის, როგორც მენარმის, როგორც პიროვნების მიმართ საზოგადოებას არასწორი სურათი მიაწოდეს. ასევე, არასწორი სურათი შექმნეს იურიდიულ პირთან მიმართებით, რომელსაც კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესი აქვს, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც (Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany).

ამასთან, როგორც აღინიშნა, საჯარო პირებთან მიმართებით „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან, თუმცა გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გამოიხატება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა ინტერესი – საკუთარი რეპუტაციის დაცვისა, უპირატესია გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. დარღვეულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, სტატიებში მოცემული გამონათქვამები მისაღები კრიტიკის ფარგლებსა და ინფორმირების უფლებას სცილდება. როგორც გამონათქვამები, ისე სტატიათა შინაარსი მოსარჩელეთა პირად უფლებებზე თავდასხმას წარმოადგენს. ამდენად, სახეზეა კანონიერი ინტერესის მიზანმიმართული დაზიანება. აღნიშნული გარემოებები კი, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას ამართლებენ.

19. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებისას ფიზიკური პირის მიმართ ზიანი არაქონებრივი სახით – პირის პატივისა და ღირსების შელახვით არის გამოვლენილი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, ამ ზიანის დამტკიცებისათვის სპეციალური კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია (№ას-1477-1489-2011 3.04.2012).

კონვენციის მიხედვით, დიფამაციისათვის მინიჭებული ზიანის ანაზღაურება უნდა გულისხმობდეს რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანთან პროპორციულობის გონივრულ ურთიერთკავშირს (Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom). მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული მორალური ზიანის ანაზღაურება უფლების დარღვევის თანაზომიერია.

პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოპასუხეთათვის იურიდიული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრებასთან დაკავშირებით. სსკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვოდ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მართალია, სსკ-ის 18.6 მუხლიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შეზღუდვები. იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისებრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა (მდრ. სუსგ №3კ/924-01, 26.12.2001, №ას-1052-1007-2014; 30.09.2015).

უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო, არა მორალური, არამედ მატერიალური ზიანის დაკისრებაა შესაძლებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მატერიალურ ზიანის თაობაზე მოთხოვნას კი, წარმოდგენილი სარჩელი არ შეიცავს.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელებმა დაამტკიცეს მათ მიმართ ცილისწამების ფაქტი, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები არ არსებობს. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეზღუდვა პირველი მოსარჩელის პატივისა და ღირსების, ხოლო მეორე მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით აუცილებელია და კანონიერ მიზანს ემსახურება. უფლებაში ჩარევის საშუალება ჩარევის მიზანთან – ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადია.

სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მეორე, მესამე და მეოთხე კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს, იურიდიული პირის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 264.3,
410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ს ი ტ ა :

1. ჯ. ხ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „ს-ის“, დ. ჩ-ისა და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-11 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ს-ს“, ლ. ნ-სა და დ. ჩ-ეს, სს „თ-ის“ სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 1000 ლარის გადახდა მორალური/არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

განჩინება საქართველოს სახელში

№ას-928-868-2017

17 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. კახეთის გუბერნატორმა ი. შ-მა (შემდეგში: მოპასუხე, გუბერნატორი, კასატორი) 2015 წლის 4 თებერვალს სატელეფონო ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „გ-ას“. გუბერნატორი იმ დროს სოციალურ ქსელში გავრცელებულ და მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებას გამოეხმაურა და უარყო, რომ იგი თვითმმართველი ორგანოების მუშაობაში ერეოდა, რაც საკრებულოში ოპოზიციური ფრაქციის შექმნაზე უარის თქმაში გამოიხატებოდა.

2. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე, 2014 წლის 3

იენისს, გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ქეიფი ბიუჯეტის ხარჯზე – თ. თ-ის დასახვედრად რესტორანში 2 350 ლარი დაიხარჯა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ თანხა ახმეტის გამგეობის ბიუჯეტიდან გამოიყო.

3. შპს „კ-ის“ (შემდეგში: საინფორმაციო ქსელი) მიერ გავრცელებული ინფორმაციის, [რომ გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მოპასუხის ოჯახი უსასყიდლოდ იყენებდა მუნიციპალურ სპეცტექნიკას და მუშებს, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს მუშაკი დაიღუპა, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა] საპასუხოდ, 2015 წლის 24 აპრილს, გავრცელდა ვიდეო – ინტერვიუ გუბერნატორთან (ინტერვიუს ელ. ვერსია). მოპასუხემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელება დაკავშირებულია პიროვნულ კონფლიქტთან მასსა და გ. მ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, ჟურნალისტი, აპელანტი) შორის, რომელიც ზემოხსენებული საინფორმაციო ცენტრის მესაკუთრე და დირექტორია.

4. აღნიშნული კონფლიქტის საფუძვლად მოპასუხე მიიჩნევს გუბერნატორის, მუნიციპალიტეტების გამგებლებისა და საკრებულოების თავმჯდომარეების უარს შპს საინფორმაციო ცენტრთან საინფორმაციო სახის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე. ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 2011, 2012 და 2013 წლებში, საიდანაც 2011 წელს საინფორმაციო ქსელის შემოსავალი შეადგენდა 8 800 (რვა ათას რვაას) ლარს, 2012 წელს – 9 680 (ცხრა ათას ექვსას ოთხმოც) ლარს და 2013 წელს – 10 080 (ათი ათას ოთხმოც) ლარს.

5. 2015 წლის 24 აპრილის ვიდეო-ინტერვიუში მოპასუხე აცხადებს: „ხელშეკრულებები ყველა მუნიციპალიტეტში იყო ცალკე გაფორმებული, ყველა საკრებულოში იყო ცალკე გაფორმებული და საერთო ჯამში ეს თანხა შეადგენდა და ბატონი მოსარჩელე ლეზლობდა იმაზე თითქმის ორჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე დღეს ლეზლობს მოქმედი გუბერნატორი. სწორედ ყოველთვის იურად ამ თანხის დაკარგვის გამო იყო რამდენჯერ მუქარა, იყო რამდენჯერ შემოთვლა, იყო რამდენჯერ თქმა იმისა, რომ ეს თუ ესე არ იქნება, მაშინ მოიძებნება ალტერნატიული შემოსავლის წყარო, რომელიც იქნება მთლიანად აგებული გუბერნატორის დისკრედიტაციაზე“.

6. სარჩელის საფუძვლები

6.1. ჟურნალისტმა, 2015 წლის 31 ივლისს, სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს გუბერნატორის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისა და ცილისწამების ფაქტის დადგენა, აგრეთვე – მოპასუხის დავალდებულება, უარეყო გავრცელებული ინფორმაცია იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც მოხდა მისი გავრცელება და წი-

ნამდებარე საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება.

6.2. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის ცილისმწამებლური, ყალბი და არ შეეფერება სინამდვილეს. მოპასუხე საჯარო პირია, რომლის გადაწყვეტილება და აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება და მიუთითა „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონზე (შემდეგში – სპეციალური კანონი).

6.3. მოსარჩელის განმარტებით, ამ განცხადების გავრცელებით მას არაქონებრივი სახით მიაღვა ზიანი, რომელიც მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს, არ გააჩნია ღირებულება, ხოლო გავრცელებული განცხადება ჟურნალისტს უკარგავს სანდოობას საზოგადოებაში. მოსარჩელემ მიუთითა იმაზე, რომ განცხადება გავრცელებულია გუბერნატორის პირადი პრესსამსახურის მეშვეობით და ინტერვიუ წინასწარ დაგეგმილია, რაც ხაზს უსვამს განზრახვას, ასევე, ეს ფაქტი გამორიცხავს მეორე მხარის პოზიციის მოსმენის შესაძლებლობას და დაინტერესებულ მხარემდე ობიექტური ინფორმაციის მიტანას.

6.4. მოსარჩელის მტკიცებით, გუბერნატორის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ამ უკანასკნელის ჟურნალისტი ეშუქრებოდა და გამოძალავს ახორციელებდა, არ შეესაბამება სიმართლეს, რაც გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებით.

7. მოპასუხის შესაგებელი

7.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ერთადერთი უზუსტობა, რაც კახეთის გუბერნატორის 2015 წლის 24 აპრილს გაკეთებულ განცხადებაშია, ის არის, რომ 2011-2012 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საინფორმაციო ცენტრის მიერ მიღებული შემოსავალი, არ არის გუბერნატორის ერთი წლის ხელფასზე მეტი. აღნიშნული უზუსტობა კი მათემატიკური ხასიათისაა და არ შეიცავს პირისთვის ზიანის მიმყენებელ ან სახელის გამტეხ ცნობას. ამასთანავე, გუბერნატორი საუბრობდა სამომავლო, ჯერ არ დამყარებულ და დასამყარებელ ურთიერთობებზე, რადგან მუნიციპალიტეტების რაოდენობა საკრებულოების ჩათვლით 18-ს აღწევდა ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტის გამო, რაც პოტენციურად მისაღებ შემოსავალს გაცილებით გაზრდიდა.

7.2. მოპასუხის შესაგებლის თანახმად, განცხადება არის პასუხი მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებზე – „ბოიკოტი კახეთის საინფორმაციო ცენტრს პრემიერის სახელით შეთავაზებულ გარიგებაზე უარის შემდეგ“ და „ქეიფი ბიუჯეტის ხარჯზე“, ამ სტა-

ტიების მიზანი კი გუბერნატორის დისკრედიტაცია, მისი პატივისა და ღირსების მიზანმიმართული შელახვა იყო.

8. თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები.

8.1. თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით ჟურნალისტის სარჩელი, როგორც უსაფუძვლო, არ დაკმაყოფილდა.

8.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს (გუბერნატორს) თავის ინტერვიუთი არ გაუვრცელებია მოსარჩელის მიმართ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, ზიანის მიმყენებელი და სახელის გამტეხი განცხადება.

8.3. სასამართლომ მოსარჩელე წინამდებარე განჩინების 6.2 ქვეპუნქტში დასახელებული სპეციალური საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“, „ზ“ ქვეპუნქტების და მე-7 მუხლის მე-3-მე-4 პუნქტების მიხედვით ცნო საჯარო პირად.

8.4. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით და აღნიშნა, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-18 მუხლის მეორე ნაწილით პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან. სასამართლოს გზით პირის პატივისა და ღირსების დასაცავად უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებები: 1. პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება; 3. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა. სპეციალურმა კანონმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს დააკისრა.

8.5. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-19 მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და მე-17 მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ ნორმათა შედარებებიდან იკვეთება საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყონ საკანონმდებლო დაცვა არასწორი მტკიცებებით პატივისა და რეპუტაციის ხელყოფის წინააღმდეგ. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი კი უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას თითოეული ადამიანისათვის, ხოლო 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან

სხვაგვარი საშუალებით, მე-4 პუნქტის თანახმად კი ზემოთ ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია... სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

8.6. სპეციალური საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით შეიძლება დანესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ის ეხება ცილისწამებას („ა“ ქვეპუნქტი) და პირისპირ შეურაცხყოფას („გ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის მიხედვით ცნებები, აზრი და ცილისწამება შემდეგნაირად განიმარტება – აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე – ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ცილისწამება განმარტებულია, როგორც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი ინფორმაცია. განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო.

8.7. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე (ჟურნალისტი) პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს ფრაზას, რომელმაც მისი განმარტებით, პატივი და ღირსება შეულახა იმით, რომ გუბარნატორმა ინტერვიუ ჩაწერა საკუთარ პრესცენტრთან, იმის ნაცვლად, რომ ჩაეტარებინა პრესკონფერენცია, მოენვია ჟურნალისტები, რა დროსაც მას ექნებოდა საშუალება პასუხი გაეცა ცილისწამებლური გამონათქვამებისათვის. პრესცენტრთან მიცემული ინტერვიუთი კი მან ეს შესაძლებლობა დაკარგა. გუბერნატორის სადავო ფრაზა საზოგადოებაში აყალიბებს აზრს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან და, მათ შორის წინა ხელისუფლებასთან, ჟურნალისტი ხელშეკრულების გაფორმებას აღწევდა შანტაჟის საშუალებით, ხოლო თანხის არასწორად მითითება კი ნიშნავდა, რომ მოსარჩელე სახელმწიფოს ატყუებდა, არასწორ ინფორმაციას აწვდიდა საგადასახადო ორგანოებს მის შემოსავლებთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა გუბერნატორის სტატუსიდან და მის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე გამხდარიყო ჟურნალისტის საკუთრებაში არსებული კომპანიის შემონმების საფუძველი, რაც, თავის მხრივ, დამატებით ზიანის მიყენების საფუძველი გახდებოდა მოსარჩელისათვის (CD დისკი, 2016 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმი).

8.8. სასამართლომ ზემოხსენებული (იხ. განჩინების 8.7 პუნქტი) არგუმენტები არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ მოპასუხის განცხადება არსებითად მცდარ ფაქტს არ შეიცავდა (ჟურნალისტის კუთ-

ვნილ საინფორმაციო ცენტრს ნამდვილად ჰქონდა ხელშეკრულებები დადებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და იღებდა შემოსავალს) და ფაქტის (ხელშეკრულებების შედეგად არსებული შემოსავლების – იხ. განჩინების 4 პუნქტი) მხოლოდ გაზვიადებულად წარმოჩენა არ ლახავდა პირის პატივსა და ღირსებას.

8.9. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რადგან მოსარჩელე მედიის წარმომადგენელია, მას ჰქონდა შესაძლებლობა, მის მიმართ გამოთქმული პოზიციის თაობაზე გუბერნატორისათვის პასუხი გაეცა მედიასაშუალებით და საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია, შესაბამისად, პრესცენტრისათვის გუბერნატორის მიერ მიცემული ინტერვიუ ვერ შელახავდა ჟურნალისტის პატივსა და ღირსებას. ასევე სასამართლომ საქმეში არსებული მასალებით ვერ დაადასტურა ჟურნალისტისათვის ზიანის მიყენების ფაქტი და ამ ნაწილში მოსარჩელის მტკიცება დაუსაბუთებლად ცნო.

8.10. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ გუბერნატორის ინტერვიუს წინ უძღვოდა ჟურნალისტის მწვავე ხასიათის რამდენიმე სტატია, რომლებიც ეხებოდა მოპასუხის საქმიანობას და ამ უკანასკნელის მიერ წარმოთქმული ფრაზა წარმოადგენდა მისივე მოსაზრებას და არ შეიცავდა დადასტურებად ან უარყოფით ფაქტს.

8.11. სასამართლომ სპეციალური საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ, ხოლო მე-5 პუნქტით: ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, მე-14 მუხლი კი განსაზღვრავს, რომ საჯარო პირის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები მეტად ფართოა, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე საჯარო პირს წარმოადგენს.

8.12. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და დაადგინა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა, შესაბამისად, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

9.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

9.2. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული და ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების სტანდარტს და ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპს, ასევე, სასამართლო გასცდა საქმის სამართლებრივი შესწავლის ფარგლებს და დავა განხილულია ჟურნალისტური ეთიკის ნაწილში, რაც სასამართლოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ჟურნალისტის მიერ რაიონულ სასამართლოში წარდგენილ არგუმენტებზე.

9.3. აპელანტი კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სასამართლომ გუბერნატორის განცხადება შეაფასა ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატიების პასუხად და ეს გარემოება დასაშვებად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად.

9.4. აპელანტმა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები გაიმეორა და განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება არ მოიცავს განზრახ დამახინჯებულ, ცრუ და ზიანის მიმყენებელი ინფორმაციის გავრცელებას.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ჟურნალისტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის მიმართ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა იმავე საშუალებით, რა საშუალებებითაც მოხდა მისი გავრცელება.

10.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ საინფორმაციო ცენტრს სამი წლის განმავლობაში მიღებული აქვს 28 560 (ოცდარვა ათას ხუთას სამოცი) ლარი, ხოლო მოპასუხის სახელფასო შემოსავალი 2014 წელს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის თანამდებობაზე იყო 64 900 (სამოცდაოთხი ათას ცხრაასი) ლარი.

10.3. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ ნაწილზე, 24-ე მუხლზე, მე-17 მუხლსა და იმ საერთაშორისო აქტებზე, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო (იხ. წინამდებარე განჩინების 8.5 ქვეპუნქტი).

10.4. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას

წარმოადგენს სსკ-ის მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინა-არსისაა და მოიცავს დათქმას სპეციალურ კანონზე, ასევე – სადავო განცხადებისათვის „აზრის“ ან „არსებითად მცდარი ფაქტის“ მინიჭებისათვის სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადანყვეტილებაზე (იხ. სუსგ ას-1477-1489-2011; 03.04.2012) მიუთითა, რათა განსახილველი დავის სწორი კვალიფიკაციისათვის შემონმებულიყო გავრცელებული ინფორმაციის შინაარსი, გამოთქმის ფორმა და კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისგან შედგებოდა გამონათქვამი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები და განმარტა, რომ ზემოხსენებული ელემენტების შემონმების საფუძველზე, გუბერნატორის განცხადებაში გავრცელებული ცნობები წარმოადგენს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებას იმის თაობაზე, თითქოსდა ჟურნალისტი კანონსაწინააღმდეგო გზით და ჟურნალისტური ეთიკის წესების დარღვევით ცდილობდა გუბერნატორის წლიური ხელფასის ორმაგი ოდენობის შემოსავლის მომტანი ხელშეკრულებების გაფორმებას კახეთის რეგიონის რწმუნებულის აპარატსა და მუნიციპალიტეტებთან.

10.5. სასამართლომ სადავო განცხადებაში მითითებული პირველი წინადადება შემოსავლების შესახებ მეორე წინადადებასთან, რომელიც მტკიცებადი ფორმის კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს: „ხელშეკრულებები ყველა მუნიციპალიტეტში იყო ცალკე გაფორმებული, ყველა საკრებულოში იყო ცალკე გაფორმებული და საერთო ჯამში ეს თანხა შეადგენდა და ბატონი მ-ი ღებულობდა იმაზე მეტ შემოსავალს თითქმის ორჯერ, ვიდრე დღეს ღებულობს მოქმედი გუბერნატორი. სწორედ ყოველთვიურად ამ თანხის დაკარგვის გამო იყო რამდენჯერმე მუქარა, იყო რამდენჯერმე შემოთვლა, იყო რამდენჯერმე თქმა იმისა, რომ ეს თუ ესე არ იქნება, მაშინ მოძებნება ალტერნატიული შემოსავლის წყარო, რომელიც იქნება მთლიანად აგებული გუბერნატორის დისკრედიტაციაზე“ მიიჩნია ჟურნალისტის ცილისწამების ნორმატიულ შემადგენლობად. სასამართლომ დაასკვნა, რომ სპეციალური კანონის მე-7 მუხლის პირველი, მე-6 პუნქტების მიხედვით: აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან.

10.6. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის (გუბერნატორის) მტკიცება, რომ მის მიერ გავრცელებული სადავო განცხადება წარმოადგენდა თანაზომიერ პასუხს ჟურნალისტის მიერ გუბერნატორის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე, შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ გუბერნატორის მიერ გავრცელებულ ვიდეო-ინტერვიუს ვერ მიენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა განცხადების ფორმასა და მოპასუხის სტატუსზე და გაიზიარა მოსარჩელის აზრი, რომ გუბერნატორმა არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადება გაავრცელა საკუთარი პრესსამსახურისათვის მიცემულ ინტერვიუში, რამაც გამოიწვია მეორე მხარის პოზიციის მოსმენის შესაძლებლობა. თანაც მოპასუხემ განცხადება გაავრცელა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის – გუბერნატორის სტატუსით, საკუთარი კაბინეტიდან ვიდეო-ინტერვიუს სახით, რამაც კიდევ უფრო ძლიერი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მითითება მისივე ინტერვიუზე და განმარტება, რომ ეს არის პასუხი გუბერნატორის დისკრედიტაციის მიზნით გამოქვეყნებული ინფორმაციაზე, ვერ იქნებოდა სარწმუნოდ აღქმული, როგორც აზრის გამოხატვა, ვინაიდან ისეთი გამოხატვა აზრისა, რომელიც მიმართულია საზოგადოების წევრის მიმართ, რომლის მიერაც გაკრიტიკებულ იქნა პოლიტიკური პირი, „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“ უნდა იყოს განპირობებული, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილი არ იყო.

10.7. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სრულად უზრუნველყო მასზე დაკისრებული მტკიცებების ტვირთის რეალიზება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გაცემული ცნობების დახმარებით, რომელთა საფუძველზე დგინდებოდა, რომ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში, დაარსებიდან, 2009 წლის დეკემბრიდან მიმართვის დრომდე, არ შესულა განცხადება მოსარჩელის მიერ უმძიმესი პროფესიული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით; აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ბაზაში არ მოიძებნა რაიმე სახის შეტყობინება მოსარჩელის მხრიდან განხორციელებული მუქარის ან გამოძალვის ფაქტზე, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულებების წარდგენა ჟურნალისტის მხრიდან თეორიულად გამოირიცხებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ მოპასუხეს (გუბერნატორს) რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. სასამართლომ დაასკვნა, რომ მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაციის გავრცე-

ლება კი ზიანის მიმყენებელია მოსარჩელისათვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავისა და მოპასუხის სტატუსის გათვალისწინებით, ამ უკანასკნელს ჰქონდა შესაძლებლობა, დაეზუსტებინა ინფორმაცია და არ გამოექვეყნებინა არსებითად მცდარი მონაცემები, რაც გამორიცხავს სპეციალური კანონის მე-16 მუხლით დადგენილ პრივილეგიას. უდავოა, რომ მოპასუხეს, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავიდან, ისე – მისი სტატუსიდან გამომდინარე, ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, დაეზუსტებინა და გამოექვეყნებინა ზუსტი და სანდო ინფორმაცია.

10.8. სააპელაციო სასამართლომ, წინამდებარე დავის საგნის კონტექსტში, იმსჯელა მტკიცების ტვირთის განაწილებაზე და განმარტა, ვინაიდან მოსარჩელემ, შესაბამისი მტკიცებულებებით უზრუნველყო საკუთარი პოზიციის გამყარება, ხოლო მოპასუხეს აღნიშნულის გამომრიცხავი რაიმე სახის მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის, სარჩელი დასაბუთებული და საფუძვლიანი იყო (იხ. განჩინების მე-6 და მე-7 პუნქტები; 10.4-10.7 ქვეპუნქტები).

10.9. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამოვლენილი იყო საჯარო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ყველა წინაპირობა: ა) მოსარჩელემ სასამართლოში დაამტკიცა, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს უშუალოდ მის შესახებ; ბ) მოსარჩელეს ამ განცხადებით მიადგა ზიანი; გ) მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადების გავრცელება. შესაბამისად სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელეზე გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც მოხდა მისი გავრცელება.

11. საკასაციო საჩივარი

11.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებით მოპასუხემ, მისი გაუქმება და სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა.

11.2. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებები;

11.3. გუბერნატორის მიერ დასახელებული თანხა, რომელსაც ჟურნალისტი ხელშეკრულებების საფუძველზე იღებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, მათემატიკური შეცდომის შედეგად იყო გააუღერებული, თუმცა, თანხობრივად რა ოდენობისაც არ უნდა ყოფილიყო ეს თანხები, ფაქტი იყო, რომ მოსარ-

ჩელეს ნამდვილად მიადგა ფინანსური ზიანი.

11.4. კასატორი ყურადღებას ამახვილებს „აზრისა“ და „ფაქტის“ გამიჯვნაზე, ასევე – სააპელაციო სასამართლოს დასკვნაზე, რომ გუბერნატორის მიერ გავრცელებულმა განცხადებამ შექმნა ცილისწამების ნორმატიული შემადგენლობა;

11.5. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებელი გადანყვეტილება მიიღო, რითაც ეჭვქვეშ დააყენა საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ს 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

8.1. თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე“ საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა და/ან სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

14. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

15. მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა.

16. საკასაციო სასამართლოს შესაფასებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება არის თუ არა მოსარჩელის სსსკ-ის მე-18 მუხლითა და სპეციალური კანონით და-

ცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება.

17. ზემოაღნიშნული სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამი შეიცავს თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას, რაც სსკ-ის 18.2 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია, უნდა გაირკვეს მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებადად, შეფასებით მსჯელობადად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.). „აზრისა“ და „ფაქტის“ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ, №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ.). ცილისწამე-

ბის მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.).

18. სპეციალური კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა“ (პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა თუ მოსარჩელე სამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. „შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებული იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე“ (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 08.08.1986). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. „სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს“ (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“,

2002წ., ასევე, სუსგ №ას-1052-1007-2014, 30.09.2015 წ.)

20. მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებასა და დასკვნებს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება ქმნის ცილისწამების ნორმატიულ შემადგენლობას მოსარჩელის მიმართ, კერძოდ, უდავოა, რომ ჟურნალისტის კუთვნილი საინფორმაციო ცენტრის შემოსავალი მთლიანად 28 560 ლარს შეადგენდა, რომელიც ცენტრმა ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის განეული მომსახურების სანაცვლოდ, სამი წლის განმავლობაში. უდავოა ის ფაქტიც, რომ გუბერნატორის წლიური შემოსავლის ორმაგი ოდენობა / 129 800 ლარი/ გაცილებით აღემატება საინფორმაციო ცენტრის მიერ მიღებულ ზემოხსენებულ თანხას. შესაბამისად, მოპასუხის (გუბერნატორის) განცხადება, რომ მის მიერ მითითებულ თანხასთან დაკავშირებით არსებული შეცდომა მხოლოდ მათემატიკური ხასიათისაა, დაუსაბუთებელია, მით უფრო იმ კონტექსტში, რომ მისი მითითებით ჟურნალისტის მხრიდან იყო შანტაჟის მცდელობა, იმის შემთვლა, რომ ხელშეკრულებების დადებაზე უარი გუბერნატორის დისკრედიტაციას გამოიწვევდა.

21. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის (გუბერნატორის) მითითებაზე, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება იყო პასუხი მოსარჩელის (ჟურნალისტის) მხრიდან მანამდე გავრცელებულ ინფორმაციაზე და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები სპეციალური კანონის მიხედვით საჯარო პირებს წარმოადგენენ (იხ. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), და დასაშვები კრიტიკის (მათ შორის ურთიერთკრიტიკის) ფარგლები მათ მიმართ გაცილებით ფართოა, მით უფრო მაშინ, როდესაც კრიტიკის ობიექტი ისეთი საჯარო პირია, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელია.

22. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით „დასაშვები კრიტიკის ფარგლები ყველაზე ფართოა ხელისუფლებისა და მის წარმომადგენელთა მიმართ, აქ სასამართლო არ მოითხოვს, რომ ფაქტები აბსოლუტური სიზუსტით იყოს დამტკიცებული და საკმარისად მიიჩნევეს, თუნდაც მცირედი ფაქტობრივი წინაპირობის არსებობას“. საქმეში – CASTELS VS SPAIN – ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ მთავრობის მოქმედებათა გაკრიტიკების უფლება წარმოადგენს არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების განუყოფელ კომპონენტს.

23. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს გამოხატვის თავისუფლების, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი დასაყრდენის მნიშვნელობას. განსა-

კუთრებული აღნიშვნის ღირსია მედიის ფუნქცია (ინფორმაციის მიმწოდებლის სასიცოცხლო როლი და საზოგადოებრივი ზედამხედველობის ინსტიტუტი) და მოვალეობა, გაავრცელოს საზოგადოებრივ ინტერესს მიკუთვნებული ინფორმაცია და იდეები ისე, რომ არ გასცდეს დანესებულ საზღვრებს. აღნიშნულ მოვალეობას შეესაბამება საზოგადოების უფლება მიიღოს მსგავსი სახის ინფორმაცია. მიჩნეულია, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის საჭირო ძირითად პირობას. ამასთანავე, ჟურნალისტებს გააჩნიათ „გაბუქების ან პროვოკაციის“ უფლებაც კი (პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ /Prager and Oberschlik v. Austria/; საქმე № 15974/90).

24. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ხელისუფლების წარმომადგენელია, ხოლო მოსარჩელე – ჟურნალისტური საქმიანობის განმახორციელებელი პირი, შესაბამისად, სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, კვალიფიციურად გაექარწყლებინა, ჟურნალისტის მიერ გავრცელებული განცხადების არანამდვილობა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვასთან მიმართებით (საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის დასაბუთებულობა საზოგადოებრივი ინტერესის აქტიურ სფეროს წარმოადგენს, შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ ამ საკითხზე მომზადებული მასალა მაღალი საჯარო ინტერესის სფეროს განეკუთვნება და ხელისუფლების წარმომადგენლის დისკრედიტაციის მცდელობად ვერ იქნება აღქმული), ხოლო შემდეგ – დასაბუთებულად, კონკრეტული ინფორმაციის გადამონმებისა და შესაძლო რეაგირების ღონისძიებათა გათვალისწინებით, გაეკეთებინა განცხადება ჟურნალისტის მხრიდან გუბერნატორისადმი თითქოსდა განხორციელებული შესაძლო შანტაჟისა და დისკრედიტაციის თაობაზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რა სახით მოხდა განცხადების გავრცელება (იხ. წინამდებარე განჩინების მე-3, მე-5 პუნქტები). ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ხაზი გაუსვა ინტერნეტ-მედია არქივების მნიშვნელოვან როლს ახალი ამბების და ინფორმაციის შექმნისა და შენახვის საქმეში (The times newspapers Ltd გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ /The times newspapers Ltd v. UK; №3002/03/). ასევე, ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ აუდიო-ვიზუალურ მედიას გააჩნია უფრო სწრაფი და მძლავრი ეფექტი, ვიდრე ბეჭდურ მედიას.

25. წინამდებარე შემთხვევაში დადგინდა, რომ სპეციალური კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს: „1. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. 2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვის ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ

დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. 3. კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. 4. საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. 5. აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. 6. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. 7. დაუშვებელია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო – გახედეს მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი“, ხოლო მე-14 მუხლით კი, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. მოხმობილ ნორმათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ (ყურნალისტმა) სამართლებრივად ვარგისი, დასაშვები და განკუთვნილი მტკიცებულებებით შეძლო მოპასუხის (გუბერნატორის) მიერ გავრცელებული ფაქტების სინამდვილესთან შეუსაბამობის დადასტურება (აღნიშნულის თაობაზე, ვრცლად იხილეთ წინამდებარე განჩინების 10.8 ქვეპუნქტი), ხოლო მოპასუხეს, ამ მტკიცების გასაქარწყლებლად რაიმე სახის მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ

დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის პოზიციის მართებულობას, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

27. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

განჩინება

საქართველოს სახელით

№ას-790-739-2017

17 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ ახალციხის ადგილობრივი ტელევიზიის შპს ტელერადიო კომპანია „ი-ის“ მე-9 არხის პირდაპირ ეთერში გადაცემა „დის“ (შემდეგში – გადაცემა) მსვლელობის დროს 2015 წლის 10 დე-

კემბერს ქალაქ ახალციხის მერმა გ. კ-ემ (შემდეგში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი), საკრებულოს წევრს, ჯ. გ-ს (შემდეგში – მოსარჩელე), მიმართა სიტყვებით: „პატიმრები, რომლებსაც შენ ბოთლებზე სვამდი და ფანჯრებიდან ყრიდი, რისთვისაც პოლიციიდან გამოგაგდეს“.

2. სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის/ახალციხის რაიონული სამმართველოს უფროსის წერილით მოსარჩელეს, მისი 2015 წლის 11 დეკემბრის განცხადების პასუხად, განემარტა, რომ განცხადებაში მითითებული ფაქტები, რომელიც დაადასტურა გამომძიებელთან გამოკითხვის დროს, წარმოადგენდა სამოქალაქო დავის საგანს, რის გამოც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ვერ დაინყებოდა გამოძიება.

3. სარჩელის საფუძვლები

3.1 მოსარჩელემ 2016 წლის 1 თებერვალს სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მისი პატივისა და ღირსების, აგრეთვე, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების, მოპასუხის მიერ, უარყოფა მოითხოვა.

3.2 დამატებით მიუთითა, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელებით, მას, როგორც პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელს, სერიოზული მორალური ზიანი მიადგა და რეპუტაცია შეეღახა, რაც მის პოლიტიკურ საქმიანობას ზიანს აყენებს.

4. მოპასუხის შესაგებელი

4.1 მოპასუხემ წარდგინილი წერილობითი შესაგებელი სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ გამოთქმული პოზიცია თითქოს მოპასუხის გამონათქვამები პიროვნულად მას ეხებოდა, არ იყო სარწმუნოდ დადასტურებული, ამასთანავე აღნიშნა, რომ გაჟღერებული ბრალდებები არა პიროვნულად მოსარჩელეს, ან რომელიმე სხვა პირს, არამედ კონკრეტულ პერიოდში არსებულ სახელისუფლებო სისტემას ეხებოდა.

4.2 მოპასუხის მტკიცებით, ცილისწამების განსაზღვრისათვის საჭიროა „ფაქტისა“ და „მოსაზრების“ (აზრი) სწორი გამიჯვნა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და შესაბამისად, ზოგადი ხასიათის შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულიყო ცილისწამებად. მოპასუხემ დამატებით მიუთითა მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრებასა და არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებზე, რაც მისი აზრით გამორიცხავდა სასარჩელი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

5. ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

და დასკვნები

5.1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაევალა შპს „ტელე-რადიო კომპანია „ი-ის“ 2015 წლის 10 დეკემბერს გადაცემა „დ-ის“ პირდაპირ ეთერში მოსარჩელის მიმართ ქალაქ ახალციხის მერის მიერ გაუღებულ ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა, – ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შპს „ტელე-რადიო კომპანია „ი-ის“ მეშვეობით, შემდეგი სახით: შპს „ტელე-რადიო კომპანია „ი-ის“ 2015 წლის 10 დეკემბერს გადაცემა „დ-ის“ პირდაპირ ეთერში მოსარჩელის მიმართ გავრცელებული ინფორმაცია „პატიმრები, რომლებსაც შენ ბოთლებზე სვამდი და ფანჯრებიდან აგდებდი, რის გამოც პოლიციიდან გამოგაგდეს“ მიჩნეულ იქნა ცილისმწამებად, მოსარჩელის პატივისა და ღირსების, ასევე საქმიანი რეპუტაციის შემლახავ განცხადებად“.

5.2 სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით და აღნიშნა, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-18 მუხლის მეორე ნაწილით პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან. სასამართლოს გზით პირის პატივისა და ღირსების დასაცავად უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებები: 1. პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება; 3. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა.

5.3 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-19 მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით და მე-17 მუხლით სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ ნორმათა შედარებებიდან იკვეთებოდა საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყონ საკანონმდებლო დაცვა არასწორი მტკიცებებით პატივისა და რეპუტაციის ხელყოფის წინააღმდეგ. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი კი უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას თითოეული ადამიანისათვის, ხოლო 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, მე-4 პუნქტის თანახმად კი ზემოთ ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი პირო-

ბებით, რომლებიც აუცილებელია... სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

5.4 ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე არის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი, შესაბამისად, ტელევიზიით გაკეთებული განცხადება მოსახლეობის მიერ აღიქმება უფრო მეტად დამაჯერებლად და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში გარკვეული აზრის ფორმირებაზე, ამდენად, მოპასუხის სტატუსიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც სხვის პატივსა და ღირსებას ეხება და მას უარყოფითად წარმოაჩენს, გაცილებით დიდი ზიანის მომტანია ადრესატისათვის, ვიდრე ზოგადად ორ სუბიექტს შორის ურთიერთრალდებებისას გაჟღერებული ინფორმაცია, მით უფრო მაშინ, როდესაც გადაცემაში მიწვევის მიზეზს სულ სხვა სასაუბრო თემა წარმოადგენდა.

5.5 სასამართლოს მოსაზრებით სპეციალური კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მოსარჩელის მიმართ და ამ განცხადებით მას ზიანი მიადგა.

5.6. ამასთანავე, საზოგადოების მიერ მოპასუხის მხრიდან გავრცელებული ცნობების სარწმუნოება იმითაც იყო გამყარებული, რომ მოპასუხეს არ უარუყვია ცნობები, ხოლო მოსარჩელე გარკვეული პერიოდით ადრე, ნამდვილად მუშაობდა სამართალდამცავ ორგანოში, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოვლენილი იყო სპეციალური კანონით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი და მოსარჩელის პატივი და ღირსება დაუსაბუთებლად შეილახა ზიანის მიმყენებელი და სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელებით, ყოველგვარი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე.

5.7 ზემოაღნიშნული გარემოება სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია სასამართლო სხდომაზე მოწმე რ. გ-ის ჩვენებითაც, სადაც მან დადასტურა მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირებისა და მოპასუხის მიერ მოსარჩელის მისამართით გაკეთებული განცხადების თაობაზე გარემოებები (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმის ელ. ვერსია).

6. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

6.1 მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საჩივლის სრულად უარყოფა.

6.2 აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი, ვინაიდან სპეცია-

ლური კანონის მიხედვით მოსარჩელე არა კერძო, არამედ საჯარო პირია. შესაბამისად, მისი მხრიდან მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით უნდა დადასტურებულიყო საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, მოსარჩელეს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, თმენის მეტი ვალდებულება გააჩნდა;

6.3 აპელანტის მითითებით, ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნა, ვინაიდან აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად. მოპასუხის მიერ სატელევიზიო ეთერში დაფიქსირებული პოზიცია მოსარჩელის მიმართ წარმოადგენდა აზრის ელემენტებს, და არ შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის მიმართ, შესაბამისად, სწორედ მოსარჩელის მტკიცების საგანსა და ვალდებულებას წარმოადგენდა, რომ მოპასუხის პოზიცია მცდარი და ცილისმწამებლური ფაქტი იყო.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

7.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

7.2 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი)

7.3 სასამართლომ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და სპეციალური კანონის საფუძველზე განმარტა, რომ ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

7.3.1 წინამდებარე შემთხვევაში, მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მიერ მისი პატივისა და ღირსების, აგრეთვე, საქმიანი რეპუტაციის შელახავი ინფორმაციის თაობაზე ყოველგვარი დასაბუთების ან მოსარჩელის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მითითების გარეშე, რომელიც წარმოადგენდა ცილისწამებას და რომლის შედეგადაც ადგებოდა ზიანი, შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, იმავე საშუალებით უარყოს გავრცელებული ინფორმაცია.

7.3.2 სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილი იყო, რომ: 1. განცხადება მოპასუხის მიერ გავრცელ-

და; 2. განცხადება შეეხებოდა კონკრეტულ, იდენტიფიცირებად პირს; 3. განცხადება ზიანს აყენებდა მოსარჩელის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას; 4. განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს; 5. ფაქტის თაობაზე, ცნობილი იქნებოდა მოპასუხისათვის გონივრული ზომების მიღების შემთხვევაში; 6. აღნიშნული განცხადების გავრცელება არ იყო პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის (გამოხატვის) თავისუფლების ფარგლებში.

7.4 სასამართლომ, ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან ყურადღება იმაზე, რომ გავრცელებული ინფორმაციის ადრესატი იდენტიფიცირებადი პირი იყო. (იხ. განჩინების 7.3.2 ქვეპუნქტი). სწორედ ადრესატის „იდენტიფიცირება“ წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა, პირის მიერ გავრცელებული ცნობის შესაბამისად, მას აღნიშნულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს. წინამდებარე შემთხვევაში, პირდაპირ დასახელებულიც რომ არ ყოფილიყო ადრესატი, საზოგადოებისათვის ნათელი იყო, ვის ეხებოდა აღნიშნული განცხადება. ამასთანავე, საინტერესოა, რომ გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო საკითხებს ეხებოდა, შესაბამისად, გაურკვეველია რა მიზანს ემსახურებოდა აპელანტის მიერ სამართალდამცავი ორგანოების ხსენება აღნიშნულ კონტექსტში, მით უფრო – კონკრეტულ პირზე მითითებით.

7.5 სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე აპელანტის მიერ მითითებულ „აზრისა“ და „ფაქტის“ გამიჯვნის საკითხზე და აღნიშნა, რომ კანონმდებლობის სისტემური გაანალიზების შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა გადაცემის მსვლელობისას მოსარჩელის მიერ კონკრეტული ფაქტის (დანაშაულის) ჩადენაზე მიუთითა, რაც არათუ მოსაზრებად, არამედ ფაქტის გავრცელებად უნდა იქნეს აღქმული.

7.5.1 განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ გავრცელებულ განცხადებაში მითითებულია ისეთი მოქმედება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულს წარმოადგენს, ამდენად, ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელებით, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის გარეშე, უდავოდ ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რამდენადაც საზოგადოებაში ასეთი პირი შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც დამნაშავე, რაც მისი საზოგადოებრივი სტატუსის დისკრედიტაციას გამოიწვევს.

8. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

8.1 სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8.2 კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევითაა მიღებული, კერძოდ:

8.2.1. სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი და უსაფუძვლოდ მიუთითა, რომ ის კერძო პირია, რამაც გამოიწვია იმ გარემოებათა შემცირება, რომლებიც მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა;

8.2.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადება იდენტიფიცირებად ინფორმაციად, რომლიდანაც აშკარად იკვეთებოდა, რომ ინფორმაცია უშუალოდ მოსარჩელეს ეხებოდა. ამასთანავე, სასამართლოს მსჯელობა არ უნდა ეყრდნობოდა წარდგენილი ვიდეო-ფაილის ანალიზს და გამოთქმული აზრების შეფასებას მონმის მიერ (იხ. ამ განჩინების 5.7 ქვეპუნქტი);

8.2.3. სააპელაციო სასამართლოს მიერ „აზრისა“ და „ფაქტის“ განმარტების საკითხთან დაკავშირებით, კასატორს მიაჩნია, რომ არასწორად მოხდა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის კონკრეტულ ფაქტად მიჩნევა. სასამართლომ უსაფუძვლოდ მოახდინა მისი აზრის შემოწმება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან აზრი აბსოლუტურად დაცულ სფეროს წარმოადგენს.

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ს 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

9.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი, ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

10. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო

არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა და/ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

11. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

12. მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა.

13. საკასაციო სასამართლოს შესაფასებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის თუ არა მოსარჩელის სსკ-ის მე-18 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვისათვის უფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება

14. ზემოაღნიშნული სპეციალური სამართლებრივი მონესრიგების გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამი შეიცავს თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას, რაც სსკ-ის 18.2. მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია, უნდა გაირკვეს მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფა-

სებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემომდგეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ, №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ.). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე – სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 01.10.2014წ.). გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომლის სამართლებრივი შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს და არა მოსაზრებას, კონკრეტულ პირზე და საკითხზე მითითებით, რაც დადასტურდა კიდევ აღნიშნულთან დაკავშირებით წარდგენილი მტკიცებულებით.

15. სპეციალური კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“ (დასახელებული კანონის პირველი

მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. „შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებული იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე“ (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 08.08.1986). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. „სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს“ (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“, 2002წ., ასევე, სუსგ №ას-1052-1007-2014, 30.09.2015 წ.).

17. მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებით, რომლითაც ის კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებზე მიუთითებდა, მტკიცებულებების გარეშე, ზიანი მიადგა ადრესატის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, და დამატებით კასატორის საკასაციო პრეტენზიის პასუხად მიუთითებს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის მიზნებისათვის „საჯარო პირს“.

17.1. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად „საჯარო პირი“ არის – „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება“. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება – საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. თავისმხრივ ხსენებული ორგანული კანონის 32-ე მუხლის (მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან: ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე; ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) მიხედვით მოსარჩელე ვერ ჩაითვლება სპეციალური კანონის მიზნებისათვის „საჯარო პირად“, ვინაიდან კასატორი თავადაც უთითებს, რომ მოსარჩელე უზრალოდ საკრებულოს წევრია, შესაბამისად ის არ წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ არც ერთი თანამდებობის პირს, რაც გამორიცხავს მისთვის „საჯარო პირის“ სტატუსის მინიჭებას, ამასთანავე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ სპეციალური კანონის მიზნებისათვის მოსარჩელე ჩაითვლებოდა „საჯარო პირად“, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნის საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, მით უფრო მაშინ, როდესაც კასატორს საწინააღმდეგოდ რაიმე გამომრიცხავი მტკიცებულება არ წარუდგენია (იხ. ამ განჩინების პირველი და მე-2 პუნქტები).

18. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის პოზიციის მართებულობას, აღნიშნული კი მოპასუხის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

19. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სა-

ხელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

**განჩინება
საქართველოს სასამართლოში**

№ას-438-410-2017

30 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის
შემლახველი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. ბ. წ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორის
მონინალმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ს-ის (შემ-
დგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინალმდეგე მხარე, საჩივრის
ავტორი ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის დავალდე-
ბულება, საინფორმაციო საშუალებების: „კ-ის“, „მ-ის“, „პ-ისა“ და
სააგენტო „პ-ის“ მეშვეობით მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და
საქმიანი რეპუტაციის შემლახველი განცხადებების პირადად უარ-
ყოფა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე წარმატებული ქართველი ბიზნესმენია, ამჟამად შპს „გ-ის“, სს „გ-ის“ და სს „რ-ის“ პარტნიორია. 2013 წლიდან მოპასუხე საკუთარი გამოსვლებით სისტემატურად ესხმის თავს მოსარჩელეს და ადანაშაულებს შპს „თ-ის“ აქციების წართმევაში. პირველი სატელევიზიო გამოსვლა იყო მ-ის ეთერში ჯ. ბ-ასთან ერთად. 2013 წლის 26 ივნისს „პ-ის“ პრესკლუბში მოპასუხემ კვლავ დაადასტურა სხვა დროსაც გაჟღერებული ფაქტი მოსარჩელის მიერ აქციების ძალის გამოყენებით წართმევის თაობაზე. ტელეკომპანია კ-ის ეთერში, დ. ა-ას გადაცემაში მოპასუხემ მოსარჩელე მოიხსენია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენად, კერძოდ, განცხადების თანახმად, მ. ს-ის პრეზიდენტობის დროს მოსარჩელე სარგებლობდა პრივილეგიებით და მოპასუხეს აქციები ხელისუფლების დახმარებით დაათმობინა. რეალურად არსებული ფაქტები კი, მეტყველებს საპირისპიროზე: მ. ს-ის ხელისუფლების პერიოდში მოსარჩელე იყო რეპრესირებული, რასაც თუნდაც ის ფაქტი მონშობს, რომ 2004 წელს დააკავეს სრულიად აბსურდული ბრალდებით და ციხეში ზენოლით აიძულეს აქციების 42% ერუქებინა სახელმწიფოსათვის. მოპასუხე, მართალია, სწორედ მ. ს-ის მმართველობის დროს მინისტრ დ. კ-ის დახმარებით აქციების წართმევაში ადანაშაულებს მოსარჩელეს, თუმცა, სინამდვილეში სს „გ-ის“ აქციების 25,817881% მან ვ. ჭ-ისაგან, ხოლო 25,817895% – დ. ა-ისაგან შეიძინა ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გარდა ღია ეთერში გავრცელებული ინფორმაციისა, მოპასუხე მოსარჩელის მხრიდან აქციების ძალის გამოყენებით წართმევის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს საწარმოს მუშებისადმი გაგზავნილ ღია წერილშიც და აღნიშნავს, რომ სწორედ მათი დახმარებით ეცდება ქონების დაბრუნებას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ 2005 წლის 28 ივნისს „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსაგან პირდაპირი მიყიდვის წესით შპს „თ-მა“ (ამ კომპანიაში მოპასუხის მეუღლეს ეკუთვნოდა 50%-იანი წილი და სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის საფუძველზე, ეს ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას) 6 000 000 აშშ დოლარად შეიძინა სს „ე-ის“ აქციათა 51,635%. 2008 წლის 8 სექტემბერს თავდაცვის ყოფილი მინისტრის – დ. კ-ის სახელით მოპასუხეს დაუკავშირდა ფინანსური პოლიციის უფროსი დ. ქ-ე და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავ-

მჯდომარე გ. ა-ე, რომლებმაც მოსთხოვეს სს „ე-ის“ აქციების გადაფორმება საზოგადოების მეორე აქციონერის, დ. კ-ის მეგობარ ი. ნ-ის მამის – მოსარჩელის სახელზე. მოპასუხე არ დაეთანხმა მოთხოვნას, რის შემდგომაც მის მიმართ დაიწყო მუქარა, არაერთხელ დაიბარეს ფინანსურ პოლიციაში, ძალადობდნენ მის მიმართ, რაც ძირითადად პოლიციის უფროსის კაბინეტში ხდებოდა. ძალადობაში მონაწილეობდა ვინმე ვ. კ-ი, ამ პროცესს ყოველთვის ესწრებოდა მოსარჩელე. ამ მოვლენებს წინ უსწრებდა სს „ე-ის“ ერთ-ერთი უმსხვილესი დამკვეთის – სს „ს-ის“ გენერალური დირექტორის – ი. ე-ას განზრახი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებისგან. სარგებლობდა რა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მხარდაჭერით, არღვევდა ვალდებულებებს კომპანიის წინაშე. სს „ს-ის“ დავალიანება 40 000 000 ლარს მიაღწია და კომპანია გაკოტრების რისკის წინაშე აღმოჩნდა. ხსენებულ პირთა ერთობლივმა ქმედებებმა განაპირობა ის, რომ უცხოური კომპანიის – „ჩ-ის“ წარმომადგენელ ვ. ჭ-ს, გარკვეული ინვესტიციის სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ დაუბრუნებდა შპს „ჯ-ს“, გადაეცა სს „ე-ის“ აქციათა 25,8%. ვ. ჭ-ის წინაშე ვალდებულება შპს „ჯ-მა“ 2008 წლის 17 სექტემბრისთვის შეასრულა, თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო ვ. ჭ-ისაგან აქციების დაბრუნების პროცესი დროში გაინელა და აქციათა მესაკუთრედ კვლავ ვ. ჭ-ი რჩებოდა, ამიტომაც ხელშეკრულებას ხელი უშუალოდ მესაკუთრედ რეგისტრირებულმა პირმა მოაწერა, თუმცა, აქციების ნასყიდობის თანხა ჩაერიცხა შპს „ჯ-ს“. ხსენებული ფაქტების შესწავლის მიზნით მოპასუხემ მიმართა საგამოძიებო ორგანოს და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მონინალმდგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, დაევალა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი, მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა შემდეგი სახით: „2013 წლის 26 ივნისს „პ-ის“ პრეს-კლუბში, 2013 წლის 1 ივლისს გადაცემა „ს-ში“ და „თ-აში“, გაზეთ „ვ-ის“ 2013 წლის 28-30 ივნისის 72-ე გამოცემაში გამოქვეყნებული განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ: „იძულებით მიმიყვანეს ქ-ის კაბინეტში, მომთხოვეს გადამეფორმებინა წილები ბ. წ-ისათვის, რომელიც იქვე იმყოფებოდა“; „პირველივე დღიდან, ტერორის დაწყებიდან, ყველაფერს ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა უშუალოდ ბ. წ-ი. ის იყო უშუალო მონაწილე ყველა ამ ძალადობრივი აქტისა, ის იყო დამკვეთი“; „ჩვენ ძალადობით ბანდიტებმა წაგვართვეს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით, შემსრულებელი იყო კ-ი, კოორდინატორი, დამკვეთი ბ. წ-ი“; „ერთი განუყოფელია კ-ი და წ-ი.“; „15 მილიონი მოვახმარეთ ბ. წ-ის ძველი დანაშაულის დაფარვას“; „ბანდიტი წ-ი ავტომატებით შემომივარდა ოჯახში, გამძარცვა და წაიღო ჩემი ქონება“; „კაბინეტში (სადაც იგი არანებაყოფლობით იმყოფებოდა) დამხვდა ბ. წ-ი“; „მისი ინიცირებული და მისი დაკვეთილი ღონისძიებაა, იგი განაგებდა და იძლეოდა განკარგულებებს როცა მიმიყვანეს კაბინეტში“; „ეს იყო მისი წამოწყებული საქმე, ქ-ე ხელმძღვანელობდა, გვერდს უმშვენიებდა ბ. წ-ი“; „2008 წლის 8 სექტემბერს შეიარაღებული ბანდიტები მომადგნენ და ფინანსურ პოლიციაში, მაშინდელი უფროსის დ. ქ-ის კაბინეტში დამიბარეს. იქ ბ. წ-ი დამხვდა, რომელიც ამ პროცესს ხელმძღვანელობდა“, ასევე, „პროკურატურაში შევიტანე სარჩელი, რომლითაც ფინანსური მაქინაციების გამოძიებას კი არა, ბანდიტებისა და მოძალადე მკვლელების დასჯას ვითხოვე. ესენი არიან, კონკრეტულად ბ. წ-ი“. დაევალა ა. ს-ეს სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტების უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალებების, კერძოდ, ტელეკომპანიების: „კ-ის“, „მ-ის“, სააგენტო „პ-ის“ და გაზეთ „ვ-ის“ მეშვეობით;

5.2. ამავე სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის განჩინებით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინება ძირითადად ემყარება სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, ამ პირობებში სასამართლომ გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დასაბუთებულად ჩათვალა და დადასტურებულად მიიჩნია აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, პალატის შეფასებით, იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას. სააპელაციო პალატის შეფასებებსა და დასკვნებს არ ეთანხმება კასატორი და მოითხოვს საქმის ხელახლა განსახილველად იმავე ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნებას.

2. საკასაციო განხილვის ფარგლები (საკასაციო საჩივრის ფაქტობრივი საფუძვლები):

2.1. კასატორი სააპელაციო სასამართლოს შეფასებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების არსებობის თაობაზე ძირითადად იმ საფუძვლით არ ეთანხმება, რომ მან, როგორც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, წარადგინა სააპელაციო შესაგებელი და არ დაეთანხმა მოთხოვნას, 2016 წლის 19 ოქტომბრის სხდომის თაობაზე უწყება მას გაეგზავნა რეგისტრირებულ მისამართზე და ჩაბარდა ადრესატის ხანდაზმულ დედას, დანიშნულ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო აპელანტმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რაც სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა. 2017 წლის 25 იანვრის განჩინებით სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მხარისათვის უცნობი იყო საქმის განხილვის თაობაზე, მას უწყება არ ჩაბარებია არც პირადად და არც მოგვიანებით არ გადასცემია. საქმის განხილვის შესახებ მას მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებით ეცნობა. მხარის განმარტებით, უწყების ჩაუბარებლობის საფუძველს წარმოადგენდა მის მიერ ამ პერიოდში საარჩევნო კამპანიით დაკავება (მხარე მონაწილეობას იღებდა საპარლამენტი არჩევნებში), რის გამოც დროის უმეტესი ნაწილი რეგისტრირებულ მისამართზე არ იმყოფებოდა. შესაბამის-

სად, წარმომადგენლისათვისაც უცნობი იყო სასამართლო სხდომის დანიშვნის ფაქტი. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები, რამდენადაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინააღმდეგ, უწყების მეორე ეგზემპლარზე არ არის აღნიშნული სად იყო წასული ადრესატი და როდის ვარაუდობდნენ მის დაბრუნებას. საგულისხმოა, რომ უწყება არ გაგზავნია მხარის წარმომადგენელს, რაც მეტად ეფექტური გზაა სამართალწარმოებისას პრობლემების თავიდან აცილებისათვის, ხოლო უწყების მიმღები პირისათვის არავის აუხსნია ამ დოკუმენტის ადრესატისათვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ;

2.2. აღსანიშნია ის გარემოება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა არის სასამართლოს ვარაუდი, რომ გამოუცხადებელი მხარე დავის მიმართ ინტერესს არ იჩენს. ამგვარი ვარაუდი სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა, რადგანაც არც ერთი სხდომა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამო არ გადადებულა, იგი უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობდა საქმის განხილვაში. ამდენად, სახეზეა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

3.1. ვიდრე საკასაციო პრეტენზიების საფუძვლიანობის კვლევას შეუდგებოდეს, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე თეორიულ საკითხზე: წინამდებარე დავის განსახილველად დაშვების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილი (არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე) და მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი წარმოადგენს (გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე), შესაბამისად, პრეტენზიათა საფუძვლიანობა, ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის (საკასაციო სასამართლო ამომწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა) დისპოზიციის გათვალისწინებით, შემომდებია, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინაპირობების არსებობის, ისე – გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კუთ-

ხით.

3.2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები:

3.2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება.

3.2.2. იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მონინალმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები).

3.2.3. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით

დადგენილი წესით არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, რადგანაც 2016 წლის 19 ოქტომბერს, 10:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო შესაგებელში მითითებულ მისამართზე უწყება გაეგზავნა ფოსტით (იხ. სსკ-ის 73.1. მუხლი) და ჩაბარდა მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს, დედას, რაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, მხარის ჯეროვან ინფორმირებად განიხილება და სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, შეუდგეს საქმის განხილვას. მხოლოდ ის გარემოება, რომ უწყების მეორე ეგზემპლარზე, ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, არ არის მითითებული ადრესატის არყოფნის თაობაზე, არ შეიძლება მის არაინფორმირებულად მიჩნევას დაედოს საფუძვლად, რამდენადაც საკასაციო საჩივრით იგი ადასტურებს არა ქვეყნის ან რეგიონის დატოვებას, არამედ, მიუთითებს საარჩევნო კამპანიის წარმოებაზე და საქმეში წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მხარე ამ კამპანიას აწარმოებდა ქ. თბილისში, მ-ისა და გ-ის საარჩევნო ოლქში. პალატა ასევე ხაზგასმით არ იზიარებს მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უწყება უნდა ჩაბარებოდა წარმომადგენელს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი (მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს) სასამართლოს ამგვარ ვალდებულებას არ უდგენს, შესაბამისად, ნორმის სუბიექტთაგან ერთ-ერთის (მათ შორის ამ კოდექსის 74-ე მუხლის სუბიექტის) ინფორმირება სრულად შეესაბამება კანონის ნებას.

3.2.4. უარსაყოფია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სასამართლოს არ გააჩნდა ვარაუდის საფუძველი მის მიერ დავის მიმართ ინტერესის დაკარგვისა. იმ პირობებში, როდესაც მხარე, ჯეროვნადაა ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და არასაპატიოდ არ ცხადდება სხდომაზე, სწორედ რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველია. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების თაობაზე საჩივარი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზეც, კერძოდ, მხარე ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები (დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ

არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის). საბოლოოდ საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ აპელანტის მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობა ქმნიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების ფორმალურ-პროცესუალურ საფუძველს.

3.3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები:

3.3.1. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუკი ზემოხსენებულ წინაპირობებთან ერთად დადგენილად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე და 387-ე მუხლების დისპოზიციიდან გამომდინარე, მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას დადგენილად მიჩნევა სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტები და აპელანტის ახსნა-განმარტება, რომელთა სუბსუმირება მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმასთან სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს. ამასთანავე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას სახეზეა მტკიცების ტვირთის კონკურენცია: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ადგენს დიფამაციური სარჩელების განხილვის მტკიცების ტვირთს, რომელიც სიტყვის თავისუფლების საყოველთაო იდეის გათვალისწინებით, მეტად ორიენტირებულია ამ უფლების დაცვაზე, ვიდრე შეზღუდვაზე, შესაბამისად, სტანდარტი ითვალისწინებს შეზღუდვის უტყუარ მტკიცებულებებზე დამყარებას, ხოლო მტკიცების ტვირთს აკისრებს შეზღუდვის ინიციატორს (მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაძლევს კანონით დაკისრებულ ზემოხსენებულ ვალდებულებას, ბუნებრივია, მათი გაქარწყლების საშუალება სადავო განმცხადებლის ავტორს ეძლევა, საქმეზე – „McVicar“ ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან პრინციპულად შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის მტკიცების დაკისრება), თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც მონინაალმდეგე მხარე არ ცხადდება საქმის განხილვაზე, მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის დებულება, რომ სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დადასტურებულად მიიჩნევა. ამდენად, მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო საა-

პელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია დადგენილად მოპასუხის მხარისგან შემდეგი განცხადებების გავრცელების ფაქტი:

– 2013 წლის 26 ივნისს „ბ-ის“ პრეს კლუბში ა. ს-ემ ჩაატარა პრეს-კონფერენცია. ინტერვიუს მესამე წუთზე მან განაცხადა: „იძულებით მიმიყვანეს ქ-ის კაბინეტში, მომთხოვეს გადამფეორმებინა წილები ბ. წ-ისათვის, რომელიც იქვე იმყოფებოდა“. სამ წუთსა და 40 წამზე მოპასუხემ განაცხადა: „პირველივე დღიდან, ტერორის დაწყებიდან, ყველაფერს ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა უშუალოდ ბ. წ-ი. ის იყო უშუალო მონაწილე ყველა ამ ძალადობრივი აქტისა, ის იყო დამკვეთი“. 6 წუთსა და 45 წამზე: „ჩვენ ძალადობით ბანდიტებმა წაგვართვეს, კიდეც ერთხელ ხაზგასმით, შემსრულებელი იყო კ-ი, კოორდანიტორი, დამკვეთი ბ. წ-ი“. მე-16 წუთზე: „ერთი განუყოფელია კ-ი და წ-ი“, მე-16 წუთსა და 45 წამზე: „15 მილიონი მოვახმარეთ ბ. წ-ის ძველი დანაშაულის დაფარვას“, 21 წუთსა და 45 წამზე მოპასუხემ განაცხადა: „ბანდიტი წ-ი ავტომატებით შემომივარდა ოჯახში გამძარცვა და წაიღო ჩემი ქონება“.

– იმავე შინაარსის განცხადებები გააკეთა ა. ს-ემ 2013 წლის 1 ივლისს გადაცემა „ს-ში“, გადაცემის 8 წუთსა და 49 წამზე მოპასუხემ მასზე ძალადობის განმანხორციელებელთა შორის მოპასუხე მოიაზრა, განაცხადა, რომ „კაბინეტში (სადაც იგი არანებაყოფლობით იმყოფებოდა) დამხვდა ბ. წ-ი“, ასევე 14 წუთსა და 13 წამზე „მისი ინიცირებული და მისი დაკვეთილი ღონისძიებაა, იგი განაგებდა და იძლეოდა განკარგულებებს როცა მიმიყვანეს კაბინეტში“.

– „თ-აში“ ინტერვიუს მე-20 წუთზე მოპასუხემ განაცხადა: „ეს იყო მისი წამოწყებული საქმე, ქ-ე ხელმძღვანელობდა, გვერდს უმშვენებდა ბ. წ-ი“.

– გაზეთ „ვ-ის“ 2013 წლის 28-30 ივნისის №72 გამოცემის მე-7 გვერდზე განთავსებულ ინტერვიუში ა. ს-ე აცხადებს: „2008 წლის 8 სექტემბერს შეიარაღებული ბანდიტები მომადგნენ და ფინანსურ პოლიციაში, მაშინდელი უფროსის დ. ქ-ის კაბინეტში დამიბარეს. იქ ბ. წ-ი დამხვდა, რომელიც ამ პროცესს ხელმძღვანელობდა“, ასევე „პროკურატურაში შევიტანე სარჩელი, რომლითაც ფინანსური მაქინაციების გამოძიებას კი არა ბანდიტებისა და მოძალადე მკვლელების დასჯას ვითხოვ. ესენი არიან, კონკრეტულად ბ. წ-ი“.

3.3.2. პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ უდავო გარემოებაზე, რომ მოსარჩელე წარმოადგენს კერძო პირს („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონის) პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტი), შესაბამის-

სად, მისი ინიციატივით სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ექცეოდეს კანონის მე-13 მუხლის ფარგლებში (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა). მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შინაარსის სწორად განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კანონში გადმოცემული „ცილისწამების“ ცნების დეფინიცია (იხ. კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი: ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება), ასევე, როგორც ეროვნული, ისე – ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკა (მრავალთა შორის იხ. მაგ: *Steel and Morris v. the United Kingdom*; *Lingens v. Austria*; სუსგებები: №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი; №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი; №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი; №ას-1011-972-2016, 26 ივლისი, 2017 წელი) „აზრისა“ და „ფაქტის“ გამოჯგენის თაობაზე. საკასაციო სასამართლო ასევე, რომ დადასტურებულად მიჩნეული მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები ერთობლიობაში წარმოადგენს კანონის მე-13 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას, რომელიც სცდება გამოხატვის თავისუფლებას, წარმოადგენს „ფაქტს“ და არა „აზრს“, ლახავს პირის ევროკონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ რეპუტაციის უფლებას და არ ასახავს რეალობას, არღვევს მოსარჩელის დაცულ უფლებას და გავლენას ახდენს მის პატივსა და ღირსებაზე, რაც დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველია.

3.3.3. საკასაციო სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს გავრცელებული ცნობების უარყოფა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები. 2004 წლის 16 ივლისამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, ახ-

ლებურად მონესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკე-
თის დაცვა და ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლებების
რეალიზაცია, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებთან ერთად,
შესაძლებელი გახდა სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამო-
ხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც სხვა საკითხებთან
ერთად დაადგინა როგორც დაცვის მექანიზმები, ასევე სამოქალა-
ქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ მხრივ
მნიშვნელოვანია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესა-
ხებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის და-
ნაწესი, რომლის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მო-
პასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი
ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების
შესახებ. ამდენად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ
სარჩელის მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს არა ცნობის უარ-
ყოფა, არამედ, ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტი-
ლების შესახებ, თუმცა, რადგანაც კასატორს ამ მხრივ არა თუ და-
საბუთებული პრეტენზია, შედავებაც კი არ აქვს წარმოდგენილი,
პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირვე-
ლი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამ გარემოებას საფუძ-
ვლად ვერ დაუდებს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტი-
ლების/განჩინების გაუქმებას, გარდა ამისა, თუკი კანონიერ ძალა-
ში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულებას ხელი
შეეშლება ხსენებული საპროცესო დარღვევის გამო, პალატა მიიჩ-
ნევს, რომ ეს საკითხი ამავე კოდექსის 263-ე მუხლის შესაბამისად,
აღსრულების წესის განსაზღვრის კონტექსტში გადაწყვეტილების
მიმღები სასამართლოს კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

4. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩი- ნების უცვლელად დატოვების სამართლებრივი დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ეთანხმება გასა-
ჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების შეფასე-
ბებსა და დასკვნებს, რომლის წინააღმდეგაც სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედავება
არ წარმოდგენილა კასატორის მხრიდან. ამავე კოდექსის 410-ე
მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს
საკასაციო საჩივარს, თუ:

- ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;
- ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად
არ უდევს კანონის დარღვევა;
- გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად
სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო
ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

5. სასამართლო ხარჯები:

რადგანაც წინამდებარე განჩინებით კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, ხოლო, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2017 წლის 25 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

განჩინება

საქართველოს სასახელით

№ას-496-496-2018

12 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: გავრცელებული ცნობის უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ი. ა-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. წ-ის (შემდგომში – მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება, სამაუწყებლო კომპანიების: „რ-ის“, „კ-ის“, საზოგადოებრივი მაუწყებლის მ-ის, აგრეთვე, ინტერნეტგამოცემების: „პ-სა“ და „ი-ის“ საშუალებით, როგორც სიცრუე და ცილისწამება, უარყოს მის მიერ გავრცელებული ცნობა (თ. წ-ის მიერ 2015 წლის 24 სექტემბერს გაკეთებული განცხადება, თითქოს ი. ა-ი ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით არ შეესაბამება სინამდვილეს).

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის 24 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თ. წ-მა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, გააკეთა შემდეგი განცხადება: „მინდა მივესალმო სულ რამდენიმე დღის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც, მაგალითად, გადაწყვიტა, რომ და რაკი უკვე ყოფილი მოსამართლეა მე ამაზე ვისაუბრებ, ბატონი ი. ა-ისათვის აღარ განეახლებინა სასამართლო უფლებამოსილება. დიახ, ეს არის მოსამართლე, რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წარმოვლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. დიახ, ასეთი მოსამართლეები უნდა წავიდნენ, მაგრამ ეს ვერ იქნება მოსამართლეებზე ძალადობის პოლიტიკა, მათ უბრალოდ უნდა მივცეთ საშუალება, რთულია მაგრამ დაასრულონ ვადა, მაგრამ ნურავინ იოცნებებს იმაზე, რომ სამუდამოდ გადაინიშნებიან. შესავლის ბოლოს, მინდა ისიც შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ სასამართლოს წინა თავმჯდომარე, ამ მოსამართლეებს, მათ შორის გ-ის მოსამართლეებს ჰპირდებოდა, რომ ისინი როდესაც ათ წელს ამონურავდნენ გადაინიშნებოდნენ სამუდამოდ. ეს ვერ მოხდება და ამის პირობას მე გაძლევთ ჩემს ასე ვთქვათ თანამებრძოლებთან ერთად. დაასრულონ ამ მოსამართლეებმა თავიანთი ვადა, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან მუდმივად ჩვენი შვილების ბედის გამამწყვეტები იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ რბილად რომ ვთქვათ“. ხსენებული განცხადება რამდენჯერმე გადაიცა როგორც სხვადასხვა ტელევიზიის საშუალებით („რ.“, „კ-ია“, ს-ი) და მათ ვებ-გვერდებზე, ასევე, განთავსდა სხვადასხვა ინტერნეტგამოცემის მიერ, როგორც წერილობით, ასევე ვიდეომასალის სახით („პ.“, „ი-ი“). მოპასუხის მიერ ნათქვამი ფაქტი, რომ „ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, არის

სრული სიცრუე და ცილისწამება, რითაც უხეშად შეილახა მისი, როგორც მოსამართლის, ისე – ადამიანის უფლებები, ვინაიდან განცხადება უტყვის სახელს, ლახავს მის პატივსა და ღირსებას. 2010-2011 წლებში მოსარჩელე მონანილეობას იღებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მუშაობაში, როგორც დროებითი მოსამართლე, საქმეზე №25091/07 „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ნაწილის შესახებ, კერძოდ, 261-ე-266-ე აბზაცებში დაფიქსირებულ სასამართლოს მოსაზრებაზე მან გამოთქვა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომელიც შეეხებოდა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ქმედებების ნაწილში მე-2 მუხლის საპროცესო ასპექტების დარღვევასთან დაკავშირებით. იმ ხარვეზებს, რაც აღნიშნულია გადაწყვეტილების 261-ე-266-ე აბზაცებში, საერთო არაფერი აქვთ სასამართლო ხელისუფლებასთან. შესაბამისად, მოსარჩელემ გამოთქვა „ნაწილობრივ განსხვავებული აზრი“ და არა „განსხვავებული აზრი“.

2. მოპასუხის პოზიცია:

სარჩელის წინააღმდეგ მოპასუხემ სამართლებრივი შესაგებელი წარადგინა და განმარტა, რომ მოსარჩელის მტკიცება, თითქოს მან განსხვავებული აზრი მხოლოდ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 261-ე-266-ე აბზაცების მიმართ გამოხატა, არასწორია. მან სინამდვილეში, განსხვავებული აზრი გამოხატა ევროპული სასამართლოს სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების ყველა იმ აბზაცის მიმართ, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტისა და 38-ე მუხლის დარღვევას. მოსარჩელე საკუთარი განსხვავებული აზრის პირველივე აბზაცში აცხადებს: „ვნუხვარ, რომ არ შემოძლია დავეთანხმო პალატის უმრავლესობის პოზიციას, რომელმაც დარღვეულად ცნო კონვენციის მე-2 მუხლი (პროცედურული ასპექტი) და 38-ე მუხლი“. საქმეზე „ე-ე და გ-ი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-5 პუნქტებში მითითებულია: „ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით“, „ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი“. ხსენებულ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 241-ე-278-ე აბზაცები მოიცავს სასამართლოს შეფასებას ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტების

დარღვევის, ხოლო 296-ე-302-ე აბზაცები – კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევის თაობაზე. ეს დარღვევები ლოგიკურ კავშირშია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-5 პუნქტებთან. მოპასუხეს არასდროს მადლობა არ გადაუხდია მოსარჩელისათვის, ის იყო ერთადერთი მოსამართლე, რომელმაც ხმა არ დაუჭირა ზემოაღნიშნულ საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ევროპული კონვენციის მე-2 და 38-ე მუხლების დარღვეულად ცნობის შესახებ, შესაბამისად, არ დაეთანხმა ევროპული სასამართლოს არც ერთ დასკვნას კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის ნაწილში, რომელიც მოცემულია გადაწყვეტილების 241-ე-278-ე მუხლებში და მოიცავს ქვეყნის შიგნით საქმის განხილვის ყველა ეტაპს, მათ შორის იმასაც, რომელიც ს. გ-ის, თითქოსდა „ბუჩქებზე წაქცევას“ ეხება. მოსარჩელე ასევე არ დაეთანხმა კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას, რომელიც გამომდინარეობდა იქიდან, რომ ევროპული სასამართლოს არაერთი მოთხოვნისა და შეხსენების მიუხედავად, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ევროპულ სასამართლოს დროულად არ წარუდგინა ე. წ. 14 მტკიცებულება, რომლიდანაც გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ს. გ-ი ბუჩქებზე ვერ მიიღებდა მომაკვდინებელ ჭრილობას, არამედ ის უნდა ყოფილიყო მოკლული, რის ჯეროვნად გამოძიებაც მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ისურვა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს მოსამართლეები გამოთქვამენ იმ შემთხვევაში, როდესაც არ ეთანხმებიან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტს, მაგრამ ეთანხმებიან სხვა პუნქტებს. თუკი მოსარჩელეს განსხვავებული აზრი მხოლოდ გადაწყვეტილების 261-ე-266-ე აბზაცების მიმართ ჰქონდა, მაშინ მას კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტისა და 38-ე მუხლის დარღვევისათვის მხარი უნდა დაეჭირა და ამასთანავე, თანმხვედრი აზრი უნდა გამოეთქვა მთლიანად გადაწყვეტილების მხარდაჭერის შესახებ და დაეფიქსირებინა, რომ ჰქონდა რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება სარეზოლუციო ნაწილის გარკვეული აბზაცების მიმართ. მთელი თავისი მოქმედებით მოსარჩელემ (განსაკუთრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის წინააღმდეგ ხმის მიცემით) ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების 800 მილიონ მოქალაქეს, მათ შორის მოპასუხეს, შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი დარღვეულად მიჩნეულიყო. რამდენადაც მოსარჩელემ ამ დარღვევის წინააღმდეგ მისცა ხმა, ერთადერთი გონივრული დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოეთანა ნებისმიერ საღი აზრის მქონე ადამი-

ანს, მათ შორის, მოპასუხეს, იყო შემდეგი: ასეთი მოქმედებით მოსარჩელემ გამოხატა წინააღმდეგობა და უთანხმოება სასამართლოს გადაწყვეტილების ყველა იმ ნაწილის მიმართ, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას ეხება. ასეთები კი გადაწყვეტილების 241-ე-278-ე აბზაცებია და არა მხოლოდ 261-ე-266-ე აბზაცები. მოპასუხის მიერ გაკეთებული სადავო განცხადება არის არა ფაქტის მტკიცება, რომ მოსარჩელემ ზუსტად ეს სიტყვები თქვა სტრასბურგის სასამართლოში ან სადმე სხვაგან, არამედ – ლოგიკური დასკვნა და აზრი, რომელიც მოპასუხეს სამართლიანად და გონივრულად ჩამოუყალიბდა მოსარჩელის შესახებ მისივე მოქმედებიდან. ეს არის პოლიტიკოსის მიერ საზოგადოებრივი ყურადღების მქონე საკითხზე რიტორიკული ილეთის მეშვეობით გამოთქმული შემაჯამებელი შეფასება მოსარჩელის იმ ქმედებიდან გამომდინარე, როდესაც მან, როგორც მოსამართლემ, ევროპული სასამართლოს შესაბამისი პალატის ყველა დანარჩენი მოსამართლის სანინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინებების სარეზოლუციო ნაწილები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სხდომის თავმჯდომარის – ო. ს-ას აცხილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამავე სხდომაზე უარყოფილ იქნა ი. ა-ის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარზე დართული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების საქმიდან ამოღების შესახებ, ხოლო, 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, შუამდგომლობების უარყოფის შესახებ 2018 წლის 1 თებერვლის საოქმო განჩინებების გაუქმება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მტკიცებულების გა-

მოთხოვა (2017 წლის 26 აგვისტოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი სამთავრობო საქმიანობის ფარგლებში მონინალმდევე მხარის მიერ მოსამართლე ო. ს-ას შეფასებისას დასმული ნიშანი) და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინებების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას, ახდენს თუ არა იგი გავლენას მოსარჩელის უფლებებზე მდგომარეობაზე და არსებობს თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის საკმარისი წინაპირობები. დავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან ერთად, კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო პალატის იმ შუალედური განჩინებების კანონიერებას, რომლებიც მხოლოდ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად შეიძლება, გასაჩივრდეს (სსსკ-ის 404.2 მუხლი: საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა). ეს განჩინებები კი, შეეხება საქმის განმხილველი შემადგენლობის მიუკერძოებლობასა და მონინალმდევე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების დასაშვებობას. გარდა ხსენებულისა, კასატორი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს ახალი მტკიცებულებების გამოთხოვისა და საქმისათვის დართვის თაობაზე.

1.2. საკასაციო პალატა, დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ საერთო წესის მიხედვით, სასამართლოს ნებისმიერი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად (ცალკე) – კერძო საჩივრით (საჩივრით), ხოლო ზოგიერთი – მხოლოდ გადაწყვეტილებასთან ერთად. იმ განჩინებებზე, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებ-

ბელია, შეიძლება მიეთითოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ საკასაციო საჩივარში. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების ამ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების მიზანი შეიძლება იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობის, მისი კანონის დარღვევით მიღების დადასტურება, შესაბამისად, თუ შემონიშნების შედეგად აღმოჩნდება, რომ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული წინმსწრები განჩინებები კანონის დარღვევითაა მიღებული, რამაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა განაპირობა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს როგორც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ისე – კანონის დარღვევით მიღებულ განჩინებებსაც (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №3კ/393-01, 19 ოქტომბერი, 2001 წ; №ას-112-415-04, 4 მარტი, 2004წ; №ას-217-209-2013, 20 სექტემბერი, 2013 წ.).

1.3. მოხმობილი განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, შეჩერდება სააპელაციო პალატაში გამართული სხდომის თავმჯდომარის აცილების საკითხზე. ამ თვალსაზრისით, მხარის ძირითადი პრეტენზიები შემოიფარგლება იმით, რომ მოსამართლე არ შეიძლება ყოფილიყო ნეიტრალური საქმის განხილვისას, რადგანაც ის ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს მოსამართლის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში იღებდა მონაწილეობას 2017 წელს და სამთავრობო კომისიას თავმჯდომარეობდა მოპასუხე, როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მოპასუხე მხარს უჭერდა ევროსასამართლოს მოსამართლის კანდიდატად მოსამართლე ო. ს-ას წარდგენას, რაც მხარეს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს აძლევს.

1.4. სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 1 თებერვლის სხდომაზე თავმჯდომარის მონაწილეობის გარეშე განიხილა ხსენებული საკითხი და უმრავლესობით უარყო შუამდგომლობა. საკასაციო სასამართლო გაეცნო საოქმო ჩანაწერს, სასამართლოს მოტივაციას და დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას სადავოდ არ გაუხდია მოსამართლე ო. ს-ას მონაწილეობა კონკურსში, უფრო მეტიც, ეს გარემოება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ვინაიდან არაერთხელ იქნა დადასტურებული კონკურსში მონაწილე ნომინირებულ პირთა სია და ის საჯარო დისკუსიის საგანიც არაერთხელ გამხდარა, შესაბამისად, ამ ფაქტის მტკიცებისაგან მოსარჩელე გათავისუფლებულია, რაც შეეხება სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეობას, ხსენებული საკითხი ნორმატიული აქტით – საქართველოს მთავრობის დადგენი-

ლებითაა განსაზღვრული, ამდენად, შუამდგომლობაში გადმოცემული წინაპირობები დადასტურებულია, შეფასების საგანია მხოლოდ ის გარემოება, დადასტურებული ფაქტები წარმოადგენს თუ არა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების საფუძველს.

1.5. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე – ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლით იმპერატიულადაა განსაზღვრული საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის უფლება, რომელიც ფართო ინტერპრეტაციას ექვემდებარება და თავის თავში მოიცავს საქმის განხილვისას ყველა იმ გონივრული ეჭვის გაქარწყლების აუცილებლობას, რომელმაც საშუალო წინდახედულობის ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. პრეცედენტული სამართლის თანახმად, ორგანოს „დამოუკიდებლობის“ განსაზღვრისათვის (განსაკუთრებით აღმასრულებელი ორგანოს და საქმეში მონაწილე მხარეთა) საჭიროა, გათვალისწინებული იქნეს მისი წევრების დანიშვნის ფორმა და მათი პოსტზე ყოფნის ვადა, გარე ზეწოლისაგან დაცვის გარანტიები და დამოუკიდებლობის დამადასტურებელი ასპექტები (იხ. კემპბელისა და ფელის საქმე, §78). კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება: პირველი – სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან; მეორე – იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. „გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ“, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 1030-31, §58; „მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, №38784/97, §58, ECHR 2002-1). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის სანაღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. „ჰაუსჰალტი დანიის წინააღმდეგ“, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X, „CASE OF GALSTYAN v. ARMENIA“, საჩივრის №26986/03).

1.6. პალატა მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტიდან გამომდინარე, მიუბრუნდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლებს, რომლებითაც გათვალისწინებულია მოსამართლის აცილების/თვითააცილების ინსტიტუტი. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განმხილველი შემაღენლობის აცილების საფუძველები პირობითად შეიძლება დავ-

ყოთ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებად, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც უტყუარად დგინდება მიკერძოების, თუნდაც სუბიექტური წინაპირობის არსებობა (მაგ: სსსკ-ის 31.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, განაცხადოს თვითაცლიება, მიუხედავად იმისა, მხარე გამოხატავს თუ არა უნდობლობას მის მიმართ. მოსამართლის აცლიების საკითხის განხილვისას უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს ანებს ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა. იმ საქმეების უდიდეს უმრავლესობაზე, რომლებიც მიკერძოებულობის საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს სწორედ ობიექტურობის ტესტზე აკეთებს. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებულობაში. იმის გადასაწყვეტად, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლეგიტიმური ეჭვი მოსამართლის ან საქმის განმხილველი ორგანოს მიუკერძოებლობის თაობაზე, მოცემული პირის პოზიცია არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად არის პირის ეჭვი მიკერძოების შესახებ ობიექტურად გამართლებადი, ანუ რამდენად აქვს მას შიშის საფუძველი (იხ. „ვეტსტაინი შვეიცარიის“ წინააღმდეგ, ECHR 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; „მიქალეფი მალტის წინააღმდეგ“, ECHR 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება; „პადოვანი იტალიის წინააღმდეგ“, ECHR 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება; „პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ“, ECHR 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება). ნიშანდობლივია, რომ ობიექტურობის ტესტი უმეტესწილად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის (იხ. მილერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECHR 2004 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება).

1.7. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობაში გადმოცემული/დადასტურებული ფაქტები საქმის განმხილველი მომხსენებელი მოსამართლისა და მოპასუხის ურთიერთკავშირის შესახებ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს წარმოუშობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობის ვალდებულებას (მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებულობაში), უფრო მეტიც, ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარისა და მოსამართლის ურთიერთკავშირმა შეიძლება, დააზიანოს სასამართლოს მიუკერძო-

ებლობის პრინციპი და შელახოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლის მაღალი ნეიტრალიტეტის სტანდარტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად (აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი), მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

1.8. უნდა განიმარტოს ისიც, რომ საქმის განხილვაში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელსაც გააჩნია/რომლის მიმართაც არსებობს აცილების ობიექტური საფუძველი, საქმის არაკანონიერი შემადგენლობით განხილვას იწვევს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად (გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ), გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

1.9. ვინაიდან ქვემდგომი სასამართლოს განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაუქმდა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარში გადმოცემული შედავებების ფარგლებში დეტალურად გამოიკვლიოს ქვემდგომი სასამართლოს შეფასებებისა და დასკვნების კანონიერება, თუმცა, საკასაციო სასამართლოს განმარტების დოკტრინალური მნიშვნელობიდან, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (ქვემდგომი სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადანყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის) გამომდინარე, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა შორის რამდენიმე უდავო ფაქტსა და დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სამართლებრივ საკითხებზე:

1.9.1. მოსარჩელე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა, რომელიც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მონაწილეობდა საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი საქმის – „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ განხილვაში, შესაბამისად, ამ პიროვნებას კარგად იცნობს ფართო საზოგადოება. მოპასუხე, როგორც სადავო ცნობის გავრცელებისას, ისე – დღეს საქართველოს იუსტიციის მოქმედი მინისტრია, შესაბამისად, ორივე მათგანი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (შემდგომში – სპეციალური კანონი) საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიზნები-

სათვის წარმოადგენენ საჯარო პირებს.

1.9.2. საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის საკმაოდ მაღალი ყურადღების სფეროშია დღემდე საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ისევე, როგორც სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის საკითხი (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი: საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან).

1.9.3. უდავოა, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე მოპასუხებ გაავრცელა განცხადება (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: განცხადება – ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო), რომლითაც გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მოსარჩელისათვის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გაგრძელების უარყოფითად გადაწყვეტის თაობაზე და განმარტა: „მინდა მივესალმო სულ რამდენიმე დღის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც, მაგალითად, გადაწყვიტა, რომ და რაკი უკვე ყოფილი მოსამართლეა მე ამაზე ვისაუბრებ, ბატონი ი. ა-ისათვის აღარ განეხილებინა სასამართლო უფლებამოსილება. დიახ, ეს არის მოსამართლე, რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წარმოვლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. დიახ, ასეთი მოსამართლეები უნდა წავიდნენ, მაგრამ ეს ვერ იქნება მოსამართლეებზე ძალადობის პოლიტიკა, მათ უბრალოდ უნდა მივცეთ საშუალება, რთულია მაგრამ დაასრულონ ვადა, მაგრამ ნურავინ იოცნებებს იმაზე, რომ სამუდამოდ გადაინიშნებიან. შესავლის ბოლოს, მინდა ისიც შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ სასამართლოს წინა თავმჯდომარე, ამ მოსამართლეებს, მათ შორის გ-ის მოსამართლეებს პირდებოდა, რომ ისინი როდესაც ათ წელს ამონურავდნენ გადაინიშნებოდნენ სამუდამოდ. ეს ვერ მოხდება და ამის პირობას მე გაძლევთ ჩემს ასე ვთქვათ თანამებრძოლებთან ერთად. დაასრულონ ამ მოსამართლეებმა თავიანთი ვადა, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან მუდმივად ჩვენი შვილების ბედის გადამწყვეტები იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ რბილად რომ ვთქვათ“.

1.9.4. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გაავრცელებული ცნობა – „ი. ა-

ი ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, არ შეესაბამება სინამდვილეს, არის ცილისმწამებლური და მოითხოვს ამ ცნობის უარყოფის შესახებ გადანყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნებას.

1.10. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სპეციალური კანონის მე-14 მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისმწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

1.11. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ფორმალური თვალსაზრისით დასაბუთებულია, მასში გადმოცემულია სადავო განცხადების შინაარსი, წარმოდგენილია მტკიცებულება – მოსამართლის განსხვავებული აზრი, რომელიც, მხარის მოსაზრებით, აქარწყლებს გავრცელებულ განცხადებაში გადმოცემული ფაქტების ნამდვილობას, ამასთანავე, მოპასუხეს შეეძლო ევროსასამართლოს გადანყვეტილების საჯაროობიდან გამომდინარე ფაქტების გადამოწმება, ხოლო, ცნობის გავრცელებით, მას ადგება ზიანი – დისკრედიტებულია საზოგადოებაში.

1.12. მოპასუხის შედავებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარე ნორმის წინაპირობებიდან გამომდინარე მისათითებელ ფაქტებს არ ედავება, არამედ, არსებითი შესაგებელი წარადგინა, რომლის მიხედვითაც მოპასუხის მიერ გაკეთებული სადავო განცხადება არის არა ფაქტის მტკიცება, რომ მოსარჩელემ ზუსტად ეს სიტყვები თქვა სტრასბურგის სასამართლოში ან სადმე სხვაგან, არამედ – ლოგიკური დასკვნა და აზრი, რომელიც მოპასუხეს სამართლიანად და გონივრულად ჩამოუყალიბდა მოსარჩელის შესახებ მისივე მოქმედებიდან. ეს არის პოლიტიკოსის მიერ საზოგადოებრივი ყურადღების მქონე საკითხზე რიტორიკული ილეთის მეშვეობით გამოთქმული შემაჯამებელი შეფასება მოსარჩელის იმ ქმედებიდან გამომდინარე, როდესაც მან, როგორც მოსამართლემ, ევროპული სასამართლოს შესაბამისი პალატის ყველა დანარჩენი მოსამართლის საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნე-

ბისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს). შედეგების არსებითობას განაპირობებს ის გარემოება, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება წარმოადგენს აზრს თუ ფაქტს და პოლიტიკურ დებატს, რადგანაც სპეციალური კანონის 4.1. მუხლისა და 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, როგორც აზრი, ისე – პოლიტიკური დებატისას გაკეთებული განცხადება დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და სამოქალაქო პასუხისმგებლობას გამორიცხავს (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი: აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება).

1.13. მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთის საკითხი დღის წესრიგში ფაქტობრივად აღარ დგას, არამედ, სასამართლოს მხრიდან შეფასებას ექვემდებარება მხარეთა შორის უდავო გარემოებები. დიფამაციის შესახებ საარჩევნების განხილვისას პრაქტიკაში წარმოჭრილია აზრისა და ფაქტის ცნების გამიჯვნის პრობლემა. სასამართლო პრაქტიკაში განისაზღვრა მათი გამიჯვნის სტანდარტი, რომელიც შემდეგია: სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. „ფაქტები“ კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ გვაქვს იმისი შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება

ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). აზრისა და ფაქტის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე („ლინგენის ავსტრიის წინააღმდეგ“). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ქვეშარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ქვეშარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება, დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველი გამყარების გარეშე შეიძლება, ზედმეტი იყოს („დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“).

1.14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დიფამაციის საკითხის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა გამოხატვის თავისუფლების შესახებ დავის გადაწყვეტის ერთადერთი წყარო არაა, არამედ, ამ საკითხებზე მსჯელობისას, კანონი ავალდე-

ბულებს ეროვნულ სასამართლოს, ისარგებლოს კონვენციური სტანდარტითა და ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით (სპეციალური კანონის მე-2 მუხლი: ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აზრისა და ფაქტის საკითხის გადაჭრის შემდგომ სარჩელის საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლების კონტექსტში. საქმეზე „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ევროსასამართლომ გაიმეორა ის პრინციპები, რომლებიც რეპუტაციის უფლების, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების ნაწილის მიმართ პრეცედენტული სამართლით დაადგინა და ეხება კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილ დაცვას. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს მე-8 მუხლი, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს და იმ ფორმით უნდა განხორციელდეს, რომ ზიანი მიაყენოს პირის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებით სარგებლობას. კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი საშუალებები ხელშემკვრელი სახელმწიფოს შეფასების ზღვრის ფარგლებში ჯდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს: პოზიტიური თუ ნეგატიური. ანალოგიურად, კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული ზღვარი, როდესაც აფასებენ, არის თუ არა საჭირო ან რა მოცულობით ამ მუხლით უზრუნველყოფილ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. მსგავსი ტიპის საქმეებზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენს, დაიცვა თუ არა სახელმწიფომ, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში, სამართლიანი ბალანსი პირის რეპუტაციის უფლებასა და მე-10 მუხლით გარანტირებული მეორე მხარის გამოხატვის თავისუფლებას შორის. იმ საქმეებში, სადაც საჭიროა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დაბალანსება გამოხატვის თავისუფლებასთან, საჩივრის შედეგი არ უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, ის წარდგენილ იქნა კონვენციის მე-8 თუ მე-10 მუხლის საფუძველზე.

1.15. საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ სიტყვის თავისუფლების მაღალი იდეიდან გამომდინარე, შეზღუდვის საკითხი პროპორციულობის ტესტის მეშვეობით უნდა იქნეს გადაწყვეტილი: სა-

ხელმწიფოს მხრიდან „ჩარევა“ მე-10 მუხლით დაცულ სფეროში გამართლებულია, თუ ის გათვალისწინებულია კანონით (ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი), აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში (ბალანსი პირის მე-8 მუხლით დაცულ რეპუტაციის უფლებასა და საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს შორის) და ჩარევის კონკრეტული სახე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერია.

2. კასატორის სხვა შუამდგომლობები:

2.1. როგორც უკვე ითქვა, კასატორი მოითხოვს მტკიცებულებათა ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმებას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მოსამართლე ო. ს-ას შეფასების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას.

2.2. პირველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილ სააპელაციო შესაგებელს ერთვის ე. წ. „სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით“. საკასაციო პალატა, ხსენებული დოკუმენტის გაცნობის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ ის არ წარმოადგენს მტკიცებულებას, მასში მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის განზოგადება, შესაბამისად, ამ სახელმძღვანელოს ფაქტის დადგენისათვის იურიდიული ძალა არ გააჩნია. კანონის განმარტების უფლება გააჩნია მხოლოდ მოსამართლეს და მხარის მიერ წარდგენილი კანონის ინტერპრეტაციის ამსახველი ნებისმიერი დოკუმენტი შესაძლებელია მხოლოდ ამ მხარის პოზიციად იქნეს განხილული. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ამგვარი დოკუმენტის საქმისათვის დართვაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის რეგულაცია არც კი ვრცელდება.

2.3. რაც შეეხება მტკიცებულებათა გამოთხოვას, საკასაციო პალატა, უპირველესად, აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენს, ამ ინსტანციაში ახალი მტკიცებულების გამოთხოვა/მიღება დაუშვებელია, თუმცა, იმ პირობებშიც კი, თუ პალატა მიიჩნევდა, რომ შუამდგომლობა პროცესუალური ხასიათის იყო და მას დავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან კავშირი არ გააჩნდა, მაინც არ არსებობს მისი გაზიარების საფუძველი, ვინაიდან მტკიცებულება, რომლის გამოთხოვასაც კასატორი მოითხოვს, სააპელაციო სასამართლოში მომხსენებელი მოსამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობაზე მიუთითებს. წინამდებარე განჩინებას სწორედ ხსენებული საკითხი დაედო საფუძველად, შე-

საბამისად, მოთხოვნის მიმართ მხარის ინტერესი აღარ არსებობს.

3. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის საფუძველზე (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას), ვინაიდან გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობით საქმის განხილვა წარმოადგენს, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში გადმოცემული პრინციპების შესახებამისად, უნდა შეამოწმოს მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად განსაზღვროს უფლების საკითხი.

4. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადანედეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე, 407-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლისა (მოსამართლის აცილებლაზე უარის თქმის შესახებ) და 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

3. კასატორის მოთხოვნა 2018 წლის 1 თებერვლის (მტკიცებულების ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ) განჩინების გაუქმების, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-591-591-2018

16 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ვ. კ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდევე მხარე ან მოსამართლე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ფ. ა-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან განცხადების გამავრცელებელი) მიმართ იმის დადგენის მოთხოვნით, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული შემდეგი ცნობები: „მოსამართლე ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე, მოსამართლემ გადანყვეტილება კორუფციული გარიგების შედეგად მიიღო, მოსამართლის მიერ კომპანიები უხეშად იქნენ მოტყუებულნი და დაშანტაჟებული“, არ შესაბამეა სინამდვილეს, მანვე მოითხოვა ცნობების გამავრცელებ-

ლის დავალდებულება, სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით, ტელეკომპანია „რ-ის“ მეშვეობით 18:00 და 21:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება „კ-ი“, ინტერნეტგამოცემა „ი-სა“ და „თ-ში“, გადაცემა „ა-აში“ გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, მორალური ზიანის – 20 000 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა, რომელმაც განიხილა კომპანია „ფ-სა“ და „თ-ოს“ შორის, ასევე, „ო-სა“ და „ბ-ოს“ შორის მიმდინარე ორი სამოქალაქო საქმე და მიიღო შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, ასევე იხილავს დავას „ტ-ის“ მონაწილეობით. მოპასუხე სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი და უშუალოდ არ მონაწილეობდა არცერთ ზემოხსენებულ დავაში მხარედ. 2017 წლის 24 მარტს მოპასუხემ მისცა ინტერვიუ კომპანია „თ-ს“ და გადაცემა „ა-აში“, ზემოხსენებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების გამო, გააკრიტიკა მოსარჩელე და უწოდა კორუმპირებული. ტელეკომპანია „რ-ის“ 18:00 და 21:00-საათიან გადაცემებში „კ-ი“ 2017 წლის 24 მარტს გასულ სიუჟეტში ინფორმაციის გამავრცელებელი მოსამართლეს უწოდებს კორუმპირებულს და მის მიმართ იყენებს პატივისა და ღირსების შემლახველ გამოხატულებებს. ამავე დღეს, ინტერნეტგამოცემა „ი-ში“ გამოქვეყნდა მოპასუხის სტატიების ციკლი სათაურით: „ვ. კ-ე კორუმპირებული მოსამართლეა“. სტატიაში გადმოცემულია, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეტანილია საჩივარი „ე.წ გამრუდებული სასამართლო სისტემა ბიზნესკლიმატზე უარყოფითად მოქმედებს“, „ვერ დავუშვებთ, რომ უცხოურ ბიზნესებს ადგილობრივები ფულს ძალავდნენ“, „სრულ პასუხისმგებლობას ვაკისრებ იუსტიციის საბჭოს, განმინდოს სასამართლოები“. სტატიაში მოპასუხე მიუთითებს მოსარჩელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც კორუფციული გარიგების შედეგადაა გამოტანილი, ხოლო მოსამართლე მოხსენიებულია, როგორც კრიმინალური აზროვნების მქონე კორუმპირებული პირი, რომელმაც უხეშად მოატყუა და დააშანტაჟა მოსამართლეები, ასევე გამოყენებულია ღირსების შემლახველი სხვა ეპითეტები. ხსენებულ საჯარო განცხადებებში მოპასუხის მიერ გამოთქმული შეფასებები არ შეესაბამება სინამდვილეს, ის მოქმედებს, როგორც დაინტერესებული, სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირი, რომლის მიზანიც მომავალში მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა, მოსამართლისა და სასამართლოს დისკრედიტაციაა. კორუფციული დანაშაულის ჩადენის თაობაზე მოპასუხის მიერ, ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცებულებათა გადამონ-

მების გარეშე, მოსარჩელის მიმართ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის პატივისა და ღირსების შემლახველს, არამედ, არღვევს მისი უდანაშაულობის პრეზუმფციას და ზიანს აყენებს მთლიანად სასამართლო სისტემას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მას სადავოდ არ გაუხდია განცხადების საჯაროდ გავრცელების ფაქტი, არამედ, არსებითი შედავება წარმოადგინა თავად განცხადების შინაარსთან დაკავშირებით. მოპასუხის განმარტებით, განცხადებებში გადმოცემული მსჯელობა წარმოადგენდა არა დადასტურებად ფაქტებს, არამედ, განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მის შეფასებით მსჯელობას, მოპასუხის აზრს, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არ ექვემდებარება შეზღუდვას, შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის რომელიმე მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების/გადანწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით ინფორმაციის გამავერცელებლის შუამდგომლობა გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოსათვის წარუდგენლობის გამო, სარჩელის განუხილველად დატოვებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

3.2. ამავე სასამართლოს 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ინფორმაციის გამავერცელებელს დაევალა:

– ტელეკომპანია „რ-ის“ 18:00 და 21:00-საათიან საინფორმაციო გამოშვება „კ-ში“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება შემდეგი სახით: სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2017 წლის 27 მარტს 18 და 21-საათზე გადაცემა „კ-ში“ გამოთქმული შემდეგი განცხადებები: „მოსამართლე ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე“; „მოსამართლემ გადაწყვეტილება კორუფციული გარიგების შედეგად მიიღო“, არ შეესაბამება სიმართლეს;

– ტელეკომპანია „თ-ის“ გადაცემა „ა-აში“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება შემდეგი სახით: სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2017 წლის 25 მარტის ტელეკომპანია „თ-ის“ გადაცემა „ა-აში“ გავ-

რცელებული განცხადება: „ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე“, არ შეესაბამება სიმართლეს;

– ინტერნეტგამოცემა „ი-ზე“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება შემდეგი სახით: სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2017 წლის 24 მარტის ინტერნეტგამოცემა „ი-ზე“ გავრცელებული შემდეგი განცხადება: „ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე“, არ შეესაბამება სიმართლეს;

– მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 3 000 ლარის ანაზღაურება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი, ასევე, საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების საჩივროლო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაევალა მოპასუხეს ტელეკომპანია „რ-ის“ 18:00 და 21:00-საათიან საინფორმაციო გამოშვება „კ-ში“ ცნობის გამოქვეყნება შემდეგი სახით: 2017 წლის 27 მარტის 18 და 21-საათზე გადაცემა „კ-ში“ გავრცელებული შემდეგი განცხადება: „მოსამართლე ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე“, არ შეესაბამება სიმართლეს, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, ასევე, სარჩელის განუხილველად დატოვებისა და საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანია მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას, რასაც შედეგად მოსარჩელის დისკრედიტაცია და მისთვის მორალური ზიანის მიყენება მოჰყვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამომოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამომებს. საკასაციო საჩივრის შესწავლით კი, ირკვევა, რომ კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს გავრცელებული განცხადების „ცილისწამებად“ კვალიფიკაციის თაობაზე და მიიჩნევს, რომ არ არსებობდა სიტყვისა და მისი გამოხატვის შეზღუდვის წინაპირობები. გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმათა მოთხოვნები, კერძოდ, არ არსებობდა სარჩელის არსებითად განხილვის კანონისმიერი საფუძვლები.

1.2. სარჩელის განსახილველად მიღების კანონიერება:

1.2.1. ვინაიდან საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ პრეტენზიას წარმოადგენს სარჩელის არსებითად განხილვის წინაპირობების არსებობა, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, უპირველესად იმსჯელოს სასამართლოს მხრიდან მისი განსახილველად მიღების საპროცესო წესებზე.

1.2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

1.2.3. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ იყო სრულყოფილად ფორმულირებული, კერძოდ, მოსარჩელე არ აზუსტებდა, რა ფორმით სურდა მას სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე ცნობის გავრცელება, რაც მის პროცესუალურ ვალდებულებას წარმოადგენს და ამგვარი დაუსაბუთებელი მოთხოვნის წარდგენის გამო, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 186.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და 178.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს უარი უნდა განეცხადებინა სარჩელის მიღებაზე, ისევე, როგორც, ამ კოდექსის 209-ე და 275.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განუხილველად უნდა დაეტოვებინა სარჩელი, ვინაიდან კანონით დადგენილ ორთვიან ვადაში მოსარჩელეს არ წარუდგენია მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.2.4. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის ხსენებულ პრეტენზიებს და განმარტავს, რომ საპროცესო წესების დანიშნულება საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფაა და სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმათა განმარტება იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოდავე სუბიექტთაგან ერთ-ერთის არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. ხსენებული პრინციპის უზრუნველსაყოფადაა საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმების წინაპირობა, კერძოდ, გადანყვეტილების გაუქმებას საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ დაედება საფუძველად, თუკი ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი ადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნათა ჩამონათვალს, რომელსაც სარჩელი უნდა შეესაბამებოდეს, რათა სასამართლომ განსახილველად მიიღოს იგი, მათ შორის, ნორმის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტითაა (და არა „მ“ ქვეპუნქტით, როგორც ამას კასატორი მიუთითებს) დადგენილი, რომ სარჩელი უნდა შეიცავდეს მოსარჩელის მოთხოვნას. უდავოა, რომ სარჩელში მოთხოვნა ფორმულირებული იყო, რაც გამორიცხავდა სასამართლოს მხრიდან მის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის ამავე კოდექსის 186.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით (და არა „ი“ ქვეპუნქტით, როგორც ამას კასატორი მიუთითებს) გათვალისწინებულ შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ სასამართლოს მხრიდან გადანყვეტილების თაობაზე ცნობის გამოქვეყნების საშუალების შერჩევა ზოგადად არ არღვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით განსაზღვრულ გადანყვეტილების ფარგლებს. ამ შემთხვევაში მხარეს არ მიეკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, რადგანაც მოსარჩელის მიზანს გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა წარმოადგენს, ხოლო, საკითხს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად (შემდგომში – სპეციალური კანონი) არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის ყველა ის დებულება, რომლებიც სპეციალურ მონესრიგებასთან კოლიზიაში არ იმყოფება. ამგვარ დებუ-

ლებათა შორისაა მე-18 მუხლი, რომლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

1.2.5. რაც შეეხება მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულების წარუდგენლობას, საკასაციო პალატა ამ შემთხვევაში იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ ამგვარი დოკუმენტი საქმეში მართლაც არ იძებნება, თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184.3 მუხლით განსაზღვრული საპროცესო მოქმედების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა, ამავე კოდექსის 275.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის დაუცველობაც სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი შეიძლება გახდეს, თუმცა, ამ საფუძველით გადანყვეტილების გაუქმებისათვის, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ნორმის მიზანი. სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის ჩაბარება და ამის თაობაზე სასამართლოს ინფორმირების ვალდებულება ემსახურება მოპასუხის გარანტირებული უფლების – სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებათა განკარგვის რეალიზებას. იმ შემთხვევაში, თუკი საქმის მასალებით დადგინდება, რომ მოპასუხეს ჯეროვნად ეცნობა მის წინააღმდეგ მიმდინარე დავის თაობაზე და შესაძლებლობა მიეცა, წარადგინოს მოსარჩელის მოთხოვნის გამაქარწყლებელი არგუმენტები ან უარი განაცხადოს საპროცესო თავდაცვაზე, ნორმის მიზანი მიღწეულია, შესაბამისად, ამ საფუძველით სარჩელის განხილვაზე უარი გაუმართლებელი იქნება. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ წარადგინა შეპასუხება, შესაბამისად, მისი საპროცესო უფლებები არ დარღვეულა, რაც გამორიცხავს მისი არგუმენტის გაზიარების შესაძლებლობას, რომ სასამართლოს განუხილველად უნდა დაეტოვებინა სარჩელი.

1.2.6. რაც შეეხება საქმის წარმოების შეწყვეტას, მოცემულ შემთხვევაში, კასატორი ვერ ასახელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე წინაპირობას, ხოლო, მხოლოდ ის არგუმენტი, რომ ამავე კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის წარმოების შეწყვეტა, მხარის პრეტენზიის გაზიარებისათვის არასაკმარისია,

რადგანაც ხსენებული ნორმა მითითებითა და საპროცესო შედეგის განსასაზღვრად სწორედ 272-ე მუხლს ემყარება.

1.3. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივ კანონიერებასთან დაკავშირებით პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმის ფაქტობრივ მხარესა და დადგენილი ფაქტების შეფასების სისწორეზე. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.3.1. მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა, რომელმაც განიხილა ორი სამოქალაქო საქმე კომპანიებს: „ფ-სა“ და „თ-ოს“, ასევე, კომპანიებს: „ო-სა“ და „ბ-ოს“ შორის. მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, კომპანია „ფ-ს“ დაეკისრა „თ-ოს“ სასარგებლოდ 92 000 000 ლარის, ხოლო, კომპანია „ბ-ოს“ კომპანია „ო-ის“ სასარგებლოდ – 270 000 000 ლარის გადახდა;

1.3.2. მოპასუხე ს-ის თავმჯდომარეა;

1.3.3. 2017 წლის 27 მარტს ტელეკომპანია „რ-ის“ ეთერში, 18:00-სათიან საინფორმაციო გამოშვება „კ-ში“ გავიდა სიუჟეტი, რომელშიც „რ-ის“ ჟურნალისტი აცხადებს:

„დავა რომელზეც გადაწყვეტილება მოსამართლე ვ. კ-ემ მიიღო, ინვესტორებს მილიონობით ლარის ჯარიმას აკისრებს. სავაჭრო პალატაში მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილებები კორუფციული გარიგების შედეგია. საუბარი არის სამ სამართლებრივ დავაზე, სამივე შემთხვევაში საქმე მიჰყავს ერთი და იგივე მოსამართლეს – ვ. კ-ეს. პირველ შემთხვევაში საუბარია „თ-ოსა“ და „ფ-ს“ შორის მიმდინარე სამართლებრივ დავაზე, რომლის შედეგადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ, კერძოდ მოსამართლე ვ. კ-ემ 92 000 000 ლარის გადახდა დააკისრა „ფ-ს“. მეორე შემთხვევაში კი, „ო-სა“ და

„ბ-ოს“ შორის მიმდინარე დავაზე, ამ უკანასკნელს დაეკისრა 270 000 000 ლარის გადახდა. მესამე დავა მიმდინარეობს უკვე „ტ-ის“ წინააღმდეგ და როგორც ფ. ა-ი, ს-ის ხელმძღვანელი აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ დავა ამ საქმეშიც „ტ-ის“ საწინააღმდეგოდ გადანიშნდება, არაბი ინვესტორი ქვეყნის დატოვებას აპირებს. როგორც ფ. ა-ი აცხადებს, ის დარწმუნებულია რომ სახეზეა კორუფციული გარიგება და ის ამბობს, რომ სასამართლოში კორუფცია არ არის ლოკალური, არამედ ეს ფუნდამენტური პრობლემაა...“.

ამავე გადაცემის ეთერში გამოქვეყნდა ს-ის პრეზიდენტი ფ. ა-ის კომენტარიც, რომელიც აცხადებს:

„განვიხილავთ გზებს, თუ როგორ უნდა გაინმინდოს მართლმსაჯულება კორუმპირებული მოსამართლეებისგან, რომლებიც ძირს უთხრიან სასამართლო სისტემის სანდოობასა და იმიჯს. ასევე, ძირს უთხრიან საინვესტიციო კლიმატს საქართველოში. მოსამართლე ვ. კ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ჩვენ პარიზში სამ ყველაზე ცნობილ მოსამართლეს გადაეუგზავნეთ და როდესაც ისინი საქმეებს გაეცნენ, ეს მათთვის შოკი იყო. საკუთარ თავს არ უჯერებდნენ და გვითხრეს, როგორ აღწევენ თავს მოსამართლეები როდესაც მსგავს რამეს აკეთებენ, ჩვენთვის სასველად ნათელია რომ ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე და არაფერი შეგვაცვლევინებს ამ მოსაზრებას, არც მუქრა, არც გასამართლება და არც დაჯარიმება. როდესაც მეუბნებიან კორუფციის რა მტკიცებულება გაქვს, ჩემი პასუხია, რომ როდესაც ვხედავ და ვგრძნობ ნაგვის სუნს, არ მჭირდება ვინმემ დამიდასტუროს რომ ეს ნაგავია. რაც ვ. კ-ემ გააკეთა ეს სირცხვილია, ის არცხვენს საკუთარ თავს, სასამართლოსა და საქართველოს. ვიბრძოლებთ და არ შეგვეშინდება, ჩემი აზრით სასამართლოსთან მიმართებაში არსებობს ფუნდამენტური პრობლემა რადგან მოსამართლეების ნაწილს დაუსჯელობის განცდა აქვთ, მათ ჰგონიათ, რომ ვერაფერს შეეხებათ და რაც უნდათ იმას გააკეთებენ...“;

1.3.4. 2017 წლის 27 მარტს ტელეკომპანია „რ-ის“ ეთერში, 21:00-საათიან გადაცემა „კ-ში“ გავიდა სიუჟეტი, რომელშიც „რ-ის“ ჟურნალისტი აცხადებს:

„სამართლებრივი დავა და მოსამართლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უცხოელ ინვესტორებს მილიონობით ლარი ჯარიმა დაეკისრათ...“. „სასამართლოში არსებულ კორუფციაზე ს-ის პრეზიდენტი საუბრობს“. „მოსამართლე, რომელიც სასამართლოსა და საქართველოს არცხვენს“, ასეთია ფ. ა-ის შეფასება...“. „ბიზნესმენი საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად კორუმპირებული მოსამართლეების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს, თუმცა არ გამოიციხავს რომ მორიგი კორუფციული გარიგების შემთხვე-

ვაში ქვეყანა საერთოდ დატოვოს...“, „ს-ა, სასამართლოში არსებულ კორუფციაზე საუბრობს, ამის დასტურად ფ. ა-ი სამ სასამართლო გადაწყვეტილებას ასახელებს, რომელიც ერთი და იმავე მოსამართლემ, ვ. კ-ემ მიიღო. ერთ შემთხვევაში, „ფ-ისა“ და „თ-ოს“ შორის უცხოურ კომპანიას 92 000 000 ლარის ჯარიმა დაეკისრა. „ო-ისა“ და „ბ-ოს“ საქმეში მოსამართლის გადაწყვეტილებით საერთაშორისო მწარმოებელს 270 000 000 ლარის ჯარიმა აქვს გადასახდელი. „ტ-ის“ შემთხვევაში კი, პროცესი 1 წელია მიმდინარეობს და შესაძლოა სასამართლო პროცესის დასრულების შედეგად, ინვესტორმა საქართველო საერთოდ დატოვოს. ფ. ა-ი დარწმუნებულია, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილებები კორუფციული გარიგებების შედეგად მიიღო...“.

ამავე გადაცემის ეთერში გამოქვეყნდა ს-ის პრეზიდენტ ფ. ა-ის კომენტარიც, რომელიც აცხადებს:

„მოსამართლე ვ. კ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენ პარიზში სამ ყველაზე ცნობილ მოსამართლეს გადაუფუგავნეთ და როდესაც ისინი საქმეებს გაეცნენ ეს მათთვის შოკი იყო. ჩვენთვის სავსებით ნათელია რომ ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე და არაფერი შეგვაცვლევინებს ამ მოსაზრებას, არც მუქარა, არც გასამართლება და არც დაჯარიმება. როდესაც მეუბნებიან კორუფციის რა მტკიცებულება გაქვს, ჩემი პასუხია როდესაც ვხედავ და ვგრძნობ ნაგვის სუნს, არ მჭირდება ვინმემ დამიდასტუროს, რომ ეს ნაგავია. რაც ვ. კ-ემ გააკეთა ეს სირცხვილია, ის არცხვენს საკუთარ თავს, სასამართლოსა და საქართველოს“;

1.3.5. 2017 წლის 24 მარტს, ტელეკომპანია „თ-ის“ გადაცემა „ა-აში“ მიცემულ ინტერვიუში მოპასუხე აცხადებს:

„ძირითადი პრობლემა გახლავთ გამრუდებული სასამართლო სისტემა. ჩვენ უფრო და მეტ კორუფციულ საქმეებს ვაწყდებით სასამართლოში. უფრო მეტი და მეტი მოსამართლე, რომელიც თავს ხელშეუხებლად გრძნობს და ძალზე მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს იღებს ერთი მხარის სასარგებლოდ, მეორესთვის უპირატესობის მისანიჭებლად. ბიზნესკლიმატზე ეს უარყოფითად მოქმედებს. ჩვენ უნდა განვახორციელოთ აღნიშნულის ყურადღებით ანალიზი რათა შეწყდეს აღნიშნული პრაქტიკა. უმნიშვნელოვანესია სასამართლო სისტემა, ვიცნობ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის მოსამართლეს, პატიოსანს, მაგრამ მათ სახელსაც ჩირქი მოეცხო იმ მოსამართლეების მხრიდან რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ. პირველ რიგში ჩვენ პრაქტიკული მაგალითები გავაჩნია, რამდენიმე ჩვენი ნევრი, „ფ. ი-ს“ ალბათ კარგად იცნობთ, თამბაქოს მწარმოებელს, „ტ-ი“ და „ბ-ო“. ეს სამი კომპანია, ფაქტიურად მოსამართლე ვ. კ-ის მიერ, იყვნენ, უხეშად ვთქვათ, მოტყუ-

ებულნი მაშინ, როცა მან გამოიტანა გადაწყვეტილება. ყველამ, ვინც გაეცნო გადაწყვეტილებას, საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, ჩვენთვის აშკარად კორუმპირებული მოსამართლე გახლავთ ვ. კ-ე. პრობლემა რომელსაც ვაწყდებით ეს გახლავთ ბალანსის მიღწევა არა იმ მეთოდებით, რომ პარლამენტი და მთავრობა ჩაერიოს ამ საკითხის მოგვარებაში და მეორე, როგორ გავაკონტროლოთ ეს კორუმპირებული მოსამართლეები, იმიტომ, რომ უფლება არ აქვს არავის, რომ ხელი დააკაროს მათ და მართალია მთავრობა და არც პარლამენტი, რომ არ ერევა და არც უნდა ჩაერიონ. ერთადერთი ორგანიზაცია სასამართლო სისტემაში გახლავთ „იუსტიციის უმაღლესი საბჭო“ რომელსაც შეუძლია ნაბიჯები გადადგას ესეთი პიროვნების წინააღმდეგ. უმაღლესი საბჭო არ იღებს მკაცრ გადაწყვეტილებებს ესეთი პრაქტიკის შესაჩერებლად. დღეს ჩვენ საჩივარი შევიტანეთ საბჭოში მოსამართლე კ-ის წინააღმდეგ და ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით როგორ იმუშავებს და რა გადაწყვეტილებას მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და იმედი გვაქვს რომ მოხდება ამ პიროვნების გადაყენება, მაგრამ მთავარია დავინახოთ იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის პრინციპებს მხარს უჭერს, თუ ხელს აფარებს კორუმპირებულებს. ეს არის ტესტი ამ ორგანიზაციის...“.

„მე არ მაინტერესებს ვინ რას ლაპარაკობს, ჩემთვის სამართალია მთავარი იყოს ჩემს ქვეყანაში, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემი პალატის წევრებს არ ატყუებდნენ მოსამართლეები, არ აშანტაჟებდნენ მათ. თუ მოსამართლეს ეყო სინდისი, რომ ასეთი გადაწყვეტილება გამოეტანა როგორც ვ. კ-ეს, ანუ დამერწმუნეთ, არის ისეთი ადამიანი, რომელსაც ნამდვილად არ შერცხვება ხელი დაადოს ამ მოსამართლეს და თქვას, რომ იგი კორუმპირებული მოსამართლეა, მიჩივლოს თუ სურს. ესეთ უსირცხვილო ადამიანს როგორც ის არის, ჩემსავით უსირცხვილო სჭირდება, რომ თავისი სახელი მიანიჭოს და დაარქვას. ბიზნესები თავისებურად დამინებულები არიან, ეს არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, არის ესეთი კრიმინალური გონება, კრიმინალური პირი, ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც ავალებს დამნაშავეს კომპანიის ფული ჩაიგდოს ხელში დანაშაულებრივი გზით. ე.ი. არის მეთაური ესე ვთქვათ, არის სხვა მოსამართლე რომელიც პარავს ფულს კომპანიას და კომპანიაა მსხვერპლი. რეალურად რას ვიღებთ? კომპანიის ფულს იჯიბვენ და შეუძლიათ გამოსასყიდი განიხილონ, რამდენს გადაგვიხდით, რომ ყადაღა მოვხსნათ ან ფული დაგიბრუნოთ, ეს არის ტიპური დამნაშავის ქმედება რომელსაც სჭირდება გამოძიება არა მხოლოდ იუსტიციის საბჭოს არამედ პროკურატურის მიერ. ძირითადი პრობლემა გახლავთ, რომ კომპანიების მთელი რიგი შიშობს რომ

ხმა ამოიღოს ამ საკითხზე. როგორც წესი, წყვეტენ პრობლემებს ისე, რომ არავინ არაფერი არ იცოდეს, ასეთ გამომძალველებთან მოლაპარაკებებს ამჯობინებენ, ეს კვებას სისტემას და ამიტომაც აგრძელებს იგი ესეთ ქმედებებს. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თუ არ გადადგა ნაბიჯი ესეთი მოსამართლეების წინააღმდეგ, ერთი დამპალი ვაშლი ათასობით ვაშლს გააფუჭებს და პატიოსანი მოსამართლეები, ჩვენ ვხედავთ, რომ ესეთები არიან და უპატიოსნო ფულს იპარავს და არავინ ხმას არ იმაღლებს მის წინააღმდეგ და ეს გასდის, მერე პატიოსანი დაინყებს ფიქრს, რომ მოდი იქნებ მეც შევუდგე ასეთ პრაქტიკას და ეს პროცესი უნდა შევწყვიტოთ, როგორ შევწყვეტთ თუ ყველა ხმამაღლა ხმას არ ამოიღებს. ჩვენ აქაც და საერთაშორისო დონეზე სერიოზულ ხმაურს ავტეხავთ, ჩვენ უკვე გავუგზავნეთ მოსამართლის სახელი, ისინი ვინც მის უკან დგანან, რომლებიც მიდიან და ფულს უჯიბავენ მოსამართლეს. ჩვენ საერთაშორისო სამრეწველო პალატის კომერციული დანაშაულის სასამართლოს გავუგზავნეთ ლონდონში, ასევე, იმ განყოფილებას ჩვენი ასოციაციის რომელიც ამ საკითხებს განიხილავს, მათი გვარები გადავეციტ, ე.წ ნითელ სიაში მოხვდებიან, მსოფლიოში ვისაც კი ამ მონაცემთა ბაზასთან ექნებათ წვდომა ამ ადამიანების გვარებს წაიგებენ...“;

1.3.6. 2016 წლის 24 მარტს, ინტერნეტგამოცემა „ი-ზე“ გარკვეული დროის შუალედით გამოქვეყნდა სტატიები, სადაც მოყვანილია ამონარიდები მოპასუხის ინტერვიუდან, კერძოდ:

– 2017 წლის 24 მარტის 15:55 და 16:06 საათი: „რამდენიმე ჩვენი ნევრი, „ფ. ი-ი“, „ტ-ი“ და „რ-ო“ ეს სამი კომპანია ფაქტობრივად, მოსამართლე ვ. კ-ის მიერ იქნენ, უხეშად რომ ვთქვათ, მოტყუებულნი, მაშინ, რა გადაწყვეტილებაც მან გამოიტანა, არავინ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა. ჩვენთვის კორუმპირებული მოსამართლე გახლავთ ბატონი კ-ე. პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით ეს ბალანსის მიღწევა გახლავთ, მართალია, რომ პარლამენტი და მთავრობა არ ერევა და არც უნდა ჩაერიოს ამ საქმეში, შესაბამისად, ზოგიერთი მოსამართლე თავს ხელშეუხებლად მიიჩნევს. ერთადერთი ორგანიზაცია სასამართლო სისტემაში, ეს გახლავთ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც შეუძლია ესეთი პიროვნებების წინააღმდეგ ნაბიჯები გადადგას, იუსტიციის საბჭო ესეთი პრაქტიკების შესაჩერებლად არ იღებს მკაცრ გადაწყვეტილებას. დღეს ჩვენ საჩივარი შევიტანეთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე კ-ის წინააღმდეგ და ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით, თუ როგორ იმუშავებს და რა გადაწყვეტილებას მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იმედია ამ პიროვნებას გადააყენებენ, მაგრამ მთავარია დავინახოთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის

პრინციპებს მხარს უჭერს, თუ ხელს აფარებს კორუმპირებულებს...“;

– 2017 წლის 24 მარტი, 15:30 საათი: „ძირითადი პრობლემა გახლავთ გამრუდებული ე.წ სასამართლო სისტემა. ჩვენ უფრო და მეტ კორუფციულ საქმეებს ვაწყდებით სასამართლოში. უფრო მეტი და მეტი მოსამართლე, რომელიც თავს ხელშეუხებლად გრძნობს და ძალზე მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს იღებს ერთი მხარის სასარგებლოდ მეორესთვის უპირატესობის მისანიჭებლად. აღნიშნული ბიზნესკლიმატზე უარყოფითად მოქმედებს. ვიცნობ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის მოსამართლეს, პატიოსანს მაგრამ მათ სახელსაც ჩირქი მოეცხო იმ მოსამართლეების მხრიდან, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ...“;

– 2017 წლის 24 მარტი, 16:57 და 16:54 საათი: „არ მაინტერესებს ვინ რას ლაპარაკობს, ჩემთვის მთავარია, ჩემს ქვეყანაში იყოს სასამართალი, ჩემთვის მთავარია, ჩემი პალატის წევრებს არ ატყუებდნენ მოსამართლეები, არ აშანტაჟებდნენ მათ. ბიზნესი თავისებურად დაშინებულია, რაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. დღეს თუ სასამართლოს აღვწერთ, ეს არის ადამიანის სხეული, იმუნიტეტი აქვს წული, ვირუსი მოხვდა ამ სხეულში და ძალიან სწრაფად ვერცვლდება, რადგან იმუნიტეტი არ გააჩნია ამ სტრუქტურას. მთავრობას არ გააჩნია უფლებამოსილება ჩაერიოს სასამართლო სისტემაში, იგივე პარლამენტს, ეს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმე და მე სრულ პასუხისმგებლობას ვაკისრებ, რომ მოგვარდეს ეს საკითხი. ჩვენ დავაკვირდებით მათ ქმედებებს, არ მივიღებთ აღნიშნულ კორუფციას, როგორც მოცემულობას და ვერ დავუშვებთ იმას, რომ უცხოურ ბიზნესებს ადგილობრივები ფულს ძლავდნენ...“;

1.3.7. ტელეკომპანია „რ.“ მაუწყებლობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ინტერნეტგამოცემა „ი-ს“, ვებგვერდზე არსებული მონაცემების შესაბამისად, ყოველთვიურად ჰყავს 27981 ვიზიტორი, ხოლო „თ-ს“ – 27981 ინტერნეტმნახველი.

1.4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.4.1. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან სარჩელით სადავოდ მიჩნეულ განცხადებებთან მიმართებაში მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორი განმარტების თაობაზე და მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. სარჩელის წარმატებულობის შეფასების მიზნით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებ-

ზე: გამობატვის თავისუფლება; სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნება; საზოგადოებრივი ინტერესი სადავო საკითხთან მიმართებაში და საზოგადოებრივ დებატში წვლილის შეტანა; სადავო განცხადებების შინაარსი.

1.4.2. განსახილველ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელე სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო პირია, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მოპასუხემ მედიასაშუალებებით საჯაროდ გაავრცელა განცხადებები (ამავე კანონის პირველი მუხლის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტები). სარჩელით სადავოდაა გამხდარი განცხადებათა ის შინაარსი, სადაც მოპასუხემ მოსარჩელეს უწოდებს „კორუმპირებულს“, შესაბამისად, უნდა შეფასდეს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების წინაპირობების არსებობა, კერძოდ, სახეზე ხომ არ არის სპეციალური კანონის მე-14 და მე-17 (1), (3) მუხლებით, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 413-ე (1) მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები:

(i) პირს ეკისრება სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

(ii) ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

(iii) თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

(iv) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

1.4.3. მოხმობილი ნორმების სადავო ფაქტებთან სუბსუმირების მიზნით, საკასაციო პალატა ხაზს უსვამს საქართველოს კონსტიტუციით, თავად სპეციალური კანონის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-10 მუხლით გარანტირებულ გამობატვის თავისუფლების უფლე-

ბას, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე – ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები (დამატებით იხ. სპეციალური კანონის მე-2 მუხლი: ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად).

1.4.4. პრეცედენტული სამართლის თანახმად:

(i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს და ერთ-ერთ ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, იგი ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომლებიც დადებითი, არაშეურაცხყოფელი ან უმნიშვნელოა, არამედ შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელ ან შემწყნარებლობისა და ლიბერალური აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. მე-10 მუხლის შესაბამისად, თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც უნდა განიმარტოს მკაცრად, თუმცა რაიმე სახის შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს....

(ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილების გარკვეული ფარგლები ამგვარი საჭიროების არსებობის შესაფასებლად, თუმცა ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუნდაც ისინი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ იყოს გამოტანილი.

(iii) სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის კონტექსტის ჩრილში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი“ და რამდენად „სათანადო და საკმარისია“ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ჩარევის დასაბუთებისათვის მოყვანილი მიზეზები. სასამართლომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შეესაბა-

მებოდა მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას...“ („ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, №24), „სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ([დიდი პალატა] №69698/01, § 101, ECHR 2007-V), „ცხოველთა უფლებების დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ [დიდი პალატა] №48876/08, §100, ECHR 2013).

1.4.5. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხის მიერ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის, არამედ, ზოგადად სასამართლოს ავტორიტეტის საკითხი. ამ მხრივ, მართალია, ქვემდგომმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს პრეცედენტულ სამართალზე, სადაც შეფასებულია მოსამართლის პირადი უფლებები და რეპუტაცია და სასამართლოს ავტორიტეტი საზოგადოებაში (საქმეები: KINCSES V. HUNGARY; Meister v. Germany; W.R. v. Austria და სხვა), თუმცა, შეილახა თუ არა გავრცელებული განცხადებით მოსამართლის და/ან სასამართლოს ავტორიტეტი, კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს პროპორციულობის ტესტის გამოყენებით მთლიანი განცხადების კონტექსტიდან გამომდინარე (განისაზღვროს უფლებით დაცული სფერო, მოხდა თუ არა ჩარევა უფლებაში, არსებობს თუ არა შეზღუდვის საფუძველი, რომელიც პროპორციულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევისა). ერთ-ერთ საქმეზე (Marian Maciejewski v Poland №34447/05, 13 იანვარი, 2015), სადაც ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლების წინააღმდეგ ჟურნალისტის კრიტიკულ სტატიას, სათაურით – „ქურდები მართლმსაჯულების სისტემაში“, სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ სახეზე იყო „მაფიის მსგავსი მოსამართლე-პროკურორების ასოციაცია“. ცილისწამებისთვის ჟურნალისტს შიდა კანონმდებლობით დაეკისრა ჯარიმა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კი, ამ საქმეზე დადგინდა პოლონეთის სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა. გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა, რომ ევროპული სასამართლო მკაცრი ტესტით შეამოწმებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას იმ შემთხვევებში, როცა სანქცია ხელს უშლის მედიას, გააშუქოს დებატები, რომელზეც საჯარო ინტერესი არსებობს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მედია არის ერთ-ერთი შესაძლებლობა, იმისთვის, რათა საზოგადოების მხრიდან გადამოწმდეს თუ რამდენად კეთილსინდისერად ახორციელებენ მოსამართლეები კანონით დადგენილ მათ უმნიშვნელოვანეს უფლე-

ბამოსილებებს. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები არის საკითხი, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, შესაბამისად, ლეგიტიურია, რომ ეს საკითხები ჟურნალისტებმა და სხვა პირებმა განიხილონ საჯარო დებატებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში გადმოცემული ფრაზები ჩანდა მკაცრი და მწვავე, ამგვარი გაზვიადებული ან თუნდაც მაპროვოცირებელი განცხადებები საჯარო დებატებში დასაშვები და დაცული იყო კონვენციის მე-10 მუხლით.

1.4.6. საკასაციო სასამართლო, ვიდრე სადავო განცხადების შინაარსს შეამოწმებდეს, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას საქართველოში მიმდინარე მოვლენებს: იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლო ხელისუფლებაზე/მოსამართლეზე აშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს განცხადების გამაფრცვლელების მიზანს. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება. ქვეყანაში, რომელიც იმართება კანონის უზენაესობის პრინციპით, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით, იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს საკუთარი მოვალეობების შესრულება. ამდენად, შესაძლოა, აუცილებელი იყოს აღნიშნული ნდობის დაცვა მეტად საზიანო თავდასხმებისაგან, რომლებიც არსებითად უსაფუძვლოა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ადრესატ მოსამართლეებს აკისრიათ წინდახედულების ვალდებულება, შესაბამისად, მათ ეკრძალებათ კრიტიკაზე საპასუხო რეაგირება (იხ. „პრაგერი და ობერმლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, 26 აპრილი, 1995 წელი, §34, სერია A, №313;

„კარპეტასი საბერძნეთის წინააღმდეგ“, №6086/10, §68, 30 ოქტომბერი, 2012 წელი და დი „ჯოვანი იტალიის წინააღმდეგ“, №51160/06, §71, 9 ივლისი, 2013 წელი, ასევე, „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“, №29369/10, 23 აპრილი, 2015 წელი). ფრაზა „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ მოიცავს იმ ცნებას, რომ სასამართლოები არიან და საზოგადოების მიერ ზოგადად მიიჩნევიან, როგორც სათანადო ორგანოები სამართლებრივი დავების გადასაჭრელად და ადამიანის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებად სისხლის სამართლის საქმეებზე. აქ ასევე იგულისხმება საზოგადოების მხრიდან პატივისცემის მაღალი ხარისხი და რწმენა, რომ სასამართლოს შესწევს ამ ფუნქციის შესრულების უნარი (იხ. „ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ“, 29 აგვისტო, 1997, §40, ანგარიშები 1997-V). საქმე ეხება ნდობას, რომელიც სასამართლოებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა აღძრან არა მხოლოდ ბრალდებულში სისხლის სამართალწარმოებისას, არამედ, ფართო საზოგადოებაშიც (იხ. „კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ“, №29492/05, §86, 2009 წლის 26 თებერვალი და დი ჯოვანი). თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება მეტად საზიარო და უსაფუძვლო თავდასხმა, მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას დასაშვებ ფარგლებში (იხ. ჟული და SARL Liberation, §74). ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (იხ. ჟული და SARL Liberation, §74). სასამართლოს ავტორიტეტის, ასევე, ინდივიდუალური მოსამართლის უფლებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული რეგულაციები, რათა გატარდეს პრევენციული ზომები საფრთხის თავიდან ასარიდებლად. როდესაც არასათანადო ქცევა ან გარკვეული განცხადების გაკეთება ხდება სასამართლო სხდომის დარბაზში, საპროცესო კანონმდებლობა (იხ. მაგ: სსსკ-ის 211-ე და 212-ე მუხლები) ადგენს წესრიგის დამრღვევის პასუხისმგებლობის წესსა და შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობას. სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ გავრცელებული ინფორმაციის ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად კი, პირს, რომლის მიმართაც გავრცელდა ინფორმაცია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გააჩნია უფლება, საპასუხო ცნობები გამოაქვეყნოს იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელშიც გავრცელდა განცხადება.

1.4.7. საკასაციო სასამართლო მიუბრუნდება განსახილველ შემ-

თხვევას და ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ განხილულ საქმეებთან მიმართებაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა მედიასაშუალებებით და საქმეთა რეზონანსულობიდან გამომდინარე, არაერთი საჯარო დებატი მიეძღვნა მათ (რაც სსსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია). აღნიშნული გარემოება, სასამართლო რეფორმის საკითხთან ერთად, მიაწინებს ფართო საზოგადოებრივი ინტერესის არსებობასა და საჯარო დებატებზე, რომლითაც დაინტერესებულია საზოგადოება (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი: საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან), შესაბამისად, მოპასუხის მიერ გავრცელებული თუნდაც მწვავე, კრიტიკული განცხადება უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივ დებატში წვლილის შეტანად და სწორედ ამის შემდეგაა ღირებული იმის შეფასება, თავად განცხადება წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი: ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება).

1.4.8. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელე საკუთარი უფლებების შემლახველად მიიჩნევს მოპასუხის მიერ გავრცელებულ იმ განცხადებათა შინაარსს, სადაც იგი მოხსენიებულია „კორუმპირებულ მოსამართლედ“ (გადანწყვეტილების კორუფციული გარიგების შედეგად მიღების თაობაზე განცხადება, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ არა მოპასუხის, არამედ, ჟურნალისტის მიერ გამოთქმულ ფრაზას წარმოადგენდა, ამ ნაწილში გადანწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რის გამოც, საკასაციო პალატა აღარ მსჯელობს მის შინაარსზე), შესაბამისად, პირველ რიგში უნდა შეფასდეს ხსენებული განცხადება წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას და დადებით შემთხვევაში, შეილახა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მოსარჩელის უფლებები: იმისათვის, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მოქმედებაში მოვიდეს, პირის რეპუტაციაზე თავდასხმა უნდა ატარებდეს სიმძიმის გარკვეულ ხარისხს და განხორციელებული უნდა იყოს პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე წინასწარ შექმნილი განწყობით გავლენის მოხდენის მიზნით (იხ. „Delfi AS v. Estonia“ [GC], no. 64569/09, §137, ECHR 2015 და „Medzlis Islamske Zajednice Brcko and Others v. Bosnia and Herzegovina“ [დიდი პალატა], №17224/11, §76, 27 ივნისი 2017). საქმეებში, რომლებიც შეეხებოდა დანაშაულებრივ ქმედებებს, სა-

სამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირებს აქვთ უფლება, უდანაშაულოდ იყვნენ მიჩნეული, ვიდრე არ დამტკიცდება მათი ბრალეულობა (იხ. „Worm v. Austria“, 29 აგვისტო 1997, § 50, გადაწყვეტილებების და განჩინებების ანგარიშები 1997-V და „Du Roy and Malaurie v. France“, №34000/96, §34, ECHR 2000-X). იმ საშუალების ზომა, რომლის ფარგლებშიც ჩაითვლება დაცულად კონვენციის მე-8 მუხლი, ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლებში ექცევა, პოზიტიურია სახელმწიფოს ეს ვალდებულება თუ ნეგატიური. იმავენიარად, კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფლება იმის შეფასებისას, თუ რამდენად და რა მოცულობით ჩაითვლება აუცილებლად ჩარევა ამ მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში (იხ. „Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland“ [დიდი პალატა], N 931/13, §162, 27 ივნისი 2017 და „Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France“ [დიდი პალატა], №40454/07, §90, ECHR 2015 (ამონარიდები)). პრეცედენტული სამართლის თანახმად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა („ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივლისი, §46, სერია A, №10 და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, (№1), 1991 წლის 23 მაისი, §63, სერია A, №204). ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო, შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს (იხ. „დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ“, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I), თუმცა, როდესაც განცხადება უტოლდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის თანაზომიერება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“ გასაჩივრებული განცხადებისათვის. თუ არ არსებობს, ასეთი შეფასებითი მსჯელობა შეიძლება დადგინდეს, როგორც გადაჭარბებული (იხ. „დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ“ §47; „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (№2), 1997 წლის 1 ივლისი, §33, ანგარიშები 1997-IV; „რასილიერი საფრანგეთის წინააღმდეგ“, №71343/01, §36, 11/04/2006 და „ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლაურენსი და ჟული“, §55). ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ განცხადებები საზოგადოებრი-

ვი ინტერესის საკითხების თაობაზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი,

2014 წელი). განსახილველ შემთხვევაში, სადავო განცხადებების შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ ისინი განმცხადებლის აზრს (სპეციალური კანონის 7.5. მუხლი), მის შეფასებით მსჯელობას წარმოადგენენ, რადგანაც განცხადებათა მთლიანი კონტექსტი (სადავო გადანყვეტილებები ჩვენ პარიზში სამ ყველაზე ცნობილ მოსამართლეს გადავუგზავნეთ და როდესაც ისინი საქმეებს გაეცნენ, ეს მათთვის შოკი იყო... ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე... როდესაც მეუბნებიან კორუფციის რა მტკიცებულება გაქვს, ჩემი პასუხია, რომ როდესაც ვხედავ და ვგრძობ ნაგვის სუნს, არ მჭირდება ვინმემ დამიდასტუროს რომ ეს ნაგავია) იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხე სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებებიდან, ასევე, ამ გადანყვეტილებათა შინაარსზე სხვა, მისთვის ავტორიტეტული პირების მიერ გამოთქმული აზრიდან გამომდინარე, აყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას მოვლენის მიმართ და გულის ტკივილს გამოთქვამს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის გამო (მაგ: ვიცნობ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის მოსამართლეს, პატიოსანს, მაგრამ მათ სახელსაც ჩირქი მოეცხო იმ მოსამართლეთა მხრიდან რომლებიც ასეთ გადანყვეტილებებს იღებენ... აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება არ ერევა სასამართლოს საქმიანობაში და ეს ასეც უნდა იყოს... უნდა გავაჯანსაღოთ სასამართლო...). რაც შეეხება უშუალოდ გამოყენებულ ტერმინს – „კორუმპირებული“, სარჩელის თანახმად, იგი არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და ზიანს აყენებს მოსარჩელის ავტორიტეტს. საკასაციო პალატა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო განათლების ლექსიკონის თანახმად, სიტყვა „კორუმპირებული“ განიმარტება, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქვევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ანუ ქმედების კორუმპირებულად შეფასებისა და მისი ნამდვილობა-მცდარობის შესაფასებლად, განცხადების გამავრცელებელი ფაქტის დონეზე უნდა მიუთითებდეს მტკიცებას დაქვემდებარებულ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც თეორიულად დაადასტურებდა ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან პირადი სარგებლის მიღების მიზნით მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპეციალური კანონის 7.5. მუხლის შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეფასდეს „აზრად“, რომელიც, ამავე კანონის 4.1. მუხლის შესაბამისად, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იწვევს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. ერთ-ერთ საქ-

მეზე ევროსასამართლომ არასწორ ფაქტად მიიჩნია პოლიტიკური თანამდებობის პირის – მინისტრის საჯარო განცხადება, რომლითაც მან სასჯელალსრულების დანესებულებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრი ფულის მიღების სანაცვლოდ, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემაში დაადანაშაულა. მოცემულ საქმეზე ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადება შეიცავდა დადასტურებად ფაქტებს (თანხის მიღება არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემის მიზნით) და აღნიშნა, რომ კონვენცია არ მოითხოვდა პირებისაგან მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის მოთმენას და საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე სისხლისსამართლებრივ ქმედებებში საჯაროდ დადანაშაულებას ... როდესაც საზოგადოება მოელის გადამონმებულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს (იხ. „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №18925/09, 20 სექტემბერი, 2018 წელი).

1.4.9. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადებებში მოპასუხის მიერ გამოთქმული სადავო ფრაზა არ არის საკმარისად კონკრეტული, მასში არ არის გადმოცემული ფაქტები, არამედ, გამოთქმათა მთლიანი კონტექსტის შესაბამისად, უფრო მეტად განცხადების გამავრცელებლის აზრს, მოვლენის მიმართ მის პირად დამოკიდებულებასა და კომენტარს წარმოადგენს, რაც ამ გამონათქვამის აზრად და არა ფაქტად მიჩნევას განაპირობებს, შესაბამისად, პალატა აღარ მსჯელობს მოსარჩელის მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხზე. მალალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე კი, იმგვარი დებატი, რომლის ერთადერთი მიზანი სასამართლოს/მოსამართლის დისკრედიტაცია არ არის, მიუხედავად გამოთქმის მკვეთრად უარყოფითი და არასასურველი კონტექსტისა, არ შეიძლება უპირობოდ დაექვემდებაროს შეზღუდვას. იმ ვითარებაში კი, როდესაც არ ვრცელდება მოპასუხის მხრიდან ცილისწამების შემცველი განცხადება, შეფასებას აღარ ექვემდებარება სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

1.5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია მატერიალური სამართლის ნორმათა მნიშვნელოვანი დარღვევით, რის გამოც არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან, რადგანაც არ იკვეთება საქ-

მის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო სასამართლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან მოპასუხის მიერ სადავოდ მიჩნეული გამონათქვამი წარმოადგენს აზრს და არა ფაქტს, მას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რაც გამორიცხავს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების (სპეციალური კანონის მე-14 და მე-17 (1), (3) მუხლები, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 413-ე (1) მუხლი) შემადგენლობას, შესაბამისად, სახეზე არ არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარისი წინაპირობა, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველია.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი და სრულად იქნა უარყოფილი სარჩელი, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადახდილი ბაჟის – 450 ლარის ანაზღაურება. ამასთანავე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების საგნის ღირებულების (სსსკ-ის 365-ე და 391.3 მუხლები, ასევე, 39.1 და 39.2 მუხლები) გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის ანალოგიის საფუძველზე (სსსკ-ის მე-7 მუხლი), კასა-

ტორს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბა-
ჟი 150 და 300 ლარი, სულ – 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 42-ე, 53-ე, 404-ე, 411-ე მუხ-
ლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ფ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების გან-
საზღვრის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამარ-
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის გა-
დანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება.
 - 2.1. ვ. კ-ის სარჩელი პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორ-
მაციის უარყოფის, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურების თაო-
ბაზე არ დაკმაყოფილდეს.
 - 2.2. ფ. ა-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სა-
ხელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის
№..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივარზე ს. მ-
ის მიერ 31.10.2017წ. №0 საგადახდო დავალებით ზედმეტად გა-
დახდილი 150 ლარი, ასევე, შპს „ბ-ას“ მიერ საკასაციო საჩივარზე
30.03.2018წ. №182 საგადახდო დავალებით ზედმეტად გადახდილი
300 ლარი.
 - 2.3. ვ. კ-ეს (პ/№...) ფ. ა-ის (პ/№...) სასარგებლოდ პროცესის ხარ-
ჯის სახით დაეკისროს 450 ლარის გადახდა.
 - 2.4. კასატორის მოთხოვნა სარჩელის განუხილველად დატოვე-
ბისა და საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ სა-
ოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
3. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ
გასაჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

განჩინება საქართველოს სასჯელით

№სს-1857-2018

7 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ბ-მა (შემდეგში – მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი) თბილისის საქალაქო სასამართლოში მ. გ-ის (შემდეგში – პირველი მოპასუხე), ნ. დ-ისა (შემდეგში – მეორე მოპასუხე) და ზ. ფ-ის (შემდეგში – მესამე მოპასუხე) წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მორალური ზიანის სახით 6000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

2. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

6. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა შემდეგ გარემოებათა და სამართლებრივ მოსაზრებათა გამო:

7. მოსარჩელე და მოპასუხეები მეზობლები არიან.

8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პი-

რის ცილისნამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგეში – სსკ-ის) მე-18 მუხლის თანახმად, კერძო პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან დაიცვას. ასევე, სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

9. სპეციალური კანონით საჯარო და კერძო პირის ცილისნამება გამიჯნულია და სხვადასხვა მუხლებითაა მოწესრიგებული („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები). აღნიშნულს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური ტკივილი, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და საშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი სამართლებრივი დანაწესის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი უზრუნველყოფილი იქნეს. ასევე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომელიც კერძო პირის ცილისნამებისთვის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, საჯარო პირის ცილისნამებისგან განსხვავებით, შეურაცხმყოფელი განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენას სავალდებულოდ არ მიიჩნევს. შესაბამისად, კერძო პირის შემთხვევაში, მას უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად, მაშინაც კი, როდესაც ცილისნამებლური ინფორმაცია არ გავრცელებულა. თუმცა, ასეთ დროს, მან უფრო მაღალი სტანდარტით უნდა დაადასტუროს პატივისა და ღირსების შელახვის ვარაუდი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, ზოგადად, შეურაცხმყოფელი ფაქტების ფართო მასებში გავრცელება პირის პატივსა და ღირსებას საზოგადოების თვალში აკნინებს, შესაბამისად, მას უფრო მეტ ზიანს აყენებს ვიდრე პირად სივრცეში, თუნდაც, იმავე სახის შეურაცხყოფის მიყენება.

10. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა ფაქტობრივ გარემოებებს იმის თაობაზე, რომ მოპასუხეები, რომლებიც მოსარჩელის მეზობლები არიან, მის პატივსა და ღირსებას სისტემატურად ლახავენ, შეურაცხყოფას აყენებენ, მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ, ინფორმაციას ავრცელებენ, თითქოსდა, მოსარჩელე ფსიქიკურად დაავადებული, ანუ, მისივე თქმით, „გიჟია“. შესაბამისად, დავის საგანში შედიოდა ის ფაქტობრივი გარემოები, წარმოადგენდა თუ არა მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოსარჩელის სსკ-ის 18.2 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც სამოქალაქო-მართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მოჰყვეს.

11. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის ასამოქმედებლად, აუცილებელია, დადგინდეს, რომ მოპასუხის განცხადება უშუალოდ მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

12. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.... ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უნესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა და სასამართლო ხელისუფლების უზრუნველსაყოფად. უდავოა, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს და მისი რეგლამენტირების დროს მაქსიმალური ყურადღება უნდა იქნეს გამოჩენილი.

13. სპეციალური სამართლებრივი მონესრიგების გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამოხატვაში შეიცავს, თუ არა, ცილისმწამებლურ განცხადებას, უნ-

და გაირკვეს მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. მათ შორის, განსხვავების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ „აზრის თავისუფლება“ მიჩნეულია კერძო საკითხად, რომელიც გონების სფეროს მიეკუთვნება და ამდენად, იგი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის. აზრის საწინააღმდეგოდ კი, „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას და იგი მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა კატეგორიას. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, ის თუ გამონათქვამი რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითებაა, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე – სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.

14. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ძირითადად იმ ფაქტობრივ გარემოებას ემყარება, რომ მოპასუხეები მოსარჩელეს „გიჟს“ ეძახიან.

15. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მითითებული გარემოება არ დასტურდება. თუმცა, მისი დადასტურების პირობებშიც კი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ტერმინის გამოყენება მორალურად დასაძრახი ქმედებაა, თუმცა, იგი მოპასუხეების სუბიექტურ დამოკიდებულებას ასახავს, არ არის დამყარებული კონკრეტულ ფაქტებზე და, რაც მთავარია, იგი რეალობას არ შეესაბამება (რასაც მოსარჩელე თავადაც ადასტურებს). გამოთქმის კონტექსტის შეფასების, შინაარსისა და ნამდვილი აზრის გათვალისწინებით, მოპასუხის გამონათქვამი აზრის გამოთქმად უნდა ჩაითვალოს, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად, რადგან არასახარბიელო სამეზობლო ურთიერთობის ფარგლებში აღნიშნული ტერმინით პირებს, როგორც წესი, მათი გულისწყრომის გამოხატვა სურთ. სასა-

მართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის სუბიექტური შეფასების გამომხატველი სადავო გამონათქვამი, შეურაცხმყოფელი, მტკივნეული, უარყოფითი ემოციისა და გარკვეული დისკომფორტის შემქმნელია მოსარჩელისათვის, წინამდებარე განჩინებაში განვითარებული მოტივაციით, ცილისწამების გამო, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივ შესაძლებლობას გამოიციხავს.

16. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის გამოსაყენებლად საჭირო ერთ-ერთი წინაპირობა – არსებითად მცდარი ფაქტის გავრცელება არ დასტურდება, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძველშივე გამოიციხავს, ამიტომ სააპელაციო სასამართლო ნორმის დისპოზიციით განმტკიცებული მეორე ელემენტის – მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტის გამოკვლევასა და მის სამართლებრივ შეფასებას აღარ შეუდგება.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს განამტკიცებს, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს ეკისრება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება წინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა; დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მასზე კანონით დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება ვერ მოახდინა, მოპასუხის მიერ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გაკეთება, რომელიც ცილისწამებას გაუთანაბრდებოდა არ დადასტურდა, რაც შეეხება ზიანის მიყენების ფაქტს სასამართლომ მისი შეფასება უმნიშვნელოდ მიიჩნია, ვინაიდან ნორმის დისპოზიციაში მითითებული კუმულაციური ელემენტებიდან პირველი სახეზე არ იყო.

18. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოდგინა მოსარჩელემ.

19. კასატორის მოსაზრებით, მართალია სასამართლომ გამოიყენა სპეციალური კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, თუმცა, არა მოსარჩელის სასიკეთოდ, არამედ მოპასუხეთა დასაცავად. კასატო-

რის მითითებით, უდავოა რომ მოსარჩელეს „გიჟს“ ეძახიან. სააკე-
ლაციო სასამართლომ კი, მხოლოდ ამ გარემოებაზე გამახვილა ყუ-
რადღება და სხვა გარემოებები არ გამოუკვლევია. გასაჩივრებუ-
ლი გადაწყვეტილება ძირითადად ემყარება იმ დასაბუთებას, რომ
მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მცდარი ფაქტის არსებობა, ხოლო
მოსაზრება კი, დაცულია სპეციალური კანონით. კასატორი აღნიშ-
ნავს, რომ ამით სასამართლომ სტიმული მისცა მოპასუხეებს კი-
დევ უფრო აქტიურად გააგრძელონ უკანონო და დამამცირებელი
მიუღებელი, ამორალური ქმედებები, რადგან გასაჩივრებული გან-
ჩინებით ეს ქმედებები ჩათვალა სიტყვის თავისუფლებად.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2018 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩი-
ვარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე
მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმმებლად, ხოლო 2019
წლის 01 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა და-
საშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საპროცესო სამარ-
თლებრივი საფუძვლით.

21. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-
საჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასა-
ციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი
არ უნდა დაკმაყოფილდეს.

22. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა წარმოდგე-
ნილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში იხილავს მორალური ზიანის
ანაზღაურების უარყოფის კანონიერებას.

23. განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და
მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გა-
რემოებების ანალიზი, საკასაციო პალატას აძლევს იმ დასკვნის გა-
კეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერი-
ალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის მე-18 მუხ-
ლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და შეიცავს დათქმას სპე-
ციალურ კანონზე, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის
16 ივლისიდან, კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლე-
ბის შესახებ“ საქართველოს კანონი. სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე
ნაწილი განსაზღვრავს, რომ „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშ-
ვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი,
ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებ-
ლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. შესაბამისად, საკა-
საციო პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხის გადასაწყვეტად,
პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გა-

მოსარკვევად და დასადგენად სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალური კანონით, რომელიც წარმოადგენს ღირსების და პატივის სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმას და საბოლოოდ, ქმნის საკითხის სამოქალაქო კოდექსით გადაწყვეტის წინაპირობას.

24. საკასაციო განაცხადის საფუძვლიანობის შემონმების მიზნით, პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს სადავო ურთიერთობის დასადგენად მტკიცებულებათა შეფასების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა), თანმიმდევრობით განხორციელებული უნდა იყოს მოთხოვნის საფუძვლის განმაპირობებელი შემდეგი წინაპირობები: ა) მოპასუხეებმა მოსარჩელის შესახებ გაავრცელა ეს სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხეებისათვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხეებმა ეს აშკარა და უხეში დაუდევრობა; დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მოსარჩელის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას.

25. ზემოთ მითითებული კომპონენტების მტკიცების ვალდებულებას რაც შეეხება, ამ მხრივ, ყურადსაღებია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური საკანონმდებლო რეგულირება. პალატა აღნიშნავს, რომ სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად ეკისრება თითოეულ მხარეს, და სპეციალური წესი, რომელსაც თავად მოსადავო მატერიალური ნორმა აწესებს. განსახილველ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს განამტკიცებს, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს ეკისრება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასა-

მართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს ამ განჩინების 3-24-ში მითითებული კომპონენტების განხორციელება.

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში, კასატორს არ მიუთითებია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საპროცესო ნორმების დარღვევით (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კასატორი პრეტენზიას მხოლოდ განჩინების დაუსაბუთებლობაზე ამყარებს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია; ძირითადად განჩინება ემყარება იმ დასაბუთებას, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მცდარი ფაქტის არსებობა, ხოლო მოსაზრება კი, დაცულია სპეციალური კანონით. კასატორი აღნიშნავს, რომ ამით სასამართლომ სტიმული მისცა მოპასუხეებს კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელონ უკანონო და დამამცირებელი, მიუღებელი, ამორალური ქმედებები, რადგან გასაჩივრებული განჩინებით ეს ქმედებები ჩათვალა სიტყვის თავისუფლებად (იხ., საკასაციო შედაგება – ამ განჩინების 3-19). ზოგადი შედაგების საფუძველზე კი, საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს, რომ სპეციალური კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე მოსარჩელემ ჯეროვნად შეასრულა მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დამაჯერებლად მტკიცების ვალდებულება, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მათი არასწორად დადგენის პროცესში დაარღვია პროცედურული წესი (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3).

27. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სახეზეა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. მისი სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა იმ გარემოებებს, რომ მოპასუხეები, რომლებიც მისი მეზობლები არიან, მის პატივსა და ღირსებას სისტემატურად ლახავენ, შეურაცხყოფას აყენებენ, მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ, ინფორმაციას ავრცელებენ, თითქოსდა, მოსარჩელე ფსიქიკურად დაავადებული, ანუ, მისივე თქმით, „გიჟია“. სარჩელის ამგვარ ფაქტობრივ მოცემულობაში მხედველობაშია მისაღები დადგენილი სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მსგავსი კატეგორიის დავებზე ერთმანეთისაგან იმიჯნება ფაქტი და მოსაზრება. მართალია კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული განჩინების არგუმენტი ემყარება სწორედ ფაქტის აზრისაგან გამიჯვნის პრობლემას, თუმცა, აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობად და აღნიშნავს, რომ ამგვარი მოთხოვნა

გამომდინარეობს სპეციალური კანონიდან, ასევე, დამკვიდრებული საერთაშორისო თუ ეროვნული სასამართლო პრაქტიკიდან. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად კი, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აზრი განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ხოლო განცხადებაა, ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო. ამასთან, ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით. ამასთან, სარჩელის აღძვრისას მოსარჩელემ უნდა ადასტუროს, რომ მოპასუხებებმა გაავრცელეს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

28. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ აზრის გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძალზე ფართოდ განმარტავს. თავისი პრინციპული პოზიცია მან ასახა ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში (LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის №9815/82), რომელშიც განმარტა, რომ უდიდესი სიფრთხილით უნდა შეფასდეს „ფაქტები“ და „მოსაზრება“/„მსჯელობა“. თავის მხრივ, „ფაქტების“ არსებობა დასაშვებად მიიჩნევა მათ დადასტურებას, მაშინ როდესაც „მოსაზრების“/„შეხედულების“ დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამდენად, იგი განეკუთვნება შეხედულებათა თავისუფლების სფეროს და დაცულია კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სხვა პრეცედენტულ საქმეშიც განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების

არსებობისა და თითოეული ინდივიდის განვითარების უმთავრეს საფუძველს. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაშვებული ჩარევის აუცილებლობის არარსებობისას, ნორმით დაცულ სფეროში ხვდება არა მხოლოდ „უწყინარი“, „უვნებელი“ გამონათქვამები, არამედ „შეურაცხმყოფელი“, „ალმაშფოთებელი“, „შოკისმომგვრელი“ მოსაზრებები. ეს არის პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები, რომლის გარეშეც, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა (იხ., OTTO PREMINGER INSTITUTE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 20 სექტემბერი, 1994 წელი, განაცხადის №13470/87). ამ საკითხთან მიმართებაში, თავისი პრინციპული პოზიცია სასამართლომ უფრო ადრე დააფიქსირა საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (HANDYSIDE v. UNITED KINGDOM, სტრასბურგი, 07 დეკემბერი, 1976 წელი განაცხადის №5493/72). აზრის ფაქტისაგან გამიჯვნის პრობლემის და აუცილებლობის შესახებ დამატებით იხილეთ სასამართლო პრაქტიკა – სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი; №ას-1304-1242-2014, 27 მაისი, 2015 წელი, №ას-53-49-2017, 07 აპრილი, 2017 წელი და ა.შ., რომელსაც ეფუძნება გასაჩივრებული განჩინება და ამიტომაც საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნულ სამართლებრივ საკითხს აღარ განმარტავს.

29. მამასადამე, მოსარჩელის ვალდებულება ადასტუროს გაცრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს „ფაქტს“/„განცხადებას“ თუ იგი არის „მოსაზრება“, რადენადაც, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა რომ მოპასუხებმა მის შესახებ განცხადება გააკეთეს, რომელიც ცილისწამებას გაუთანაბრდებოდა და მას წარმოუშობდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლებას. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომ საქმის მასალებით დაუდასტურებელია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის დისპოზიციაში მითითებული კუმულაციური კომპონენტებიდან პირველის განხორციელება (იხ., ამ განჩინების პ-24).

31. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხის განცხადებები არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცულ სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები პიროვნებისა და მოვლენის მიმართ შესაბამისად, არ არსებობს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები. ამდენად, საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირადი უფლებების დაცვა

განჩინება საქართველოს სასამართლომ

№ას-1366-2019

6 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ა-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე თ. წ-ნის (შემდეგში: მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ა)

2015 წლის 24 სექტემბერს მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადების (გავრცელებული ცნობები) უარყოფა მასზედ, რომ „ი. ა-ი ამტკიცებდა, რომ ს. გ-ნი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“ – არ შეესაბამება სინამდვილეს; (იხ. დაზუსტებული სარჩელი, ტ.1. ს.ფ. 196). ბ) ამ განჩინების პ.1-ის „ა“ პუნქტში მითითებული ინფორმაციის უარყოფა სამაუნყებლო კომპანიების: „რ.“-ის, „კ.“, საზოგადოებრივი მაუწყებლის, მე-2 არხის საშულებით, აგრეთვე ინტერნეტ გამოცემების „პ. ...“-სა და „ი-ს“ საშუალებით.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2015 წლის 24 სექტემბერს, მოსარჩელემ – საქართველოს იუსტიციის მინისტრმა – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, გააკეთა შემდეგი განცხადება: „მინდა მივესალმო სულ რამდენიმე დღის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც მაგალითად გადაწყვიტა, რომ და რაკი უკვე ყოფილი მოსამართლეა მე ამაზე ვისაუბრებ, ბატონი ი. ა-ისათვის აღარ განეხილება სასამართლო უფლებამოსილება. დიახ, ეს არის მოსამართლე, რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წარმოვლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ნი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. დიახ, ასეთი მოსამართლეები უნდა ნავიდნენ, მაგრამ ეს ვერ იქნება მოსამართლეებზე ძალადობის პოლიტიკა, მათ უბრალოდ უნდა მივცეთ საშუალება, რთულია, მაგრამ დაასრულონ ვადა, მაგრამ ნურავინ იოცნებებს იმაზე, რომ სამუდამოდ გადაინიშნებიან. შესავლის ბოლოს, მინდა ისიც შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ სასამართლოს წინა თავმჯდომარე, ამ მოსამართლეებს, მათ შორის, გ-ნის მოსამართლეებს პირდებოდა, რომ ისინი როდესაც 10 წელს ამონურავდნენ გადაინიშნებოდნენ სამუდამოდ. ეს ვერ მოხდება და ამის პირობას მე გაძლევეთ ჩემს ასე ვთქვათ, თანამებრძოლებთან ერთად. დაასრულონ ამ მოსამართლეებმა თავიანთი ვადა, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან მუდმივად ჩვენი შვილების ბედის გადამწყვეტები იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ რბილად რომ ვთქვათ“. აღნიშნული განცხადება რამდენჯერმე გადაიკა როგორც სხვადასხვა ტელევიზიის საშუალებით (მაგ. „რ.“, „კ.“, „ს. მ.“) და მათ ვებ-გვერდებზე, ასევე, განთავსდა სხვადასხვა ინტერნეტ გამოცემებში წერილობით და ვიდეო მასალის სახით (მაგ. „პ. ...“, „ი.“).

3. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხის ნათქვამი მასზედ, რომ „მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ს. გ-ნი არავის მოუკლავს, ის ბუჩქ-

ქებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, არის სიცრუე და ცილისწამება, რითაც უხეშად შეილახა მოსარჩელის, როგორც მოსამართლის, ისე ადამიანის უფლებები. მოპასუხის სადავო განცხადება უტეხს სახელს, ლახავს მოსარჩელის პატივსა და ღირსებას.

4. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელემ განმარტა, რომ 2010-2011 წლებში, იგი მონაწილეობდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მუშაობაში, როგორც დროებით ანუ „ა. ჰ.“ მოსამართლე საქმეზე №250.../... „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ნაწილის შესახებ, კერძოდ, პპ: 261-266-ში დაფიქსირებულ სასამართლოს მოსაზრებაზე, მოსარჩელემ გამოთქვა „ნაწილობრივ განსხვავებული აზრი“ და არა „განსხვავებული აზრი“, რომელიც შეეხებოდა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ქმედებების ნაწილში მე-2 მუხლის საპროცესო ასპექტების დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ ხარვეზებს, რაც აღნიშნულია გადაწყვეტილების პპ: 261-266-ში, სადაც მოყვანილ ხარვეზებს საერთო არაფერი აქვთ სასამართლო ხელისუფლებასთან.

5. მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებლში მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია განცხადების საჯაროდ გავრცელების ფაქტი; მოპასუხემ არსებითი შედაგება წარმოადგინა თავად განცხადების შინაარსთან დაკავშირებით. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის მტკიცება, რომ მან „განსხვავებული აზრი“ მხოლოდ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 261-266-ე აბზაცების მიმართ გამოხატა, არასწორია – მან სინამდვილეში „განსხვავებული აზრი“ გამოხატა ევროპული სასამართლოს სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების ყველა იმ აბზაცის მიმართ, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტისა და 38-ე მუხლის დარღვევას. მოსარჩელე თავისი განსხვავებული აზრის პირველივე აბზაცში აცხადებს „ვნუხვარ, რომ არ შემიძლია დავეთანხმო პალატის უმრავლესობის პოზიციას, რომელმაც დარღვეულად სცნო კონვენციის მე-2 მუხლი (პროცედურული ასპექტი) და 38-ე მუხლი“. ამასთან, მოსარჩელე იყო ერთადაერთი მოსამართლე, რომელმაც ხმა არ დაუჭირა ზემოაღნიშნულ საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ევროპული კონვენციის მე-2 და 38-ე მუხლების დარღვეულად ცნობის შესახებ. შესაბამისად, მოსარჩელე არ დაეთანხმა ევროპული სასამართლოს დასკვნას მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის ნაწილში, რომლებიც მოცემულია გადაწყვეტილების 241-ე-278-ე მუხლებში და მოიცავს ქვეყნის შიგნით საქმის გან-

ხილვის ყველა ეტაპს, მათ შორის, იმასაც, რომელიც ს. გ-ის თითქოსდა „ბუჩქებზე წაქცევას“ ეხება. მოსარჩელე ასევე არ დაეთანხმა კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას, რომელიც გამომდინარეობდა იქიდან, რომ ევროპული სასამართლოს არაერთი მოთხოვნის და შეხსენების მიუხედავად, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ევროპულ სასამართლოს დროულად არ წარუდგინა ე.წ. 14 მტკიცებულება, რომლიდანაც გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ს. გ-ი ბუჩქებზე ვერ მიიღებდა მომაკვდინებელ ჭრილობას, არამედ ის უნდა ყოფილიყო მოკლული, რისი ჯეროვნად გამოძიებაც მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ისურვა. მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, „ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს“ მოსამართლეები გამოთქვამენ იმ შემთხვევაში, როდესაც არ ეთანხმებიან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე ერთ ან მეტ პუნქტს, მაგრამ ეთანხმებიან სხვა პუნქტებს. შესაბამისად, თუკი მოსარჩელეს განსხვავებული აზრი მხოლოდ გადაწყვეტილების 261-ე-266-ე აბზაცების მიმართ ჰქონდა, მაშინ მას კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტისა და 38-ე მუხლის დარღვევისათვის მხარი უნდა დაეჭირა და ამასთანავე, თანმხმედრი აზრი უნდა გამოეთქვა მთლიანად გადაწყვეტილების მხარდაჭერის შესახებ და დაეფიქსირებინა, რომ ჰქონდა რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებები სარეზოლუციო ნაწილის გარკვეული აბზაცების მიმართ. მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელემ, თავისი მოქმედებით, განსაკუთრებით კი, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის წინააღმდეგ ხმის მიცემით, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების 800 მილიონი მოქალაქეს, მათ შორის, მოპასუხესაც, შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი დარღვეულად მიჩნეულიყო. შესაბამისად, რამდენადაც მოსარჩელემ ამ დარღვევის წინააღმდეგ მისცა ხმა, ერთადერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოტანილიყო ნებისმიერი სალი აზრის მქონე ადამიანის, მათ შორის, მოპასუხის მიერ, იყო რომ ასეთი მოქმედებით მოსარჩელემ გამოხატა წინააღმდეგობა და უთანხმოება სასამართლოს გადაწყვეტილების ყველა იმ ნაწილის მიმართ, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას ეხება. ასეთები კი გადაწყვეტილების 241-ე-278-ე აბზაცებია და არა მხოლოდ 261-ე-266-ე აბზაცები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის განმარტებით, მის მიერ გაკეთებული სადავო განცხადება არის არა მტკიცება ფაქტისა, რომ მოსარჩელემ ზუსტად ეს სიტყვები თქვა სტრასბურგის სასამართლოში ან სადმე სხვაგან, არამედ ეს არის ლოგიკური დასკვნა და

აზრი, რომელიც მოპასუხეს სამართლიანად და გონივრულად ჩამოუყალიბდა მოსარჩელის შესახებ მისივე მოქმედებიდან. ეს არის პოლიტიკოსის მიერ საზოგადოებრივი ყურადღების მქონე საკითხზე რიტორიკული ილეთის მეშვეობით გამოთქმული შემაჯამებელი შეფასება მოსარჩელის იმ ქმედებიდან გამომდინარე, როდესაც მან, როგორც მოსამართლემ, ევროპული სასამართლოს შესაბამისი პალატის ყველა დანარჩენი მოსამართლის სანიხალმდეგო პოზიცია დაიჭირა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 აპრილის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება, მოსარჩელის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად და საქმე დაუბრუნდა იგივე სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

8. საქმის ხელახალი განხილვის შედეგად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: – 2015 წლის 24 სექტემბერს, მოპასუხის, როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრის, მიერ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გაკეთდა შემდეგი განცხადება: „მინდა მივესალმო სულ რამდენიმე დღის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც მაგალითად გადაწყვიტა, რომ და რაკი უკვე ყოფილი მოსამართლეა მე ამაზე ვისაუბრებ, ბატონი ი. ა-ისათვის აღარ განეახლებინა სასამართლო უფლებამოსილება. დიახ, ეს არის მოსამართლე, რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებობდა წარმოვ-

ლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. დიახ, ასეთი მოსამართლეები უნდა წავიდნენ, მაგრამ ეს ვერ იქნება მოსამართლეებზე ძალადობის პოლიტიკა, მათ უბრალოდ უნდა მიეცეთ საშუალება, რთულია მაგრამ დაასრულონ ვადა, მაგრამ ნურავინ იოცნებებს იმაზე, რომ სამუდამოდ გადაინიშნებიან. შესავლის ბოლოს, მინდა ისიც შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ სასამართლოს წინა თავმჯდომარე, ამ მოსამართლეებს, მათ შორის, გ-ის მოსამართლეებს პირდებოდა, რომ ისინი როდესაც 10 წელს ამონურავდნენ გადაინიშნებოდნენ სამუდამოდ. ეს ვერ მოხდება და ამის პირობას მე გაძლევთ ჩემს ასე ვთქვათ თანამებრძოლებთან ერთად. დაასრულონ ამ მოსამართლეებმა თავიანთი ვადა, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან მუდმივად ჩვენი შვილების ბედის გადამწყვეტები იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, რბილად რომ ვთქვათ“ (შემდეგში – სადავო გამოხატულებაში). ამგვარი შინაარსის განცხადებები გავრცელდა სხვადასხვა ინტერნეტგამოცემებში, როგორცაა I.ge, p.ge.

10. ამასთან, მოსარჩელეს (აპელანტი) მიაჩნდა, რომ სადავო გამოხატულების შეფასებისას მხედველობაში იყო მისაღები მოპასუხის მიერ, 2011 წლის 30 აპრილს ტელევიზიით გაკეთებული შემდეგი განცხადება: „გადანწყვეტილებით დასტურდება, რომ საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და ამას, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ი. ა-იც ადასტურებს თავის განსხვავებულ აზრში. მან, მართალია, ბ-ის წინააღმდეგ მისცა ერთი ხმა და უმცირესობაში აღმოჩნდა და თქვა, რომ გადასარევედ არის ალბათ ჩატარებული გამოძიება, მაგრამ მან თქვა ერთი საინტერესო რამ, რომ რას ერჩით ამ სასამართლოებს რომ აკრიტიკებთო, ანუ დაიცვა თავისი კოლეგები. ჩვენ სასამართლოებს არაფერი შეუძლიათო, ეს მოტანილი მაქვს სიტყვასიტყვით, წერია, პროკურატურის თანხმობის გარეშე არაფერი არ შეეძლო სასამართლოს, რომ მას საქმე გადაეგზავნა გამოძიებისთვის ან თვითონ გამოესწორებინა, თუ პროკურატურა არ დათანხმდებოდა. მხოლოდ სამადლო ბელო შეიძლება იყოს მის მიმართ, რომ მოქმედი მოსამართლე საერთაშორისო დონეზე აცხადებს, რომ დღეს საქართველოში მოსამართლე არის უძღური – ეს ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის განცხადებაა“ („USB“ ფლეშ დისკზე არსებული „ჩვენ“ სიუჟეტის ჩანაწერი 00:48:08 – 00:49:08).

11. დადგენილია, რომ მოსარჩელის (აპელანტი) შუამდგომლობის საფუძველზე საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო საინფორმაციო სააგენტო „ი.“ ვებ-გვერდზე განთავსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 იანვრის განცხადება მ. ს-ის მი-

მართ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ: „სასამართლო საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურებულად მიიჩნია მ. ს-ის მხრიდან ა. გ-ნის საქმესთან შემხებლობაში მყოფი მაღალი თანამდებობის პირებისთვის, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით გ. ა.-ს, ა. ა.-ს, მ. ბ.-ს და ა. ლ.-ს შეწყალების დაპირება, რაც მოგვიანებით შეასრულა. შესაბამისად პასუხისმგებლობისგან აცილებულ იქნენ მაღალი თანამდებობის პირები, რამაც დაზარალებულის ოჯახის წევრთა უფლებებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევა გამოიწვია“.

12. ასევე, მოსამართლე გ. ჩ-ს მოსამართლედ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, მოსარჩელის (აპელანტი) მოსაზრებით, განსახილველ საქმეს ნეგატიურად უკავშირდება, მით უფრო, მოსარჩელის ცილისწამება იწვევს უარყოფით შედეგებს.

13. უარყოფითი კონტექსტის წარმოჩენის მიზნით, 2019 წლის 18 ივლისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე აპელატმა აგრეთვე წარმოადგინა ტელეკომპანია „ი.“ 2019 წლის 22 იანვრის გადაცემა „პ-ს“ ჩანაწერი.

14. სადავო გამონათქვამს წინ უსწრებდა შემდეგი გარემოებები:

15. – 2011 წლის 26 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №25091/07). ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ სასამართლომ კენჭისყრის საფუძველზე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის (1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, შემდგომში, კონვენცია) მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით კი, ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ზემოხსენებული საქმის განხილვაში, როგორც „ადჰოკ“ (Ad Hoc) მოსამართლე, მონაწილეობას იღებდა მოსარჩელე, რომელიც ერთადერთი მოსამართლე იყო, რომელიც არ დაეთანხმა ადამიანის უფ-

ლებათა ევროპული სასამართლოს პალატის უმრავლესობის გადან-
ყვეტილებას კონვენციის მე-2 მუხლისა (პროცედურული დარღვე-
ვა განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური
გამოძიების თვალსაზრისით) და 38-ე მუხლის დარღვევასთან და-
კავშირებით და გამოთქვა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, ხო-
ლო ზემოხსენებული გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის
მე-4 პუნქტზე კენჭისყრისას მხარი დაუჭირა გადანყვეტილებას,
რომლის თანახმადაც განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩი-
ნოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხ-
ლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვა მოსა-
მართლეებმა: კ. ბ-ომ, დ. ი-ემ და დ. პ-მა ზემოხსენებულ საქმეზე
დანერეს ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომლითაც
განაცხადეს, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეული იყო ევრო-
პული კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარეც (ადამიანის უფ-
ლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის გადან-
ყვეტილების ასლი საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართვე-
ლოს წინააღმდეგ“, ი. ა-ის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, კ. ბ-
ს, დ. ი-ს და დ. პ-ს ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი).

18. ი. ა-ის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში კონვენციის 38-ე
მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით ვკითხულობთ შემდეგს:
„რაც შეეხება 38-ე მუხლს, იძულებული ვარ, არ დავეთანხმო უმ-
რავლესობის მხრიდან სასამართლოს პრეცედენტული სამართლი-
დან გადახვევას. არსებობს მთელი რიგი საქმეებისა, რომლებშიც
სასამართლომ 38-ე მუხლი დარღვეულად ცნო იმის გამო, რომ მოთ-
ხოვნილი მასალები მისთვის საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი
(Imakayeva v. Russia, no. 7615/02, § 201, Lyanova and Aliyeva v. Russia,
nos. 12713/02 and 28440/03, § 145, Nevmerzhitsky v. Ukraine, no. 54825/00
§ 77). საქმეში Alikhadzhiyeva v. Russia (no. 68007/01), მოპასუხე სა-
ხელმწიფომ საქმის მასალები მხოლოდ მას შემდეგ წარადგინა, რო-
დესაც განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი (§99). უფრო მეტიც,
სახელმწიფომ პირდაპირ უარიც კი განაცხადა კომუნიკაციის სტა-
დიაზე საქმის მასალების სასამართლოსთვის წარდგენაზე (§102).
მიუხედავად ამისა, 104-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა: „რაც
შეეხება 38-ე მუხლს, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ
იგი გამოიყენება ისეთ საქმეებში, რომლებიც დასაშვებად იქნა
ცნობილი. მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ სახელ-
მწიფომ სასამართლოს მოთხოვნა დასაშვებობის შესახებ გადან-
ყვეტილების გამოტანის შემდეგ შეასრულა, სასამართლოს არშე-
უძლია დაასკვნას, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით
წარმოდგენამ ხელი შეუშალა ფაქტების დადგენას ან რაიმე სხვაამ-

ხრივ მიაყენა ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვას. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის დროის მხრივ კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია“. სასამართლოს ზემოთ ციტირებული განმარტებიდან შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ საქმის მასალების დაგვიანებით მიწოდება 38-ე მუხლის დარღვევად რომ იქნეს მიჩნეული: (i) დაგვიანება პროცესის იმ ეტაპზე უნდა მოხდეს, როდესაც საქმის არსებითი მხარე განიხილება; (ii) დაგვიანებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ ფაქტების დადგენას უნდა შეუშალოს ხელი; (iii) დაგვიანებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ რაიმე სხვა მხრივ უნდა მიაყენოს ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვას. მოცემულ შემთხვევაში არცერთ ზემოხსენებულ პირობას არ ჰქონია ადგილი. საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის განხილვა ერთდროულად მოხდა (§4) და განხილვის პროცესში ყველა მოთხოვნილი მასალა სასამართლოს ხელთ იყო. ამასთანავე, დაგვიანებას არ ჰქონია ისეთი ხასიათი, რომ ფაქტების დადგენისთვის შეეშალა ხელი ან რაიმე სხვა მხრივ მიეყენებინა ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვისათვის. ამ საქმეზე გამოტანილი განჩინება პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ, მიღებული მასალების საფუძველზე, სასამართლომ გამოიკვლია სათანადო ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ ვერ შეძლო თავისი ფუნქციების შესრულება იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები. მაშასადამე, ამ საქმეში არცერთ ისეთ პირობას არ ჰქონია ადგილი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა. ეს პრეცედენტი, კონვენციის 38-ე მუხლის გამოყენების მხრივ, ძალიან სახიფათო მიდგომას უყრის საფუძველს – მას შეუძლია სახელმწიფოებს დაუკარგოს მათ ხელთ არსებული მასალების სასამართლოსთვის წარდგენის სურვილი, რადგან ეცოდინებათ, რომ მაშინაც კი თუ ისინი წარადგენენ ამ მასალებს გარკვეული დაგვიანებით, სასამართლოს შეუძლია კონვენციის 38-ე მუხლი მაინც დარღვეულად ცნოს. ასეთი მიდგომა შესაძლოა არ ემსახურებოდეს სასამართლოს ინტერესებს მისი საბოლოო მიზნების მიღწევის საქმეში“.

19. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად მოაწესრიგა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 18.2 მუხლით, ასევე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კა-

ნონით (შემდეგში – სპეციალური კანონი).

20. განსახილველი დავის მომწესრიგებელ ნორმათა საფუძველზე კი, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, შეიცავდა თუ არა ცილისწამებლურ განცხადებას სადავო გამონათქვამი; ამისათვის კი, პირველ რიგში, გამოსარკვევი იყო – სადავო გამონათქვამი წარმოადგენდა მოპასუხის მსჯელობას („აზრს“) თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“.

21. სპეციალური კანონის მიხედვით ტერმინი „აზრი“ – შეფასებითი მსჯელობაა, თვალსაზრისია, კომენტარია, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო „ცილისწამება“ – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა“ (პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

22. ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელ პირობად სააპელაციო სასამართლომ „ფაქტისა“ და „მოსაზრების“ გამიჯვნა მიიჩნია. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისად: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძ-

ლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012წ.).

23. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „აზრისა“ და „ფაქტის“ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი კომპონენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ.). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.).

24. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველ რიგში, სადავო განცხადება, კერძოდ, მოპასუხის მითითება მასზედ, რომ: „ი. ა-ი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბურჟეზებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, არ უნდა იქნეს განხილული ცალკე „ამოგლეჯილი“ ფრაზის სახით მოპასუხის მთლიანი სიტყვისაგან, იგი უნდა განვიხილოთ ერთიან კონტექსტში. აღნიშნული კი, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ იგი არ წარმოადგენს მოსარჩელის მიმართ განხორციელებულ ცილისწამებას და საკითხი უნდა გადაწყდეს სადავო განცხადებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

25. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა პირისთვის არაზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი „განცხადება“, არამედ „აზრი“, რომელიც უკავშირდება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250.../...) დადგენილი დარღვევების ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას და აპელანტის, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში „ა. ჰ.“ მოსამართლის მიერ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას-

თან და 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გამოხატულ დამოკიდებულებას, შეფასებას.

26. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

27. სადავო გამონათქვამის ყოველმხრივი და სრული, კონტექსტუალური შემონმების შედეგად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო განცხადება თავსებადი იყო სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულ „აზრის“ დეფინიციაში, რომლის მიხედვითაც აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შესხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ფ“ პუნქტის მიხედვით კი, აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლებაა.

28. სპეციალური კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

29. სპეციალური ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა; დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას.

30. ამდენად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობაა საჯარო პირის ცილისწამება და საქმეზე იმ გარემოების უტყუარად დადგენა, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავდა

არსებითად მცდარ ფაქტს მოსარჩელის შესახებ.

31. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ როგორც მოცემულ საქმეზე დადგენილი იქნა სადავო გამონათქვამი წარმოადგენდა „აზრს“/„შეფასებით მსჯელობას“, საფუძველს იყო მოკლებული სააპელაციო სასამართლოს ემსჯელა იმაზე მიადგა თუ არა ზიანი მოსარჩელეს.

32. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა ისიც, რომ მოსარჩელის (აპელანტი) მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულება (ტელეკომპანია „ი.“ 20... წლის ... იანვრის გადაცემა „პ.“ ჩანანერი), როგორც მოპასუხის მიერ გაკეთებული გამონათქვამის შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგის მტკიცების საშუალება, სწორედ ზემოდასახელებული დასაბუთების გათვალისწინებით ვერ იქნებოდა გაზიარებული. ამდენად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულო ოთხივე ელემენტი (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი, ბრალი) არ იყო სახეზე, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

33. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება სარჩელის უარყოფის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა აპელანტის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

34. კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ ჩანს საერთოდ განიხილა თუ არა სასამართლომ მოსარჩელის დასაბუთება და მტკიცებულებები, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

35. კასატორის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-1477-1489-2011 კარგადაა ასახული უზენაესი სასამართლოს განმარტება „ფაქტებისა“ და „აზრის“ შესახებ, კერძოდ, მის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია შემდეგი: „აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი – რა ფაქტობრივი ელემენტებისგან შედგება გამონათქვამი“. უზენაესმა სასამართლომ მიუხედავად სირთულისა, მაინც გამოყო მთელი რიგი ელემენტები, რის საფუძველზეც შესაძლებე-

ლია გაიმიჯნოს ფაქტი და აზრი. ეს ელემენტებია: ა) გამოთქმის შინაარსი; ბ) გამოთქმის ფორმა და გ) გამოთქმის კონტექსტი.

36. სადავო შემთხვევაში, მოპასუხემ განაცხადა შემდეგი: „... დიახ, ეს არის მოსამართლე რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წამოვლენილი წინამთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბურჩებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“. კასატორის მოსაზრებით, ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება იმის განცდა, რომ ადგილი ჰქონდა ასეთ მოვლენას, შემთხვევას (ანუ ფაქტს) თითქოს მოსამართლე ი. ა-ი ევროსასამართლოში სიტყვით გამოდიოდა და აკეთებდა განცხადებას მასზედ, რომ გ-ი არავის მოუკლავს, ის ბურჩებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. გარდა ამისა, მოპასუხე მტკიცებითი და დაბეჯითებითი ფორმითა და ტონით აკეთებდა ამგვარ განცხადებას. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოყენებული ფრაზა – „იგი ამტკიცებდა“ – რაც თავისი მტკიცებითი შინაარსიდან გამომდინარე, მიუთითებს სწორედ მხოლოდ ფაქტზე – ანუ იმაზე/რომ მოსარჩელე თითქოს ამტკიცებდა ამას ყველაფერს. არადა მოპასუხეს (საქართველოს იუსტიციის მინისტრს) უნდა მოეხსენებოდეს, რომ საქმის განხილვის დროს მოსამართლეები (მათ შორის, ევროსასამართლოს მოსამართლეები) არაფერს ამტკიცებენ, ისინი საქმეს იხილავენ და აფასებენ ამა თუ იმ ნორმის დარღვევას თუ დაურღვეველობას.

37. რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ მეორე ელემენტს – გამოთქმის ფორმას, საგულისხმოა, რომ გამოთქმის ფორმა მტკიცებითი ხასიათისაა. მოპასუხე დაბეჯითებით იძახის – „დიახ, ეს არის მოსამართლე რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წამოვლენილი წინამთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბურჩებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“. მოპასუხის გამონათქვამის გამოკვლევა არც ამ კუთხით არ მიიჩნია სასამართლომ საჭიროდ.

38. კასატორი მიმოიხილავს იმასაც, თუ რა მოვლენები უძლოდა სადავო გამონათქვამს წინ. 2015 წლის 21 სექტემბერს გამართულ სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა იმ მოსამართლეებს, რომელთაც იმ პერიოდში გასდიოდათ უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა, აღარ გაგრძელებოდათ უფლებამოსილება. ეს გადაწყვეტილება შეეხო მოსამართლეთა საკმაოდ დიდ ჯგუფს. მაგრამ მინისტრმა ამ ჯგუფიდან რატომღაც გამოარჩია მოსამართლე ი. ა-ი და მის შესახებ გაავრცელა ცილისმწამებლური

განცხადება.

39. კასატორის მოსაზრებით, მინისტრი ცდება თავის უფლება-მოსილებას და საუბრობს ხელისუფლების იმ შტოს წარმომადგენლებზე, რომლებიც დამოუკიდებელი არიან. მათ შორის, იუსტიციის მინისტრისაგან და სრულიად უკანონო განცხადებებს აკეთებს. მაგალითად, პირდება პირთა განუსაზღვრელ წრეს, რომ ასეთ მოსამართლეებს აღარ დანიშნავენ და ა.შ. მინისტრის გამონათქვამი ფაქტად უნდა იქნეს კვალიფიცირებული, ამასთან არსებითად მცდარი ფაქტის შემცველად, და შესაბამისად, ცილისწამებად.

40. ამასთან, სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ზიანის მიდგომის კვალობაზე ალტერნატიულ პირობად ადგენს სახელის გატეხვასაც. კასატორის მოსაზრებით, მრავალ ადამიანს როგორც ნაცნობს, ისე უცნობს შეიძლება შექმნოდა მცდარი წარმოდგენა მოსარჩელის მიერ მიღებულ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრთან დაკავშირებით.

41. კასატორი აღნიშნავს, რომ ს. გ-ნის საქმესთან ნეგატიურად დაკავშირება, მით უფრო, ცილისწამების შედეგად, იწვევს ნეგატიური ფორმით დაკავშირებული პირების მიმართ უარყოფით შედეგებს. მაგალითად, 2018 წლის 5 იანვარს ყოფილი პრეზიდენტი მ. ს-ი გაასამართლეს ამ საქმესთან მიმართებით შეწყალების უფლების გამოყენების გამო, ხოლო მოსამართლე გ. ჩ-ა უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ აღარ დანიშნეს მოსამართლის თანამდებობაზე 2018 წლის 11 იანვარს. მოსარჩელის შემთხვევაში, ეს იწვევს მის მიმართ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, მოსარჩელის სტიგმატიზებას და ხელი შეუშალა სამსახურებრივ წინსვლაში, პროფესიულ საქმიანობაში და მუდმივად ასე გაგრძელდება, თუ ამ ცილისწამებას სათანადო პასუხი არ გაეცემა. „ცრუ ინფორმაციის გავრცელება“ (defaming) და „სტიგმატიზება (stigmatising) არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პრეცედენტულ სამართალში ფართოდ გამოყენებული ტერმინები (Genner v. Austria, No 55495/08, 12 January 2006 p.39). სტიგმატიზება, მით უფრო, სახეზეა როდესაც ცრუ ინფორმაციის გავრცელება ხდება იუსტიციის მინისტრის მხრიდან, ვინაიდან იგი არის რა საჯარო მოხელე, მის და მისი ნათქვამის მიმართ საზოგადოებას განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნია. მოპასუხემ – იუსტიციის მინისტრმა (და არა რიგითმა ჟურნალისტმა), ცილისწამების გავრცელებით საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მიანოდა მოსარჩელის შესახებ.

42. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე *Medzlis Islamske Zajednice Brcko and others v. Bosnia and Herzegovina*, No 17224/117). განსაზღვრა თუ კონკრეტულად როგორ იქნა შელახული მ. ს-ის რეპუტაცია და როგორ განხორციელ-

დებოდა მისი სახელის გატეხვა გავრცელებული ინფორმაციით. ამავე გადაწყვეტილების 106-ე აბზაცში კი, სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების არეალის და მოცულობის მნიშვნელობას საქმიანი რეპუტაციის შელახვის დადგენისათვის და განმარტა შემდეგი: „მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოხვდა წერილი მედიაში, საფიქრებელია, რომ მისმა გამოქვეყნებამ გახსნა საჯარო დებატების შესაძლებლობა და დაამძიმა ის ზიანი, რაც მიადგა მ. ს-ი ღირსებასა და პროფესიულ რეპუტაციას“. იგივე შეიძლება ითქვას მოცემულ შემთხვევაშიც მოპასუხის განცხადება ახდენს მოსარჩელის სახელის გატეხვას და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

43. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სადავო გამონათქვამის ციტირებას ხშირად ახდენენ საინფორმაციო საშუალებები, თუ მოსარჩელე საჯარო სივრცეში ამა თუ იმ ფორმით გამოჩნდება, მაგალითად, ამ განცხადების ციტირება მოახდინა 2016 წლის 11 იანვარს საინფორმაციო გამოცემა „კ. პ-მ“. 2017 წელს მოპასუხის ამ გამოსვლის რეტლანსლიაცია მოახდინა ტელეკომპანია „ი-მ“, როდესაც მოამზადა სიუჟეტი ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ და მოსარჩელის შესახებ სიუჟეტს მოპასუხის ეს გამოთქმა მიუძღვნა. ამდენად, მოსარჩელის შესახებ საჯარო სივრცეში ნებისმიერი გამოჩენა უკავშირდება მოპასუხის მიერ წარმოთქმულ ამ ფრაზას, რაც ცხადია, საზოგადოებაში ავრცელებს სრულიად ცრუ ინფორმაციას.

44. რაც შეეხება მოპასუხის 2015 წლის გამოსვლაში გამოყენებულ ფრაზას – „წარმოვლენილი“, აგრეთვე ფრაზას – „ბრძანდებოდა“, თანამედროვე ქართულ ენაში სიტყვა „წარმოვლენილი“ აგრეთვე „ბრძანდებოდა“ გამოიყენება მნიშვნელობის დასაკნინებლად და იმ პირის შეურაცხყოფისათვის, დაცინვისათვის რომლის მიმართაც ხდება ამ სიტყვის გამოყენება. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მოპასუხის საუბრის ტონსა და ინტონაციას ამ სიტყვისა თუ ზოგადად სადავო ფრაზების გამოთქმისას. როგორი ზიზღითა და სიძულვილითაა სავსე მისი გამოთქმა, მოქმედი მოსამართლის მიმართ.

45. ცილისწამებასთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებას საქმეზე „კინჩესი უნგრეთის წინააღმდეგ (Kinses v. Hungary), რომელშიც ადვოკატი კინჩესი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნევა მის მიმართ ადვოკატთა კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელის გამოყენებას, მის სააპელაციო საჩივარში მოსამართლის შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო.

46. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინებაში საერთოდ არ შეუფასებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგისტრატორის 2015 წლის 29 ოქტომბრის ელექტრონული წერილი. საგულისხმოა, რომ ამ წერილში ის კი არაა აღნიშნული, რომ მაინცდამაინც რაიმე ღონისძიება უნდა მიმდინარეობდეს მოსამართლის მიმართ, არამედ ის, რომ ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხორციელებული საქმიანობის გამო, მოსამართლე უნდა იყო დაცული და არ უნდა დაექვემდებაროს პოლიტიკოსების მხრიდან ცილისწამებას. უნდა არსებობდეს ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არასათანადო გამოყენება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს სასამართლოს დისკრედიტაცია. აგრეთვე უნდა არსებობდეს ზომები, რათა დაცული იქნეს მოსამართლეთა რეპუტაცია და უფლებები და შენარჩუნებულ იქნეს სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილებების მხედველობაში მიღებით.

47. კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო გამონათქვამი არის მტკიცებითი ფორმის – „დიახ, ეს არის მოსამართლე რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა ნარმოვლენილი წინა მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლვს, ის ბუჩქებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“. აქ რაიმე შეფასებითი მსჯელობა უბრალოდ გამორიცხულია და ამას ვერც სააპელაციო სასამართლო უარყოფს. სწორედ ამიტომ მოიშველია მან „კონტექსტი“, რადგან თავად გამონათქვამი მთლიანად მტკიცებითი ხასიათისაა.

48. ამასთან, მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმის სადავო გამონათქვამი გავრცელებულია სხვა ფაქტებთან კონტექსტში. კერძოდ, ისეთ ფაქტებთან კონტექსტში როგორცაა „ესაა მოსამართლე“, „ნარმოვლენილი იყო წინა მთავრობის მიერ“. როგორც ზემოაღნიშნული მსჯელობიდან დასტურდება, განცხადებაში მოყვანილი იყო მართოდენ ფაქტები და ეს ფაქტები გაგრძელდა მოპასუხის მიერ ასევე ფაქტის გაუღერებით – „და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“.

49. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო (ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო), თავს არიდებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე მსჯელობას, მიუხედავად იმისა, რომ საპაექრო სიტყვაში, სააპელაციო საჩივარსა და ახსნა-განმარტებაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს

დათმობილი მე-8 მუხლსა და მის საფუძველზე შექმნილ პრეცედენტულ სამართალს. კასატორი მიიჩნევს, რომ გადანყვეტილება დასაბუთებული ვერ იქნება, როდესაც სასამართლო არ მსჯელობს ამ დავის ყველაზე უფრო არსებით სამართლებრივ საფუძველზე – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე და მის საფუძველზე შექმნილ პრეცედენტულ სამართალზე. დავის საგანია პირის, ინფორმაციის გავრცელების დროს მოქმედი მოსამართლის რეპუტაცია, რომელიც სწორედ მე-8 მუხლითაა დაცული და ამ დროს საქმის განმხილველი სასამართლოები მსჯელობენ ყველა ნორმაზე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლისა.

50. საქმეზე „პფეიფერი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Pfeifer v. Austria, 15 November, 2007, №12556/03), აბზაცში №35 განიმარტა შემდეგი: „საქმეზე შაუფი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ №64915/01 პ.70, რომელიც შეეხებოდა მე-10 მუხლის საფუძველზე შეტანილ საჩივარს, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის რეპუტაცია რომელზეც წიგნის გავრცელებამ ზეგავლენა მოახდინა, დაცული იყო მე-8 მუხლით, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ნაწილი“. უმნიშვნელოვანეს დებულებებს მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება Petrenco v. moldova, No, 20928/05, რომლის 51-ე აბზაცში მოყვანილია მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესახებ სასამართლოს მოსაზრება. კერძოდ, 52-ე აბზაცში აღნიშნულია შემდეგი „სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მართალია მე-8 მუხლის მიზანია პირის დაცვა საჯარო ხელისუფლების თვითნებური ჩარევისაგან, მაგრამ ეს მუხლი არა მხოლოდ აიძულებს სახელმწიფოს თავი შეიკავოს ასეთი ჩარევისაგან. დამატებით ასეთი ნეგატიული ვალდებულებისა შეიძლება ასევე ადგილი ჰქონდეს პოზიტიურ ვალდებულებას, რომელიც განუყოფელია პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტური პატივისცემისაგან. ასეთი ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც განკუთვნილია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემისკენ ისეთ სფეროშიც კი როგორცაა კერძო პირთა ურთიერთობა ერთმანეთთან სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე მოიცავს სახელმწიფოს მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს ეფექტური პატივისცემა განმცხადებლის პირადი ცხოვრებისა, კერძოდ, უფლებისა დაცული იქნეს მისი რეპუტაცია“. ამ განმარტებით სრულიად ცხადია, რომ ადამიანის რეპუტაცია პირდაპირ ექცევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში და მისი დაცვა სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა მთელი რიგი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ხდება მე-8 და მე-10 მუხლების დაბალანსება. ამ პრინციპებს „ფონ ჰანოვერის კრიტიკურიუმებს“ უწოდებენ, ვინაიდან სასამართლომ ისინი პირველად გამოიყენა საქმეში Von Hannover v. Germany, (no 2) (აბზაცები 109-113). ამ კრიტიკურიუმების მიხედვით უნდა გამოკვლეულ იქნეს შემდეგი საკითხები: ა) საყოველთაო ინტერესის მქონე დებატებისათვის ხელშეწყობა; ბ) რამდენად ცნობილია პირი; გ) რა არის სტატიის საგანი; დ) იმ პირის ადრინდელი ქცევა, რომელსაც ეხება ეს საკითხი; ე) გამოქვეყნებული მასალის შინაარსი, ფორმა და შედეგები; ვ) გარემოებები, რომლებშიც ფოტო იყო გადაღებული (მოცემულ ვითარებაში, ეს გარემოება არაა განკუთვნილი). პროპორციულობის განსაზღვრის ეს ტექსტი საქმის განმხილველ სასამართლოებს საერთოდ არ გამოუკვლევიათ. საქმე პერუცი იტალიის წინააღმდეგ (Peruzzi v. Italy, June 30, 2015, №39294/09) ეხებოდა ერთ-ერთი ადვოკატის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, იუსტიციის სამინისტროში, და თავად შესაბამის სასამართლოში, რამდენიმე მოსამართლესთან გაგზავნილ წერილში გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მოსამართლე სათანადო გულმოდგინების გარეშე და ინდიფერენტულად ეპყრობოდა მოქალაქეთა კანონიერ მოთხოვნებს. იქვე აღნიშნული იყო, რომ მოსამართლემ განზრახ არ უნდა განახორციელოს შეცდომები. ამ წერილის მიღების შემდეგ მოსამართლემ (რომელიც სახელითა და გვარით წერილში არ იყო მითითებული), მიმართა საგამოძიებო უწყებებს ცილისწამების სისხლის სამართლებრივი პროცედურების დასაწყებად. საბოლოოდ, ადვოკატს (განმცხადებელს) დაეკისრა ჯარიმა სისხლის სამართლის წესით 400 ევრო, აგრეთვე, მოსამართლისათვის ზიანის სახით 15000 ევროსა და ხარჯის სახით 2000 ევრო ანაზღაურება. ადამიანის უფლებათა სასამართლომ აბზაცში 65 განმარტა, რომ: „... ისეთ საქმეებში როგორც ესაა, რომელიც მოითხოვს სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას პირადი ცხოვრების პატივისცემასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. სასამართლოს მიაჩნია, რომ განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღება არ იქნება დამოკიდებული იმაზე იგი შემოტანილია მე-8 მუხლის საფუძველზე პირის მიერ, რომელიც გააკრიტიკეს, თუ მე-10 მუხლის საფუძველზე კრიტიკის ავტორის მიერ. ორივე უფლება თანაბარ პატივისცემას მოითხოვს“. ამავე საქმის მე-60 აბზაცში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის მოხსენიება წერილში „მიკერძოებულად“, „რომელიც განზრახვით უშვებს შეცდომებს, ბოროტი განზრახვის, სერიოზული გადაცდომისა და გულგრილობის გამო“, გულისხმობდა, რომ კონკრეტული მოსამართლე არღვევდა თავის უფლებამო-

სილებას. ხოლო 62-ე აბზაცში ევროსასამართლომ განსაკუთრებულ-ლი ყურადღება მიაქცია კონტექსტს, რომელშიც ეს წერილი დაი-წერა და გავრცელდა – კრიტიკა გაჟღერდა არა სხდომაზე ან სასა-მართლო წარმოების მიმდინარეობისას, არამედ იგი წერილობით გა-ეგზავნა თავად მოსამართლეს, აგრეთვე, იმავე სასამართლოს სხვა ბევრ მოსამართლეს და გენუის სააპელაციო სასამართლომ მარ-თებულად მიუთითა, რომ წერილის გავრცელება ისეთ მცირე ზო-მის დაწესებულებაში, როგორც ადგილობრივი პირველი ინსტან-ციის სასამართლო იყო, აუცილებლად მიაყენებს ზიანს შესაბამისი მოსამართლის რეპუტაციასა და პროფესიულ ღირსებას. ამ ყველა გარემოების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ-მა სასამართლომ მიიჩნია, რომ ცილისწამებისათვის ბ-ნ პ-ის გასა-მართლება სისხლის სამართლის წესით და ზემოაღნიშნული სან-ქციის დაკისრება სავსებით შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხ-ლის მოთხოვნებს.

51. კასატორის მოსაზრებით, მოსამართლის მიმართ გამოხატულ ცილისწამებას შეეხებოდა 2018 წლის 1 თებერვალს განხილული საქმე მესლო საფრანგეთის წინააღმდეგ (*Meslot v. France*, №050538/12, 01.02.2018), სადაც საკანონმდებლო ორგანოს წევრმა ბ-ნმა მეს-ლომ პირველი ინსტანციის მოსამართლეს უწოდა „პოლიტიკური კო-მისარი“, „წითელი მოსამართლე“, აგრეთვე, ბრალი დასდო მძრ-ცველობაში ეჭვმიტანილი ორი პირის უსაფუძვლოდ გათავისუფ-ლებაში, რის გამოც, საფრანგეთის სასამართლოების მიერ მას სის-ხლის სამართლებრივ სასჯელად განესაზღვრა 100 ევრო. ევროსა-სამართლომ აბზაცში 45 განმარტა, რომ იგი სრულად იზიარებდა, რომ ეს განცხადებები წარმოადგენდა უფრო მეტად მოსამართლე-ზე პერსონალურ თავდასხმას, ვიდრე კრიტიკას და ეს თავდასხმა მიმართული იყო მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ, ხოლო აბზაცში 48 განიმარტა, რომ ასეთი თავდასხმა ასევე ძირს უთხრი-და სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ავტორიტეტს. ამ მიზე-ზების გამო, მესლოს საჩივარი მე-10 მუხლის დარღვევასთან და-კავშირებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

52. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გამონათქვამი გადაიცა ტე-ლევიზიის რამდენიმე არხით, ასევე, ინტერნეტის რამდენიმე ვებ-გვერდის (მათ შორის, ტელევიზიის ვებ-გვერდის) მეშვეობითაც. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გავრცელების მასშტაბები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც სა-ხელის გატეხვის მასშტაბებს განსაზღვრავს. საქმეში *Del v. Estonia* (No 64569/09, Grand Chamber Judgment 16 June, 2015, აბზაცი 133) დიდ-მა პალატამ განმარტა შემდეგი: „უფრო მეტიც, სასამართლომ ად-რე განმარტა, რომ მისი მისაწვდომობისა და დიდი მოცულობის ინ-

ფორმაციის შენახვისა და კომუნიკაციის მეშვეობით ინტერნეტი ასრულებს დიდ როლს საზოგადოების მიერ ახალი ამბების მისაღება და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელის შესანჯობად“.

53. კასატორმა აგრეთვე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 ივლისის განჩინების (მოსამართლის თვითაცილება) და 2019 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინების (2019 წლის 9 აპრილს ტელეკომპანია „ი.“ გასული სიუჟეტი (გადაცემა „პ.“) და ამ სიუჟეტის ამსახველი მოკლე წერილობითი ინფორმაციის („რ.“ და ი.) ვებ-გვერდებზე გავრცელების ამსახველი მასალის დართვაზე უარი) გაუქმება.

54. კასატორი აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მულის „ა“ ქვეპუნქტით „გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ“.

55. მოცემულ შემთხვევაში, 2019 წლის 4 ივლისის სხდომაზე მოსამართლე რ. ნ-ის აცილების შემდეგ, საქმის განხილვა გადაიდო 11 ივლისისთვის. 2019 წლის 10 ივლისს სატელეფონო შეტყობინებით აპელანტს ეცნობა, რომ სასამართლოს შემადგენლობაში მონაწილეობდა მოსამართლე – თ. ს-ი-ნ-ი და ვინაიდან იგი არ იყო გაცნობილი საქმის მასალებს, საქმე განიხილებოდა 2019 წლის 18 ივლისს. მოულოდნელად, 2019 წლის 16 ივლისს (ანუ საქმის განხილვამდე 48 საათით ადრე), ასევე სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა აპელანტს, რომ მოსამართლე თ. ს-ი-ნ-მა აიცილა საქმე და მის ნაცვლად საქმის განმხილველ შემადგენლობაში მონაწილეობდა მოსამართლე ლ. მ-იძე.

56. კასატორი აღნიშნავს, რომ თუ მოსამართლეს ჰქონდა თვითაცილების საფუძველი, რატომ მოხდა აცილება 12 ივლისს და არა მისი დანიშვნისთანავე 10 ივლისს ანუ, თუ აცილების ობიექტური საფუძველი არსებობდა 12 ივლისს, ეს საფუძველი ასევე იარსებებდა 2 დღით ადრე ანუ 10 ივლისსაც, მაშინ როცა მან მონაწილეობა მიიღო პალატის შემადგენლობაში და მიიღო განჩინება სხდომის დანიშვნის შესახებ. ამასთან, მან ერთპიროვნულად მიიღო განჩინება თვითაცილების შესახებ. ასეთი პრაქტიკა დაუშვებელია, ვინაიდან საშუალებას აძლევს მოსამართლეს, თავისი პირადი მოსაზრებით ჩამოსცილდეს ნებისმიერ საქმეს. ეს კი საფუძველს ქმნის, რომ მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გადაწყვიტოს, თუ რომელ საქმეში მიიღებს მონაწილეობას და რომელში, არა.

57. რაც შეეხება თვითაცილების შესახებ განჩინების შინაარსს, იგი დაუსაბუთებელია, კერძოდ, პირველი საფუძველია მოსარჩელესთან მეგობრული ურთიერთობა. კასატორი აღნიშნავს, რომ 10 წელი მუშაობდა სასამართლო სისტემაში და ცხადია კოლეგების

დიდ ნაწილს პირადად იცნობდა, მაგრამ ეს არ წარმოადგენს აცილების საფუძველს. ასეთივე საფუძველით აპელანტს შეეძლო მოეთხოვა პალატის წევრი სხვა მოსამართლეების აცილებაც. მაგალითად, გ. თ-ს იცნობს 2006 წლიდან, ასევე დიდი ხანია იცნობს მ. ლ-ძეს, რომელთან ერთად 6 წელი მუშაობდა სააპელაციო სასამართლოში, მრავალი წელია იცნობს მოსამართლე ლ. მ-ძეს, ჯერ კიდევ, იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც იგი იყო სხდომის მდივანი და თანაშემწე თბილისის საქალაქო სასამართლოში.

58. თვითაცილების მეორე საფუძველად მოსამართლემ მიუთითა, რომ განსახილველ დავასთან დაკავშირებული ცნობები მისთვის ცნობილი იყო საკუთარი და სასამართლოს გარე წყაროებიდან. აღსანიშნავია, რომ ს. გ-ნის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები, ამ საქმის ყველა დეტალის უსაზღვროდ გახმაურების გათვალისწინებით, ცნობილია საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქისთვის, მით უფრო, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის. ამის დასტურია თუნდაც ის სიუჟეტები, რომლებიც საქმეშია წარმოდგენილი. ის, რომ ეს გარემოებები უამრავმა ადამიანმა იცის, საყოველთაოდ ცნობილი გარემოებაა. ამდენად, ეს არგუმენტი არ უნდა ჩაითვალოს თვითაცილების კანონიერ საფუძველად.

59. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე ზ. მ-ი მოსამართლედ დანიშნულ იქნა 3 წლის ვადით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე ექვემდებარება მისი საქმიანობის ყოველწლიურ შემოწმებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან (ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 36.44). ასეთ პირობებში, კასატორს მიაჩნია, რომ 3 წლიანი ვადა, ისე მოსამართლის ყოველწლიური შემოწმება, არ წარმოადგენს იმ გარანტიებს, რასაც მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და პრეცედენტული სამართალი. შესაბამისად, 2017 წლის 20 ოქტომბერს (როდესაც მსგავსი წესით გამწესებულ 4 მოსამართლეს უარი ეთქვა უვადოდ დანიშვნაზე) მოსამართლე ზ. მ-ი იმყოფებოდა სათათბიროდ და მსჯელობდა ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2017 წლის 25 ოქტომბერს. ცხადია, რომ მოსამართლეთა დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ ზ. მ-ისთვის ცნობილი იქნებოდა გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში და მას შეეძლო თვალი მიედევნებინა მის მსგავსად დანიშნული მოსამართლეების შემდგომი გადანიშვნის საკითხების გადაწყვეტისათვის.

60. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის სხდომაზე არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმეზე დართულიყო: ა) ტელეკომპანია „ი-ს“ 2019 წლის 9 აპრილის ინტერვიუ პარტია „ო-ს“ თავმჯდომარესთან, რომელიც გადაცემის დიდ ნაწილს უთმობს ს. გ-ნის საქმეზე საუბარს. ამ სიუჟეტითა და წერილობითი მტკიცებულებებით კასატორი ცდილობდა იმის დადასტურებას, რომ ზემოხსენებულ საქმესთან ნეგატიურად დაკავშირება, მით უფრო, ცილისწამების შედეგად, იწვევს ყველა ადამიანის მიმართ უარყოფით შედეგებს, სახელის გატეხვას, სტიგმატიზებას, მისთვის ამა თუ იმ იარაღის მიკვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

61. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 07 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 20 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის (არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოსხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე) საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის განხილვა მოხდებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. მხარეებს ეცნობათ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის, საქმის განხილვის ფორმისა და საქმის განხილვის თარიღის შესახებ. რაიმე შუამდგომლობა მხარეებისაგან ამ საკითხებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

62. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეე-

ხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v. Armenia, საჩივარი no26986/0-), რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, მოდავე მხარეებთან მიმართებით უზრუნველყოფილი იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით.

63. საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის შეფასების საგანია მოპასუხის ნათქვამი: „... რომ მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას, რითაც უხეშად შეილახა მოსარჩელის, როგორც მოსამართლის, ისე ადამიანის უფლებები და რამაც მოსარჩელეს გაუტეხა სახელი, შელახა მისი პატივი და ღირსება (იხ., სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები – ამ განჩინების პ-3; საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

64. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შე-

დეგის დადგომას.

65. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივ კანონიერებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია) სავალდებულო ძალა გააჩნიათ:

66. 2011 წლის 26 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250.../...). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ სასამართლომ კენჭისყრის საფუძველზე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის (1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, შემდგომში, კონვენცია) მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით კი, ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

67. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ზემოხსენებული საქმის განხილვაში, როგორც „ად ჰოკ“ (Ad Hoc) მოსამართლე, მონაწილეობას იღებდა მოსარჩელე, რომელიც ერთადერთი მოსამართლე იყო, რომელიც არ დაეთანხმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებას კონვენციის მე-2 მუხლისა (პროცედურული დარღვევა განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით) და 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და გამოთქვა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, ხოლო ზემოხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტზე კენჭისყრისას მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინ-

ნოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

68. ზემოხსენებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვა მოსამართლეებმა: კ. ბ-ომ, დ. ი-ემ და დ. პ-მა დაწერეს ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომლითაც განაცხადეს, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეული იყო ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარეც (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების ასლი საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ი. ა-ის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, კ. ბ-ს, დ. ი-ს და დ. პ-ს ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი).

69. ი. ა-ის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით ვკითხულობთ შემდეგს: „რაც შეეხება 38-ე მუხლს, იძულებული ვარ, არ დავეთანხმო უმრავლესობის მხრიდან სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გადახვევას. არსებობს მთელი რიგი საქმეებისა, რომლებშიც სასამართლომ 38-ე მუხლი დარღვეულად ცნო იმის გამო, რომ მოთხოვნილი მასალები მისთვის საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი (Imakayeva v. Russia, no. 7615/02, § 201, Lyanova and Aliyeva v. Russia, nos. 12713/02 and 28440/03, § 145, Nevmerzheritsky v. Ukraine, no. 54825/00 § 77). საქმეში Alikhadzhivaya v. Russia (no. 68007/01), მოპასუხე სახელმწიფომ საქმის მასალები მხოლოდ მას შემდეგ წარადგინა, როდესაც განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი (§99). უფრო მეტიც, სახელმწიფომ პირდაპირ უარიც კი განაცხადა კომუნიკაციის სტადიაზე საქმის მასალების სასამართლოსთვის წარდგენაზე (§102). მიუხედავად ამისა, 104-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა: „რაც შეეხება 38-ე მუხლს, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ იგი გამოიყენება ისეთ საქმეებში, რომლებიც დასაშვებად იქნა ცნობილი. მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფომ სასამართლოს მოთხოვნა დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შეასრულა, სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენამ ხელი შეუშალა ფაქტების დადგენას ან რაიმე სხვა მხრივ მიაყენა ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვას. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის დროის მხრივ კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია“. სასამართლოს ზემოთ ციტირებული განმარტებიდან შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ საქმის მასალების დაგვიანებით მიწოდება 38-ე მუხლის დარღვევად რომ იქნეს მიჩნეული: (i) დაგვიანება პროცესის იმ ეტაპზე უნდა მოხდეს, როდესაც საქმის არსებითი მხარე განიხილება;

(ii) დაგვიანებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ ფაქტების დადგენას უნდა შეუშალოს ხელი; (iii) დაგვიანებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ რაიმე სხვა მხრივ უნდა მიაყენოს ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვას. მოცემულ შემთხვევაში არცერთ ზემოხსენებულ პირობას არ ჰქონია ადგილი. საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის განხილვა ერთდროულად მოხდა (§4) და განხილვის პროცესში ყველა მოთხოვნილი მასალა სასამართლოს ხელთ იყო. ამასთანავე, დაგვიანებას არ ჰქონია ისეთი ხასიათი, რომ ფაქტების დადგენისთვის შეეშალა ხელი ან რაიმე სხვა მხრივ მიეყენებინა ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვისათვის. ამ საქმეზე გამოტანილი განჩინება პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ, მიღებული მასალების საფუძველზე, სასამართლომ გამოიკვლია სათანადო ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ ვერ შეძლო თავისი ფუნქციების შესრულება იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები. მაშასადამე, ამ საქმეში არცერთ ისეთ პირობას არ ჰქონია ადგილი, რომელსაც შეეძლო გამოენვია კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა. ეს პრეცედენტი, კონვენციის 38-ე მუხლის გამოყენების მხრივ, ძალიან სახიფათო მიდგომას უყრის საფუძველს – მას შეუძლია სახელმწიფოებს დაუკარგოს მათ ხელთ არსებული მასალების სასამართლოსთვის წარდგენის სურვილი, რადგან ეცოდინებათ, რომ მაშინაც კი თუ ისინი წარადგენენ ამ მასალებს გარკვეული დაგვიანებით, სასამართლოს შეუძლია კონვენციის 38-ე მუხლი მაინც დარღვეულად ცნოს. ასეთი მიდგომა შესაძლოა არ ემსახურებოდეს სასამართლოს ინტერესებს მისი საბოლოო მიზნების მიღწევის საქმეში“.

70. 2015 წლის 24 სექტემბერს, მოპასუხის, როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრის, მიერ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გაკეთდა შემდეგი განცხადება: „მინდა მივსალმო სულ რამდენიმე დღის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც მაგალითად გადაწყვიტა, რომ და რაკი უკვე ყოფილი მოსამართლეა მე ამაზე ვისაუბრებ, ბატონი ი. ა-ისათვის აღარ განეხილებინა სასამართლო უფლებამოსილება. დიახ, ეს არის მოსამართლე, რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წარმოვლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. დიახ, ასეთი მოსამართლეები უნდა წავიდნენ, მაგრამ ეს ვერ იქნება მოსამართლეებზე ძა-

ლადობის პოლიტიკა, მათ უბრალოდ უნდა მიეცეთ საშუალება, რთულია მაგრამ დაასრულონ ვადა, მაგრამ ნურავინ იოცნებებს იმაზე, რომ სამუდამოდ გადაინიშნებიან. შესავლის ბოლოს, მინდა ისიც შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ სასამართლოს წინა თავმჯდომარე, ამ მოსამართლეებს, მათ შორის, გირგვლიანის მოსამართლეებს ჰპირდებოდა, რომ ისინი როდესაც 10 წელს ამონურავდნენ გადაინიშნებოდნენ სამუდამოდ. ეს ვერ მოხდება და ამის პირობას მე გაძლევთ ჩემს ასე ვთქვათ თანამებრძოლებთან ერთად. დაასრულონ ამ მოსამართლეებმა თავიანთი ვადა, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან მუდმივად ჩვენი შვილების ბედის გადამწყვეტები იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ რბილად რომ ვთქვათ“ (შემდეგში – სადავო გამონათქვამი).

71. სადავო გამონათქვამი გავრცელდა ტელევიზიებით და სხვადასხვა ინტერნეტგამოცემებში, როგორიცაა I.ge, p.ge.

72. მოპასუხის მიერ, 2011 წლის 30 აპრილს ტელევიზიით გაკეთდა შემდეგი განცხადება: „გადანყვეტილებით დასტურდება, რომ საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და ამას, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ი. ა-იც ადასტურებს თავის განსხვავებულ აზრში. მან, მართალია, 6-ის წინააღმდეგ მისცა ერთი ხმა და უმცირესობაში აღმოჩნდა და თქვა, რომ გადასარევედ არის ალბათ ჩატარებული გამოძიებაო, მაგრამ მან თქვა ერთი საინტერესო რამ, რომ რას ერჩით ამ სასამართლოებსო, რომ აკრიტიკებთო, ანუ დაცვა თავისი კოლეგები. ჩვენ სასამართლოებს არაფერი შეუძლიათო, ეს მოტანილი მაქვს სიტყვასიტყვით, წერია, პროკურატურის თანხმობის გარეშე არაფერი არ შეეძლო სასამართლოს, რომ მას საქმე გადაეგზავნა გამოძიებისთვის ან თვითონ გამოესწორებინა, თუ პროკურატურა არ დათანხმდებოდა. მხოლოდ სამადლობელო შეიძლება იყოს მის მიმართ, რომ მოქმედი მოსამართლე საერთაშორისო დონეზე აცხადებს, რომ დღეს საქართველოში მოსამართლე არის უძღური. ეს ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის განცხადებაა“ („USB“ ფლეშ დისკზე არსებული „ჩვენ“ სიუჟეტის ჩანაწერი 00:48:08 – 00:49:08).

73. საინფორმაციო სააგენტო „ი-ს“ ვებ-გვერდზე განთავსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 იანვრის განცხადებაში მ. ს-ის მიმართ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ: „სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურებულად მიიჩნია მ. ს-ის მხრიდან ა. გ-ნის საქმესთან შემხებლობაში მყოფი მაღალი თანამდებობის პირებისთვის, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით გ. ა-ს, ა. ა-ს, მ. ბ-

ს და ა. დ-ს შეწყალების დაპირება, რაც მოგვიანებით შეასრულა. შესაბამისად პასუხისმგებლობისგან აცილებულ იქნენ მაღალი თანამდებობის პირები, რამაც დაზარალებულის ოჯახის წევრთა უფლებებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევა გამოიწვია“.

74. დადგენილია, რომ სადავო გამონათქვამის უარყოფითი კონტექსტის წარმოჩენის მიზნით, 2019 წლის 18 ივლისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე აპელატმა აგრეთვე წარმოადგინა ტელეკომპანია „ი-ს“ 20... წლის ... იანვრის გადაცემა „პ.-ის“ ჩანაწერი.

75. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამონმებს. საკასაციო საჩივრის შესწავლით კი, ირკვევა, რომ კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს სადავო გამონათქვამის შეფასების თაობაზე და მიიჩნევს, რომ განხორციელებული იყო სიტყვისა და მისი გამოხატვის შეზღუდვის სპეციალური კანონით გათვალისწინებული წინაპირობები (იხ., ამ განჩინების პპ: 35-52). გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმათა მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლოს კანონიერი შემადგენლობის მიერ საქმის განხილვისა და საშეჯიბრო საწყისზე მტკიცებულებათა დართვის პროცესუალური უფლებები (იხ., ამ განჩინების პპ: 53-60).

76. კასატორის პრეტენზიების (კასაციის მიზეზების) დასაბუთებულობის შემონმების მიზნით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე: გამოხატვის თავისუფლება; სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნება; საზოგადოებრივი ინტერესი სადავო საკითხთან მიმართებაში და საზოგადოებრივ დებატში წვლილის შეტანა; სადავო განცხადების შინაარსი.

77. განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, საკასაციო პალატას აძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და მოი-

ცავს დათქმას სპეციალურ კანონზე, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან, კერძოდ, „სტიციისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხის გადასაწყვეტად, პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად და დასადგენად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი დანაწესიდან გამომდინარე, გამოყენებული უნდა იქნეს „სტიციისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომელიც წარმოადგენს პატივისა და ღირსების სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმატიულ აქტს და საბოლოოდ ქმნის საკითხის სამართლებრივად გადანწყვეტის წინაპირობას.

78. მოხმობილი ნორმების სადავო ფაქტებთან სუბსუმირების მიზნით, საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 17 I მუხლით, თავად სპეციალური კანონის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებაზე, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე – ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები (დამატებით იხ. სპეციალური კანონის მე-2 მუხლი: ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად).

79. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად:

80. (i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს და ერთ-ერთ ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, იგი ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომლებიც დადებითი, არაშეურაცხყოფელი ან უმნიშვნელოა, არამედ შეურაცხყოფელ, შოკისმომგვრელ ან შემანუხებელ ინ-

ფორმაციას, ან იდეებს. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ლიბერალური აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. მე-10 მუხლის შესაბამისად, თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც უნდა განიმარტოს მკაცრად, თუმცა რაიმე სახის შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს....

81. (ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილების გარკვეული ფარგლები ამგვარი საჭიროების არსებობის შესაფასებლად, თუმცა ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუნდაც ისინი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ იყოს გამოტანილი.

82. (iii) სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის კონტექსტის ჩრჩილში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი“ და რამდენად „სათანადო და საკმარისია“ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ჩარევის დასაბუთებისათვის მოყვანილი მიზეზები. სასამართლომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შესაბამებოდა მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას...“ *Handyside v. the United Kingdom* (7 December 1976, Series A no. 24), *Stoll v. Switzerland* ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007-V); *Animal Defenders International v. the United Kingdom* [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; *Morice v. France* [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015).

83. საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას, რომ (შეადრ: სუსგ №ას-591-591-2018, 16 აპრილი, 2019 წელი, პ.1.4.6), იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლო ხელისუფლებაზე/მოსამართლეზე აშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს განცხადების გამავრცელებლის მიზანს. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს

საზოგადოების ან პოლიტიკოსების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება. ქვეყანაში, რომელიც იმართება კანონის უზენაესობის პრინციპით, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით, იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს საკუთარი მოვალეობების შესრულება. მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას დასაშვებ ფარგლებში. ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (იხ. ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლორენი და ჟული საფრანგეთის წინააღმდეგ – 21279/02 გადაწყვეტილება 22.10.2007 [დიდი პალატა] (Lindon, Otchakovsky Laurens and July, 21279/02, 22.10.2007 [GC]) Liberation, §74). ზოგჯერ კი, შესაძლოა, აუცილებელი იყოს აღნიშნული ნდობის დაცვა მეტად საზიანო თავდასხმებისაგან, რომლებიც არსებითად უსაფუძვლოა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ადრესატ მოსამართლეებს აკისრიათ წინდახედულების ვალდებულება, მათ ეკრძალებათ კრიტიკაზე საპასუხო რეაგირება (იხ. „პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, 26 აპრილი, 1995 წელი, §34, სერია A, N 313; (Prager and Oberschlick v. Austria, 26 April 1995, § 34, Series A no. 313); დი „ჯოვანი იტალიის წინააღმდეგ“, №51160/06, §71, 9 ივლისი, 2013 წელი (DI GIOVANNI v. ITALIA N 51160/06, §71, 9.07.2013); მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ, §124, 23.04.2015 (Morice v. France [GC], no. 29369/10, §124, 23 April 2015).

84. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ გავრცელებული ინფორმაციის ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად პირს, რომლის მიმართაც გავრცელდა ინფორმაცია, სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გააჩნია უფლება, საპასუხო ცნობები გამოაქვეყნოს იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელშიც გავრცელდა განცხადება.

85. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხის მიერ,

რომელიც წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმის „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250../0...) განხილვაში, მოსარჩელის, როგორც „ად ჰოკ“ (Ad Hoc) მოსამართლის, ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს. 2015 წლის 24 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, თ. ნ-ნი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გამოდიოდა სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავტორობით მომზადებული და საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვისას, რა დროსაც მან გააკეთა აპელანტის მიერ სადავოდ გამხდარი განცხადება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მინისტრის განცხადება ემსახურებოდა გასატარებელი სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში წარსულში განხორციელებული სასამართლო რეფორმისას დაშვებული შეცდომების მოკლე მიმოხილვას, რომლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად მოყვანილი იქნა ს. გ-ის საქმე, რომელზედაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250../0...) გააკეთა, მათ შორის, საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კრიტიკული შეფასებები და რომელზედაც კასატორმა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი გამოთქვა.

86. კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხის განცხადების სადავო ნაწილი შედგება არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და მისთვის ზიანის მიყენებელი, მისი რეპუტაციის შემლახველი გამონათქვამებისაგან. იგი წარმოადგენს ცილისწამებას.

87. აღნიშნულთან დაკავშირებით პირველ რიგში, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ ძირითადი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მრავალ საქმეში. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდებების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არამეურაცხემოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამოაგნებელი ან შემამოფოთებელია. ამიტომ გამოხატვის თავისუფ-

ლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს (Arztekkammer Fur Wien And Dornier v. Austria, no. 8895/10, § 62, 16 February 2016). ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება. აღნიშნული კრიტერიუმებია: (ა) ის ნვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; (ბ) იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, როლი და ფუნქცია, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებაში აისახა; (გ) განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; (დ) განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა; (ე) რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში დაცული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის – აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს ჟურნალისტებთან მიმართებაში ნათქვამი აქვს, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო ფაქტობრივ საფუძველზე და, ჟურნალისტური ეთიკის წესების შესაბამისად, საზოგადოებას აწვდიდნენ სარწმუნო და ზუსტ ინფორმაციას (Axel Springer AG v. Germany [GC], no. 39954/08, § 93, ECHR 2012).

88. განსაკუთრებით პრობლემურია პირის რეპუტაციის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ განცხადება, რომელიც პირის რეპუტაციას ეხება, პოლიტიკურია ან გაკეთებულია საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში (Sürek v. Turkey (no. 1) [GC], no. 26682/95, § 61, ECHR 1999-IV; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [GC], nos. 21279/02 and 36448/02, § 46, ECHR 2007-IV; and Axel Springer AG v. Germany [GC], no. 39954/08, § 90, ECHR 2012). საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას გაკეთებულ განცხადებაში გა-

მოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი (E.K. v. Turkey, no. 28496/95, §§ 79-80, 7 February 2002) და გამოთქმების სერიოზულობაც კი (Thoma v. Luxembourg, no. 38432/97, § 57, ECHR 2001-III) არ ართმევს განმცხადებელს უფლებას დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (Paturel v. France, no. 54968/00, § 42, 22 December 2005).

89. სტრასბურგის სასამართლომ თავის გადანყვეტილებებში საქმეებზე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlick v. Austria (no.1), 23 May 1991, §63 Series A no. 204) ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნას, მაშინ როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს. ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს. ეს შეენიწინააღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (De Haes and Gijssels v. Belgium, 24 February 1997, §42, Reports-I). თუმცა, მაშინაც კი, როცა განცხადება შეფასებით მსჯელობად არის მიჩნეული, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობა შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, არსებობს თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“. თუ საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, მაშინ შეფასება შეიძლება გასცდეს პრივილეგიით დაცულ ზღვარს და მიჩნეულ იქნას, როგორც „გადაჭარბებული“ (De Haes and Gijssels, § 47; Oberschlick v. Austria (no. 2), 1 July 1997, § 33, Reports 1997-IV; Brasilier v. France, no. 71343/01, § 36, 11 April 2006; and Lindon, Otchakovsky-Laurens and July, § 55).

90. იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (Brasilier v. France, no. 71343/01, 11 April 2006, § 37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (Paturel v. France, no. 54968/00, 22 December 2005, § 37).

91. პასუხისმგებლობის მსუბუქ ფორმასაც კი შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს, განსაკუთრებით ადვოკატებთან მიმართებაში, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ მათი კლიენტების ეფექტიანი დაცვა (Mor v. France, no. 28198/09, § 61, 15 December 2011). ადვოკატის მიმართ პასუხისმგებლობის მსუბუქი სახის გამოყენებასაც კი შესაძლებელია მოჰყვეს მისთვის პირდაპირი (დისციპლინური დევნის აძღვრა)

ან არაპირდაპირი (საზოგადოებრივი იმიჯის შელახვა ან კლიენტების ნდობის დაკარგვა) უარყოფითი შედეგი (Morice v. France [GC], no. 29369/10, § 176, 23 April 2015).

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს ცილისწამების არსებობა, პირველ რიგში, აუცილებელია შეფასდეს სადავო განცხადებაში დაცული გამონათქვამები აზრის, შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადება.

93. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავდროულად კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

94. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად ქარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ. ამიტომ ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებუ-

ლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

95. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მათი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

96. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო განცხადება შედგება როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტებისაგან. შეფასებები ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, შეფასებების საფუძველია.

97. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №25091/07) საქმესთან მიმართებით, რომელშიც მოსარჩელემ, როგორც „ად ჰოკ“ (Ad Hoc) მოსამართლემ გამოთქვა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, არაერთი ინფორმაცია გავრცელდა მედიასაშუალებებით და საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, არაერთი საჯარო დებატი მიეძღვნა მას (რაც სსსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია). აღნიშნული გარემოება, სასამართლო რეფორმის საკითხთან ერთად, მიაწინებს ფართო საზოგადოებრივი ინტერესის არსებობასა და საჯარო დებატებზე, რომლითაც დაინტერესებულია საზოგადოება (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი: საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან), შესაბამისად, მოპასუხის, როგორც მინისტრის მიერ გავრცელებული თუნ-

დაც მწვავე, კრიტიკული განცხადება უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივ დებატში წვლილის შეტანად და სწორედ ამის შემდეგაა მნიშვნელოვანი იმის შეფასება, თავად განცხადება წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი: ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება). ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელე ის მოსამართლე იყო, რომელიც არ დაეთანხმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებას კონვენციის მე-2 მუხლისა (პროცედურული დარღვევა განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით) და 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და გამოთქვა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, ხოლო ზემოხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტზე კენჭისყრისას მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

98. საკასაციო პალატა დავის საგნიდან, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და საკასაციო საჩივრის საფუძვლებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მიმოიხილოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250...1/...) გამოტანილ გადაწყვეტილებაზე აპელანტის მიერ გამოთქმული ნაწილობრივ განსხვავებული აზრის შინაარსი მხოლოდ იმ მიზნით და კონტექსტში, შესაძლებელი იყო თუ არა მისი ინტერპრეტირება იმ აზრით, რაც გატარებულია მოპასუხის სადავო განცხადებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ განჩინებაში მოყვანილი მსჯელობები თავისთავად არ წარმოადგენს და არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეროვნული სასამართლოს მხრიდან კასატორის – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი „ად ჰოკ“ (Ad Hoc) მოსამართლის – მიერ ზემოაღნიშნულ საქმეზე გამოთქმული ნაწილობრივ განსხვავებული აზრის კრიტიკა ან/და შეფასება.

99. წინამდებარე საქმეზე სადავოდ გამხდარი გამონათქვამი უკავშირდება 20... წელს ... წლის ს. გ-ის გარდაცვალების ფაქტს – რომელთან დაკავშირებითაც 2011 წლის 26 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250.../..). ზემოაღნიშნული გადაწყვეტილოების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ სასამართლომ კენ-

ჭისყრის საფუძველზე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის (1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“), მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი. ამასთან ერთად, ზემოხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოცემული საქმის განხილვაში, როგორც „ად ჰოკ“ (Ad Hoc) მოსამართლე, მონაწილეობას იღებდა კასატორი ი. ა-ი, რომელიც ერთადერთი მოსამართლე იყო, რომელიც არ დაეთანხმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებას კონვენციის მე-2 მუხლისა (პროცედურული დარღვევა განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით) და 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და გამოთქვა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, ხოლო ზემოხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტზე კენჭისყრისას მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც განმცხადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეებმა: კ. ბ-ომ, დ. ი-ემ და დ. პ-მა დაწერეს ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომლითაც განაცხადეს, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეული იყო ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარეც (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების ასლი საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ი. ა-ის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, კ. ბ-ს, დ. ი-ს და დ. პ-ს ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი).

100. 2015 წლის 24 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თ. წ-მა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, როდესაც იხილებოდა სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავტორობით მომზადებული და საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი საკანონმდებ-

ლო ცვლილებების პაკეტი, გააკეთა კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი განცხადება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი გამონათქვამის კონტექსტის სრულფასოვნად აღსაქმელად და შესაფასებლად ციტირებული უნდა იქნეს იუსტიციის მინისტრის გამოსვლიდან ამ საქმის გადანყვეტისთვის არსებითად მნიშვნელოვანი და სადავოდ გამხდარ გამონათქვამთან შინაარსობრივ ბმაში მყოფი მონაკვეთი სრულად: „თავიდან, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, აზრები გაიყო: ერთი ნაწილი მხარს უჭერდა იმას, რომ, ეგრეთ წოდებული, გ-ის მოსამართლეები – მ. მოსამართლეები, კ-ის მოსამართლეები, სამაგალითოდ დაგვესაჯა, გაგვეშვა შინ ან ჩაგვესვა ციხეში; მეორე ნაწილი მხარს უჭერდა უფრო მომავალზე ორიენტირებულ პოლიტიკას იმისთვის, რომ ჩვენ არ გაგვემეორებინა ის, რაც გააკეთა თავის დროზე იუსტიციის მინისტრმა ს-მა, როდესაც ეგონა, რომ სასამართლოს რეფორმას ატარებს და რეფორმა დაარქვა ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს პოლიტიკა შემდეგ გაგრძელდა და ამ ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში მოყვა არაერთი მოსამართლე, რომელიც არ უნდა მოყოლილიყო ამ ბრძოლაში და ამის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი, ამ უსამართლო და ცუდი ბრძოლის, გახლავთ ამჟამინდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც, გვახსოვს, ეს ვითომ რეფორმატორები როგორ მოექცნენ. მე მინდა, მივესალმო სულ რამდენიმე დღის წინ მიღებულ გადანყვეტილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც, მაგალითად, გადანყვიტა, რომ, და რაკი უკვე ყოფილი მოსამართლეა, მე ამაზე ვისაუბრებ, ბატონი ი. ა-ისთვის აღარ განეახლებინა სასამართლო უფლებამოსილება. დიახ, ეს არის მოსამართლე, რომელიც, და მე ეს თუ სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წარმოვლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. დიახ, ასეთი მოსამართლეები უნდა ნავიდნენ, მაგრამ ეს ვერ იქნება მოსამართლეებზე ძალადობის პოლიტიკა, მათ უბრალოდ უნდა მივცეთ საშუალება, რთულია, მაგრამ დაასრულონ ვადა, მაგრამ ნურავინ იოცნებებს იმაზე, რომ სამუდამოდ გადაინიშნებიან. შესავლის ბოლოს, მინდა ისიც შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ უზენაესი სასამართლოს წინა თავმჯდომარე ამ მოსამართლეებს, მათ შორის, გ-ის მოსამართლეებს პირდებოდა, რომ ისინი, როდესაც 10 წელს ამოწურავდნენ, გადაინიშნებოდნენ სამუდამოდ. ეს ვერ მოხდება და ამის პირობას მე გაძლევთ ჩემს, ასე ვთქვათ, სხვა თანამებრძოლებთან ერთად. დაასრულონ ამ მოსამართლეებმა თავიანთი ვადა, მაგრამ ისინი ვერ გახდებიან მუდმივად ჩვენი შვილების ბედის გა-

დამწყვეტები, იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ ამის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, რბილად რომ ვთქვა“ („USB“ ფლემ დისკზე არსებული ტელეკომპანიების „რ.“, „ბ. ...“, „ს. მ.“ სიუჟეტების ჩანაწერები). საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ ზემოაღნიშნული განცხადების გაკეთებისას, აპელანტი ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლე. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წერილის თანახმად, ზემოაღნიშნული კანონპროექტები, 2015 წლის 24 სექტემბრის საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგინა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თ. წ-მა.

101. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 21 სექტემბრის №1/149 გადაწყვეტილებით ი. ა-ი გათავისუფლებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან: „1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ი. ა-სათვის დაწყებული საქმეების განხილვის დამთავრებამდე მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 15 ივნისის №1/60 გადაწყვეტილება. 2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ი. ა-ი გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო“.

102. 2011 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ კონვენციის მე-2 და 38-ე მუხლების დარღვევაზე მსჯელობისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტიკული ხასიათის შეფასება გააკეთა (გადაწყვეტილების 218-ე-291-ე პუნქტები შეეხება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას შეეხება 292-ე-302-ე პუნქტები), კერძოდ: „256. სასამართლო ასევე გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია ს. გ-ის სხეულის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ჭრილობების, განსაკუთრებით ყელის არეში მიყენებული ჭრილობების გარემოებები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ჭრილობათა უმრავლესობა, მათ შორის ხახის არეში მიყენებული ფატალური ჭრილობა მიყენებული იყო მჭრელი, ნვეტიანი და ტარიანი საგნით, შესაძლოა დანით, პროკუ-

რატურამ თავი არ შეინუხა, რათა გამოეძიებინა და აეხსნა, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში, თუ როგორ, რომელი მჭრელი იარაღით და ოთხი ბრალდებულისგან რომლის მიერ იქნა მიყენებული ეს ჭრილობები (იხ. *Vachkovi v. Bulgaria*, no. 2747/02, §91, 8 July 2010). სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის დადგენის შემთხვევაში, გარკვეული შედეგები დადგებოდა, მათ შორის, დანაშაულის ჯეროვანი კვალიფიკაციის მხრივაც (იხ. 271 და 272 ქვემოთ). ამის სანაცვლოდ, სერიოზული ნიშნების მიუხედავად, რომლებიც მისგან სიფრთხილეს მოითხოვდა, პროკურატურამ უბრალოდ გაიზიარა ბრალდებულთა განცხადებები, რომ მათ არ გამოუყენებიათ რაიმე მჭრელი იარაღი და, რომ ს. გ-ს ეს ჭრილობები მავთულის ღობეზე გადასვლისას ან მაყვლის ბუჩქებში გავლისას უნდა მიეღო. ასეთი არადამაჯერებელი განცხადებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კვალიფიციური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნებს ჭრილობების წარმოშობის შესახებ (იხ. *Velikova v. Bulgaria*, no. 41488/98, §73, ECHR 2000-VI). „259. სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე მთავარი ნაკლი იყო შიდა სასამართლოების სისტემატური უარი, მიეცათ განმცხადებლებისთვის საკმარისი დრო და საშუალებები საქმის მასალების შესასწავლად, რითაც განმცხადებლებს წაერთვათ უფლება, ჯეროვნად მოემზადებინათ თავიანთი პოზიცია სასამართლოში გამოსასვლელად და მიეღოთ ეფექტიანი მონაწილეობა სასამართლო პროცესში. მართლაც, გამოგნებელია ის ფაქტი, რომ ასეთი რთული სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა (იხ. §§146 და 171 ზემოთ). ასეთი პერიოდის განმავლობაში დაზარალებულები ან თუნდაც მოსამართლეები ვერაფრით შეძლებდნენ ესოდენ დიდი მოცულობის საქმის შესწავლას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ 14 მტკიცებულებას, რომლებიც საქმის ხერხემალს წარმოადგენდა. ეს მტკიცებულებები, ორიგინალის სახით, სასამართლო სხდომაზე არასდროს გამოქვეყნებულა და არც შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით გამოკვლეულა. ის თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლებისთვის, რომ ჰქონოდათ აღნიშნული ვიდეოჩანაწერების და არა მხოლოდ მათი წერილობითი აღწერილობების გაცნობის საშუალება, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება იმ ფონზე, რომ, როგორც სასამართლომ ზემოთ უკვე აღნიშნა (იხ. §§ 252 და 253 ზემოთ), პროკურატურას გააჩნდა მიდრეკილება, დაემახინჯებინა ფაქტები შესაბამის ოქმებში“. „267. ზემოაღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მომ-

ჩივნებს თვითნებურად წაერთვათ უფლება, ეფექტიანი მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში, ხოლო, თვითონ პროცესში დაადასტურა ის ფაქტი, რომ შიდა სახელმწიფო ორგანოებს აშკარად არ ჰქონდათ სურვილი დაედგინათ, ობიექტურად და დამაჯერებლად, სრული ქვემარტება 2006 წ. 28 იანვარს ს. გ-ის გატაცებისა და სიკვდილის გარემოებების შესახებ“. „271. მაგალითად, სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების თანახმად, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ს. გ-ი წელს ზემოთ გააშიშვლეს და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში მას მჭრელი, ნეკროტიანი და ტარიანი იარაღით, შესაძლოა დანით, მრავალრიცხოვანი ჭრილობები მიაცენეს. პროკურატურისა და სასამართლოების მიერ დადგენილ იქნა, რომ ეს ქმედებები ოქროყანის სასაფლაოზე შს სამინისტროს ოთხმა მოსამსახურემ ჩაიდინა. ერთადერთი შესაძლო ლოგიკური დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ამ ორი დადგენილი ფაქტიდან გამომდინარე, ის არის, რომ ბოროტმოქმედმა, ოქროყანის სასაფლაოზე, ჯერ გააშიშვლეს ს. გ-ი, რომელიც, თავისთავად, ადამიანის მიმართ განზრახ, დამამცირებელი მოპყრობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ხოლო შემდეგ, ჯგუფის, მინიმუმ, ერთმა წევრმა დაიწყო მისი სასტიკად წვალება დაუდგენელი მჭრელი იარაღის გამოყენებით“. „272. დააკვირდა რა ამ ჭრილობების ბუნებას უფრო ახლოდან – საუბარია მრავალრიცხოვანი ჭრილობებზე მსხვერპლის მთელ სხეულზე, რომელთა სიგრძე 4 სმ-სა და 15 სმ-ს შორის მერყეობს და, რომლებიც ასევე მოიცავს ღრმა ჭრილობებს ყელის არეში, რომელთაგან ერთი, რომელმაც მსხვერპლის ხახა გახვრიტა, ფატალური აღმოჩნდა (მეტი დეტალებისთვის იხ. § 20-22 ზემოთ) – სასამართლოს სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დაასკვნას, რომ ს. გ-ი გახდა განსაკუთრებით სასტიკი, სიცოცხლისთვის საშიში არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. უფრო მეტიც, რადგან ბოროტმოქმედმა (ბოროტმოქმედებმა) მსხვერპლს, ესოდენ ფაქიზ ადგილას, როგორცაა ყელის არე, რაღაც მჭრელი იარაღით 12 ჭრილობა მიაყენა (მიაყენეს), ერთადერთი გონივრული ვარაუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ბოროტმოქმედს (ბოროტმოქმედებს) რეალურად განზრახული ჰქონდა (ჰქონდათ), მოეკლა (მოეკლათ) ს. გ-ი. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხაზს უსვამს ჩადენილი დანაშაულის სიცოცხლისათვის საშიშ ხასიათს, ის იყო, რომ, სულ მცირე, ერთმა ბოროტმოქმედმა მაინც ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ყველა ამ ფაქტზე დაყრდნობით, სასამართლო სამწუხაროდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის კვალიფიკაციის შერჩევასა და დამნაშავეთათვის სასჯელის სახით 7-8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარ-

დებისას, რომელი სასჯელის საკმარისობაც ნამდვილად საეჭვოა, შიდა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ისეთი აშკარად დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის მიმართ სრულიად შეგნებულად ჩადენილი დამამძიმებელი და განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა“. „276. აჯამებს რა ზემოთ მითითებულ დასკვნებს, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ს. გ-ის სიკვდილის გარემოებების გამოძიებას აშკარად აკლდა აუცილებელი დამოუკიდებლობა, მიუყერძობლობა, ობიექტურობა და გულმოდგინება. პირიქით, საქმის შესაბამისი გარემოებები შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დაასკვნას, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არაკეთილსინდისიერად წარმართეს საქმის გამოძიება. თუნდაც ცალკეული სახელმწიფო ორგანოების არაჯეროვანი ქმედებები, ცალკე აღებული, არ ყოფილიყო საკმარისი იმისათვის, რათა მთლიანად გამოძიება უარყოფითად შეფასებულიყო, მათი თანაარსებობა, კუმულაციური ეფექტი, ამ თვალსაზრისით საკმარისზე მეტიც კია. სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებები – შსს, გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით; პროკურატურა, გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული სხვა დარღვევებით; სასჯელალსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით; შიდა სასამართლოები, არასრულფასოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებით; საქართველოს პრეზიდენტი, მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ღმობიერების გამოვლენით, და ა.შ. – ყველა ერთად, ხმაშენყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლევლობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება“. „277. ამასთანავე, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, თავისი ზემოთ აღწერილი დასკვნების შესაბამისად (იხ. §274), რომ როდესაც ადამიანი კვდება საეჭვო გარემოებებში და, ამასთან, სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელში, გამოძიების წარმოებისას შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო, გამოავლენს რა სიცოცხლისათვის საშიში აქტების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, თავის წარმომადგენლებში დაუსჯელობის გრძნობის განვითარების რისკის წინაშე დადგება, რასაც შეუძლია გზა გაუსწანას სხვა თავზეხელაღებულ დანაშაულებს, ისეთებს, როგორსაც ჰქონდა ადგილი მოცემულ საქმეში“. „278. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას“.

103. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2011 წლის

26 აპრილის გადაწყვეტილებაში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგი: „301. ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს განმარტებები იმის თაობაზე თუ რატომ წარმოადგინა მან მოთხოვნილი მტკიცებულებების ნაწილი დაგვიანებით და რატომ არ წარმოადგინა მტკიცებულებების გარკვეული ნაწილი საერთოდ, არ არის დამარწმუნებელი. განსაკუთრებულ წუხილს იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ არ წარმოადგინა თბილისი-კოჯრის გზაზე მანქანების მოძრაობის ამსახველი ვიდეოკადრები მთლიანად, ღამის 2.00-დან 3.00 საათამდე პერიოდისათვის. სასამართლოს აზრით, ამ კონკრეტული მტკიცებულების სრული სახით წარმოდგენა მნიშვნელოვანი იყო კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების განხილვისათვის, რადგან მისი საშუალებით, შეიძლებოდა დამტკიცებულიყო ან, პირიქით, უარყოფილიყო განმცხადებელთა განცხადებები, რომ ო. მ-მა კაფე „შ.“ იმ მიზნით დატოვა, რომ შეერთებოდა თავის კოლეგებს შსს-დან და მონაწილეობა მიეღო მათი შვილის მიმართ სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობასა და მკვლელობაში. თავის წერილობით მოსაზრებებში, სახელმწიფომ ვერაფრით ახსნა ასეთი დარღვევის მიზეზი და დუმლი ამჯობინა მაშინაც კი, როდესაც განმცხადებლებმა ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ უსაყვედურეს მას სასამართლოს 2010 წ. 27 აპრილის ზეპირ საჯარო მოსმენაზე“. „302. მიუთითებს რა მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ითანამშრომლოს კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვისას და მხედველობაში ღებულობს რა იმ სირთულეებს, რომლებიც ესოდენ რთულ საქმეებში ფაქტების დადგენასთან არის დაკავშირებული, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში, საქართველოს მთავრობამ არ შეასრულა კონვენციის 38-ე მუხლიდან გამომდინარე მისი ვალდებულებები“. (კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით კასატორის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი იხილეთ წინამდებარე განჩინების პ.68.). საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინამდებარე განჩინების პ.72 კასატორის მიერ აღნიშნული 2011 წლის 30 აპრილს გამოთქმული მოპასუხის მოსაზრება კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილთან, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ს. გ-ის საქმეზე საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან მტკიცებულებების სასამართლოში წარუდგენლობას ეხება (იხ. USB ფლეშ დისკზე არსებული „ჩვენ“ სიუჟეტის ჩანაწერი, 00:24:22-00:25:22).

104. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, მეტიც, იგი დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. (იხ. გამოხატვის თავისუფლება v. პატივისა და ღირსების დაცვა, გზამკვლევი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2018, გვ.4). აზრი არსობრივად ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. იგი მოიცავს შეფასებით მსჯელობებს (გამონათქვამებს) და „ფაქტობრივ გარემოებებს“, როცა ისინი აზრის ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენენ. (იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი, 2013, გვ.253). „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები, რომელთა გადამონმებაც ობიექტურად შესაძლებელია. „აზრის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი მსჯელობა, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის მართებულობა თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. აზრი შეიცავს არა მარტო შეფასებით, არამედ აგრეთვე ფაქტობრივ ელემენტებსაც. ამიტომ გამონათქვამებში თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა ფაქტებს, ფაქტები კი აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მას (იხ. მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, ნ. კ-ნის რედაქტორობით, თბილისი, 2016, გვ. 95). „გამოხატვის თავისუფლების ამგვარ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ შეუძლებელია, რომ ვინმეს მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს“. (Lingens v Austria, App.no.9815/82, 08.07.1986, §45.)

105. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტა-

ტუსის მინიჭების სასარგებლოდ. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ამავე კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

106. შესაბამისად, მსგავსი ტიპის დავის განხილვისას, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის პირობებში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთია ამტკიცოს, რომ ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არსებითად მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მოსარჩელის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას (იხ. დამატებით: „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, ნ. კ-ნის რედაქტორობით, თბილისი, 2016, გვ. 102-105.). „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს“. (იხ. დამატებით: გამოხატვის თავისუფლება ვ. პატივისა და ღირსების დაცვა, გზამკვლევი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2018, გვ.7.).

107. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 7.5 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განცხადება და მასში მოცემული სადავო გამონათქვამები მთლიანობაში უნდა ჩაითვალოს უფრო აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად, ვიდრე ფაქტების შემცველ განცხადებად, რადგან ისინი უმთავრესად გამოხატავს მოპასუხის მიერ მოსარჩელის, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი „ად ჰოკ“ მოსამართლის მიერ საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ გამოთქმული ნაწილობრივ განსხვავებული აზრის შეფასებას. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა განცხადება აზრი, შეფასებითი მსჯელობაა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-

თლოს მიერ კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი სტანდარტის განმარტების შესაბამისად, უნდა შემოწმდეს არსებობდა თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“.

108. კასატორის ერთ-ერთი საკასაციო პრეტენზია შეეხება იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინებაში საერთოდ არ შეუფასებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგისტრატორის 2015 წლის 29 ოქტომბრის ელექტრონული წერილი. საგულისხმოა, რომ ამ წერილში ის კი არაა აღნიშნული, რომ მაინცდამაინც რაიმე ღონისძიება უნდა მიმდინარეობდეს მოსამართლის მიმართ, არამედ ის, რომ ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხორციელებული საქმიანობის გამო, მოსამართლე უნდა იყო დაცული და არ უნდა დაექვემდებაროს პოლიტიკოსების მხრიდან ცილისწამებას. უნდა არსებობდეს ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არასათანადო გამოყენება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს სასამართლოს დისკრედიტაცია. აგრეთვე უნდა არსებობდეს ზომები, რათა დაცული იქნეს მოსამართლეთა რეპუტაცია და უფლებები და შენარჩუნებულ იქნეს სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილებების მხედველობაში მიღებით. (იხ. ნინამდებარე განჩინების პ.46).

109. აღნიშნულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეს ერთვის 2015 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არჩეული რეგისტრატორის ელექტრონული წერილი, რომლის თანახმადაც, „რასაკვირველია, შეშფოთების საგანი იქნება ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნებისმიერი ყოფილი მოსამართლე ან ად ჰოც მოსამართლე გახდეს კრიტიკის ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული მოპყრობის ობიექტი სტრასბურგში მისი სამოსამართლო მოვალეობის შესრულების გამო. უფრო მეტიც, ევროპის საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გენერალური ხელშეკრულების მე-6 ოქმის მე-2 მუხლით, ად ჰოც მოსამართლეებს უფლება აქვთ დაცვის იგივე საშუალებებზე, რაც სასამართლოს არჩეულ მოსამართლეებს. ამ კონტექსტში ოქმის მე-3 მუხლი აკონკრეტებს, რომ იმუნიტეტი სამართლებრივი პროცესისგან იმ სიტყვებისთვის, რაც წარმოთქმულ იქნა ან დაწერილ იქნა და ყველა ქმედებისთვის, რაც განხორციელდა მათ მიერ, შენარჩუნებულ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პირები აღარ ახორციელებენ ასეთ მოვალეობას“.

110. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არჩეული

რეგისტრატორის ელექტრონულ წერილთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე: ა) ზემოხსენებული წერილიდან არ იკვეთება, ი. ა-ის მიმართ სტრასბურგში მისი სამოსამართლო მოვალეობის შესრულების გამო დისკრიმინაციული მოპყრობის რომელ ფაქტზეა საუბარი, რაში გამოიხატა აღნიშნული და რით არის აღნიშნული დადასტურებული – საქმის მასალებში აღნიშნულის თაობაზე მტკიცებულებები არ მოიპოვება; ბ) მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანია არა ი. ა-ის კრიტიკა სტრასბურგში მისი სამოსამართლო მოვალეობის შესრულების გამო, არამედ კონკრეტულ, კერძოდ, „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250.../...) საქმეზე მის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრთან დაკავშირებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის გამონათქვამი, რომლის სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებასაც ითხოვს სასამართლოსგან კასატორი; გ) საქმის მასალების მიხედვით, საქართველოში კასატორის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს რაიმე სამართლებრივი პროცესი სტრასბურგში მის მიერ სამოსამართლო მოვალეობის შესრულების გამო. ამდენად, განსახილველ დავასთან მიმართებით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ წერილს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი გააჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამოსამართლო მოვალეობების შესრულების გამო, ზოგადად მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.

111. კასატორი აღნიშნავს, რომ „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმესთან ნეგატიური ფორმით დაკავშირებული პირების მიმართ უარყოფით შედეგები დგება, მაგალითად, მოსამართლე გ. ჩ-ია უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ აღარ დანიშნეს მოსამართლის თანამდებობაზე 2018 წლის 11 იანვარს. კასატორის შემთხვევაში, ეს იწვევს მის სტიგმატიზებას და ხელი შეუშალა სამსახურებრივ წინსვლაში, პროფესიულ საქმიანობაში. სტიგმატიზება, მით უფრო, სახეზეა როდესაც ინფორმაციის გავრცელება ხდება იუსტიციის მინისტრის მხრიდან, ვინაიდან იგი არის რა საჯარო მოხელე, მის და მისი ნათქვამის მიმართ საზოგადოებას განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნია (იხ., ამ განჩინების პ. 41), ხოლო ამ განჩინების პ.38-ში კასატორი აღნიშნავს, რომ 2015 წლის 21 სექტემბერს გამართულ სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა იმ მოსამართლეებს, რომელთაც იმ პერიოდში გასდიოდათ უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა, აღარ გაგრძელებოდათ უფლებამოსილება. ეს გადაწყვეტილება შეეხო მოსამართლეთა საკმაოდ დიდ ჯგუფს. თუმცა, მინისტრმა მხოლოდ მოსარჩელეზე ისაუბრა. ამ განჩინების პ.43-ში კი,

კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სადავო განცხადების (მოპასუხის ამ გამოსვლის) რეტლანსლიაცია მოახდინა ტელეკომპანია „ი.“ 20... წელს, როდესაც მოამზადა სიუჟეტი ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ და მოსარჩელის შესახებ სიუჟეტს მოპასუხის ეს გამოთქმა მიუძღვნა. ამდენად, მოსარჩელის შესახებ საჯარო სივრცეში ნებისმიერი გამოჩენა უკავშირდება მოპასუხის მიერ წარმოთქმულ ამ ფრაზას, რაც ცხადია, საზოგადოებაში ავრცელებს სრულიად ცრუ ინფორმაციას.

112. კასატორის აღნიშნულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა შეფასდეს მოპასუხის სადავო განცხადება წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას და დადებით შემთხვევაში, შეილახა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მოსარჩელის უფლებები(იხ., კასატორის პოზიცია ამ განჩინების პ. 49-ში, სადაც იგი პრეტენზიას გამოთქვამს მასზედ, რომ არცერთი ინსტაციის სასამართლოს არ უმსჯელია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე): იმისათვის, რომ გამოყენებული იქნეს კონვენციის მე-8 მუხლი, პირის რეპუტაციაზე თავდასხმა უნდა ატარებდეს სიმძიმის გარკვეულ ხარისხს და განხორციელებული უნდა იყოს პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე წინასწარ შექმნილი განწყობით გავლენის მოხდენის მიზნით (იხ. „Delfi AS v. Estonia“ [GC], no. 64569/09, § 137, ECHR 2015 და „Medzlis Islamske Zajednice Brcko and Others v. Bosnia and Herzegovina“ [დიდი პალატა], №17224/11, §76, 27 ივნისი 2017). იმ საშუალების ზომა, რომლის ფარგლებშიც ჩაითვლება დაცულად კონვენციის მე-8 მუხლი, ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლებში ექცევა, პოზიტიურია სახელმწიფოს ეს ვალდებულება თუ ნეგატიური. ასევე კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფლება იმის შეფასებისას, თუ რამდენად და რა მოცულობით ჩაითვლება აუცილებლად ჩარევა ამ მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში (იხ. „Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland“ [დიდი პალატა], №931/13, §162, 27 ივნისი 2017 და „Coudere and Hachette Filipacchi Associés v. France“ [დიდი პალატა], №40454/07, §90, ECHR 2015). მნიშვნელოვანია განსხვავება ფაქტობრივ გარემოებებსა (როგორც ეს მოცემულია პედერსენი და ბაადსგაარდი დანიის წინააღმდეგ (Pedersen and Baadsgaard v. Denmark), No. 49017/99, 17.12.04. სალოვი უკრაინის წინააღმდეგ (Salov v. Ukraine), No. 65518/01, 6.9.05 (112-ე პარ.), სასამართლომ სადავო გარემოება დააკვალიფიცირა, როგორც „მცდარი ფაქტობრივი გარემოება“) და შეფასებით მსჯელობებს (როგორც ეს მოცემულია ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ცილისწამების მარეგულირებელ კანონმდებ-

ლობაში) შორის (იხ., იერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ (Jerusalem v. Austria), No. 26958/95, 27.2.01, 42-ე პარ.; ფელდეკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Feldek v. Slovakia), No.29032/95, 12.7.01, პარაგრაფები 76 და 85; კარმანი რუსეთის წინააღმდეგ (Karman v. Russia), No.29372/02, 14.12.06, პარ. 41; გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Gorelishvili v. Georgia), No. 12979/04, 5.6.07 (ეროვნული კანონმდებლობა არ ასხვავებდა ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებით მსჯელობას).

113. სასამართლომ, საქმეებში ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlick v. Austria (Application no. 11662/85 (N1), 1991 23.05.1991) გამოიწვნა განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს (იხ. დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I – De Haes and Gijssels, §42. თუმცა, როდესაც განცხადება უტოლდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის თანაზომიერება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“ გასაჩივრებული განცხადებისათვის; თუ არ არსებობს, ასეთი შეფასებითი მსჯელობა შეიძლება დადგინდეს, როგორც გადაჭარბებული (De Haes and Gijssels v. Belgium, §47; ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (№2), 1997 წლის 1 ივლისი, §33, ანგარიშები 1997-IV (Oberschlick v. Austria (no. 2), 1 July 1997, §33, Reports 1997-IV); ბრასილიერი საფრანგეთის წინააღმდეგ, №71343/01, §36, 11/04/2006 (Brasilier v. France, no. 71343/01, § 36, 11 April 2006) და ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლაურენსი და ჟული, §55 – Lindon, Otchakovsky-Laurens and July, §55). ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი ტონის გათვალისწინება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ განცხადებები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების თაობაზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას (იხ. Morice v. France [GC], no. 29369/10, §126, ECHR 2015).

114. ამდენად, ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო, შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავის

ვად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს (იხ. „დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ“, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I (De Haes and Gijssels). თუმცა, როდესაც განცხადება უტოლდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის თანაზომიერება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“ გასაჩივრებული განცხადებისათვის. თუ არ არსებობს, ასეთი შეფასებითი მსჯელობა შეიძლება დადგინდეს, როგორც გადაჭარბებული. ამიტომაც, ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აუცილებელია კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში იქნეს გათვალისწინებული გარემოებები და ზოგადი კონტექსტი, რომლის პირობებშიც გაკეთდა სადავო განცხადება (Lingens v. Austria, 8 July 1986, §40 ECHR).

115. ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ არასწორ ფაქტად მიიჩნია პოლიტიკური თანამდებობის პირის – მინისტრის საჯარო განცხადება, რომლითაც მან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრი ფულის მიღების სანაცვლოდ, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემაში დაადანაშაულა. მოცემულ საქმეზე ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადება შეიცავდა დადასტურებად ფაქტებს (თანხის მიღება არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემის მიზნით) და აღნიშნა, რომ კონვენცია არ მოითხოვდა პირებისაგან მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის მოთმენას და საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე სისხლისსამართლებრივ ქმედებებში საჯაროდ დადანაშაულებას ... როდესაც საზოგადოება მოელის გადამოწმებულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს (იხ. „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი № 18925/09, 20 სექტემბერი, 2018 წელი).

116. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ საქმეზე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება სადავოდ გამხდარი განცხადებით კასატორის სტიგმატიზების, ასევე მისთვის პროფესიული საქმიანობის ან სამსახურეობრივ კარიერაში ხელის შეშლის ფაქტი, მაგალითად, რომ იგი სხვა სამსახურში არ მიიღეს, არ დაანინაურეს ან დააქვეითეს, ანდა არ მიეცა ან რაიმე ფორმით შეეზღუდა საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეალიზების შესაძლებლობა და ასე შემდეგ. საქმეზე წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №1/54 გადაწყვეტილებას გ. ჩ-ას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უფადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ, საფუძვლად დაედო მის მიერ ს. გ-ის საქმის განხილვის ფაქტი.

117. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო განცხადებაში მოპასუხის მიერ გამოთქმულ ფრაზებში გადმოცემულია არა ფაქტები, არამედ, გამონათქვამის მთლიანი კონტექსტის შესაბამისად, უფრო მეტად განცხადების გამავრცელებლის აზრს, მოვლენის მიმართ მის პირად დამოკიდებულებასა და კომენტარს წარმოადგენს, რაც ამ გამონათქვამის აზრად და არა ფაქტად მიჩნევას განაპირობებს, შესაბამისად, საკასაციო პალატა დამატებით აღარ მსჯელობს მოსარჩელის მე-8 მუხლით დაცული უფლების შესაძლო დარღვევის საკითხზე (შეადრ: ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (№.2), საჩივრის ნომერი: 40660/08, 60641/08, გადაწყვეტილება 07.02.2012, Von Hannover v. Germany [GC]. ამიტომაც, გაზიარებული ვერ იქნება ამ განჩინების პ.50-ში მითითებული კასატორის პრეტენზია. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე კი, იმგვარი დებატი, რომლის ერთადერთი მიზანი სასამართლოს/მოსამართლის დისკრედიტაცია არ არის, მიუხედავად გამოთქმის მკვეთრად უარყოფითი და არასასურველი კონტექსტისა, არ შეიძლება უპირობოდ დაექვემდებაროს შეზღუდვას.

118. საკასაციო პალატა ზემოთაღნიშნული მსჯელობის – როდესაც დასაშვებია კრიტიკა – კიდევ უფრო ნათელსაყოფად მოიხმობს საქმეს, რომელშიც პირიქით, დადგინდა გამომხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა (პერუჯი იტალიის წინააღმდეგ (Peruzzi v. Italy), №39294/09, 30 ივნისი, 2015 წ.) და ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტორზე გარემოებებზე, რომელიც განსახილველი საქმისაგან განსხვავებულია: 20... წლის სექტემბერში ბ-მა პ-იმ (რომელიც ენეოდა იურიდიულ საქმიანობას) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მინერა ორი წერილი, რომლებშიც აღწერილი იყო, რომ თითქოს მოსამართლე X და სხვა მოსამართლეები გადანაცვლებების გამოტანის პროცესში იქცეოდნენ თვითნებურად და, ზოგჯერ, მიზანმიმართულად არღვევდნენ კანონს. მოსამართლე X-მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში ბ-ნი პ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი დამნაშავედ ცნობა, ცრუ, შეურაცხმყოფელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისათვის. გენუის საქალაქო სასამართლომ ბ-ნი პ-ი ბრალეულად ცნო და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი თვის ვადით. მომჩივანმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ მომჩივანს პატიმრობა შეუცვალა ფუ-

ლადი ჯარიმით. სასამართლომ ბ-ნ პ-ის დააკისრა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, მოსამართლე X-ის სასარგებლოდ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ გამოხატული პოზიცია ცდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და ის შეურაცხმყოფელი იყო. სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმას, რომ მოსამართლის რეპუტაცია მნიშვნელოვანია საზოგადოებაში და არ შეიძლება მისი შელახვა ამგვარი დაუსაბუთებელი განცხადებებით. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, თუმცა ის გამართლებული იყო მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესებით.

119. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ გაკეთებული სადავო განცხადება უკავშირდებოდა „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250.../...) საქმეზე მოსარჩელის ნაწილობრივ განსხვავებულ პოზიციას (აზრს), მით უმეტეს, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე მსჯელობის ფარგლებსა და საქმის კონტექსტში, რომელიც მედიამ თავიდანვე ვრცლად შუქდებოდა. შესაძლებელია, ეს კომენტარები მკაცრად მიჩნეულიყო, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მაინც წარმოადგენენ შეფასებით მსჯელობას (შეადრ: *Morice v. France* [დიდი პალატა], no. 29369/10, § 174, ECHR 2015; სუსგ №ას-625-593-2014, 20 მაისი, 2016 წელი).

120. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე საკუთარი უფლებების შემლახველად მიიჩნევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ინფორმაციის გავრცელება ხდება იუსტიციის მინისტრის მხრიდან, ვინაიდან იგი არის რა საჯარო მოხელე, მის და მისი ნათქვამის მიმართ საზოგადოებას განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნია. მოპასუხემ, იუსტიციის მინისტრმა (და არა რიგითმა ჟურნალისტმა) კი, თავის მხრივ, ცილისწამების გავრცელებით საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მოსარჩელის შესახებ (იხ., ამ განჩინების პ.41). საკასაციო პალატა, კასატორის დასახელებული პრეტენზიის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს საჯარო მოხელის სიტყვის თავისუფლების საკითხზე და აღნიშნავს, რომ საჯარო მოხელეების სიტყვის თავისუფლების საკითხის გადანყვეტისას სასამართლო სიფრთხილით იხილავს მათი „უფლება-მოვალეობების“ საზღვრებს, რომელსაც „სპეციალური მნიშვნელობა“ გააჩნია (იხ. აჰმედი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ahmed and others v. UK*), No. 22954/93, 12.9.95, 61-ე პარ. (ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეები); გლაზენაპი გერმანიის წინააღმდეგ (*Glasenapp v. Germany*), No. 9228/80, სერიაა, No. 104, 28.8.86

დაკოსიეკი გერმანიის წინააღმდეგ (*Kosiek v. Germany*), No. 9704/82, სერიაა, No. 105, 28.8.86 (მასწავლებლები); დედიეგონარფია ესპანეთის წინააღმდეგ (*De Diego Narfia v. Spain*), No. 46833/99, 14.3.02 (ეროვნული ბანკის თანამშრომლები). სასამართლო ცდილობს შეინარჩუნოს სამართლიანი ბალანსი სახელმწიფო და კერძო ინტერესებს შორის, რათა უზრუნველყოს საჯარო სამსახურის ნორმალური ფუნქციონირება (იხ., ფოგტი გერმანიის წინააღმდეგ (*Vogt v. Germany*), No. 17851/91, სერიაა, No. 323, 26.9.95, 53-ეპარ. იხილეთ, აგრეთვე, ოტტო გერმანიის წინააღმდეგ (*Otto v. Germany*), No. 27574/02, 24.11.05; კერნი გერმანიის წინააღმდეგ *Kern v. Germany*), No.26870/04, 29.5.07). ინფორმაციის გავრცელების უფლებასა და სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვის მოვალეობას შორის კონფლიქტის შემთხვევაში, გადანყვეტილების მიღება საკმაოდ რთულდება. საჯარო მოხელის დაცვა შესაძლებელია კონვენციის მე-10 მუხლით (გუია მოლდოვის წინააღმდეგ (*Guja v. Moldoava*), No. 14277/04, 12.2.08, 72-ემუხლი). საჯარო მოხელის ან საჯარო სექტორის თანამშრომლის მიერ სამუშაო ადგილას არსებული კანონდარღვევის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, შესაძლებელია, გარკვეულწილად დაცული იყოს მე-10 მუხლის ფარგლებში. მსგავსი შემთხვევა შესაძლებელია განვიხილოთ მაშინ, როდესაც თანამშრომელი ან საჯარო მოხელე არის ერთადერთი ან მცირე ჯგუფის წევრი, რომელმაც იცის სამსახურში არსებული მდგომარეობის შესახებ და ყველაზე უკეთ შეუძლია იმოქმედოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და შეუძლია გააფრთხილოს დამსაქმებელი ან მთლიანად საზოგადოება. საქმეში კუდაშკინა რუსეთის წინააღმდეგ (*Kudashkina v. Russia*), მომჩივანი მოსამართლე თანამდებობიდან გადააყენეს მას შემდეგ, რაც მან მედიით გააკრიტიკა რუსეთის მართლმსაჯულება. მისი კრიტიკა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ იგი, სავარაუდოდ, გარეშე ზეგავლენის შედეგად, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის გადანყვეტილებით, ჩამოაცილეს პოლიციის გამომძიებლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვას. სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი საჩივრისათვის არსებობდა სათანადო ფაქტობრივი საფუძველი, ვინაიდან „სხვადასხვა ორგანოების კონფიდენციალური ანგარიშების თანახმად“, ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლებმა ზეგავლენა მოახდინეს მისი საქმის განხილვისგან ჩამოცილებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეების (განსაკუთრებით კი, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების) ერთგულებისა და დისკრეციულობის ვალდებულება მოითხოვს, რომ სწორი ინფორმაციის გავრცელება კი უნდა განხორციელდეს „ზომიერად და შესაბამისი მტკიცებულებების თანხლებით“. სასამართლომ

მიიჩნია, რომ მომჩივნის განცხადებები წარმოადგენდა არა არასასურველ პირად შეურაცხყოფას, არამედ სამართლიან კომენტარს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე. შესაბამისად, სასამართლომ უმრავლესობით, ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ, დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

121. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და თითოეული ინდივიდის განვითარების უმთავრეს საფუძველს. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაშვებული ჩარევის აუცილებლობის არარსებობისას, ნორმით დაცულ სფეროში ხვდება არა მხოლოდ „უწყინარი“, „უვნებელი“ გამონათქვამები, არამედ „შეურაცხმყოფელი“, აღმაშფოთებელი“, „შოკისმომგვრელი“ მოსაზრებები. ეს არის პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები, რომლის გარეშეც, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა (იხ., OTTO PREMINGER INSTITUTE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 20 სექტემბერი, 1994 წელი, განაცხადის №13470/87). ამ საკითხთან მიმართებაში, თავისი პრინციპული პოზიცია სასამართლომ უფრო ადრე დააფიქსირა საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (HANDYSIDE v. UNITED KINGDOM, სტრასბურგი, 07 დეკემბერი, 1976 წელი განაცხადის №5493/72). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხის განცხადებები არ წარმოადგენს დაცულ სიკეთეში – ადამიანის პატივისა და ღირსების დაცულ სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

122. ამასთან, ამ განჩინების პ.37-ში კასატორი აღნიშნავს, რომ მოპასუხის მითითება მასზე, რომ „... დიახ, ეს არის მოსამართლე რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წამოვლენილი წინამთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ ს. გ-ი არავის მოუკლავს, ის ბუჩქზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, ნებისმიერ ადამიანს გაუჩენდა იმის განცდას, რომ ადგილი ჰქონდა ასეთ მოვლენას, შემთხვევას (ანუ ფაქტს) თითქოს მოსამართლე ი. ა-ი ევროსასამართლოში სიტყვით გამოდიოდა და აკეთებდა განცხადებას მასზე, რომ გირგვლიანი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით. გარდა ამისა, მოპასუხე მტკიცებითი და დაბეჯითებითი ფორმითა და ტონით აკეთებდა ამგვარ განცხადებას. კასატორის ზემოაღნიშნულ (ამ განჩინების პ.37) პრეტენზიას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, როგორც სადა-

ვო გამონათქვამის „ფაქტის“ სასარგებლოდ გადასაწყვეტად და აღნიშნავს, რომ „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადის №250.../...) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (თარგმნილია ქართულ ენაზეც), რომელთან დაკავშირებითაც გავრცელდა მედიასაშუალებებსა და ინტერნეტ რესურსზე სადავო გამონათქვამი, წარმოადგენს პროაქტიულ ინფორმაციას, რომელზედაც ფართო საზოგადოებას აქვს წვდომა და მათ დაუბრკოლებლად შეუძლიათ გაეცნონ როგორც აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო, ისე სარეზოლუციო ნაწილს და მოსარჩელის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრსაც, შესაბამისად, კასატორის არგუმენტი, საზოგადოებას გაუჩნდებოდა იმის განცდა, რომ თითქოს მოსარჩელე სტრასბურგის სასამართლოში გამოდიოდა სიტყვით და ამტკიცებდა ყოველივეს, საფუძველსაა მოკლებული.

123. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „მესლოტი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Meslot v. France 50538/12, 09.01.2018), რომელშიც მომჩივანს, რომელიც პოლიტიკოსია და რამდენჯერმე იყო პარლამენტის წევრი 2002-2017 წლებში, 2006 წელს გამოძიებელმა მოსამართლე დ-მ, (რომელიც იკვლევდა საჩივარს არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით) ოფიციალურად წაუყენა ბრალი. 20... წლის ივნისში, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მომჩივანმა სიტყვით გამოსვლის დროს გააკეთა შემდეგი სახის განცხადება: „მე პატივს არ ვცემ მოსამართლე დ-ს.“, რომელიც „გადაიქცა პოლიტიკურ კომისარად“, „მოქმედებდა უფლებამოსილების გადაჭარბებით“ და „ჩირქს ცხებდა მართლმსაჯულების სისტემას“, ასევე იყო პირი, რომლის „წნობაც არ შეიძლებოდა“. აღნიშნული განცხადებებით, პროკურორი აკრიტიკებდა ორი მძარცველის გათავისუფლებას „მემარცხენე მოსამართლეების“ (უთითებდა იმავე მოსამართლეს) მიერ, რომლებსაც „ერჩივნათ თავს დასხმოდნენ მემარჯვენე დეპუტატებს ვიდრე კრიმინალებს“. მოგვიანებით, მოსამართლე დ-მ შეიტანა სარჩელი მომჩივნის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს დაეკისრა ჯარიმა 1000 ევროს ოდენობით, სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველით. აღნიშნულ საქმეში ევროსასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში განიხილა ჩარევის პროპორციულობა და აღნიშნა, რომ მომჩივანმა, როგორც დეპუტატმა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სადავო კომენტარები გააკეთა ორასი ადამიანის წინაშე, არჩევნების დროს პოლიტიკური შეხვედრისას წარმოთქმულ სიტყვაში. შესაბამისად, მისი სიტყვები მიმართული არ იყო უშუალოდ მოსამართლე დ-ს მიმართ და არამედ გააჩნდა საკუთარი შეხედულება უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, რადგან მომჩივანმა ისაუბრა კონკრეტულ შემთხვევაზე

და გაკიცხა მართლმსაჯულების უძღურება დამნაშავე პირებზე დამოკიდებულების გამო. მისი კომენტარები ასევე ეხებოდა ერთ-ერთ სამართლებრივ შემთხვევას, რომლის მონაწილედ თავად იყო და რომელმაც მიიპყრო მედიის ყურადღება. აღნიშნული კომენტარებით მომჩივანი მიზნად ისახავდა მოსამართლის პირად შეურაცხყოფას: მომჩივანს არ გაუკრიტიკებია დ-ს როგორც გამომძიებელი მოსამართლის მოვალეობის შესრულება არჩევნების გაყალბების საქმეში, თუმცა წარმოადგინა იგი და მთლიანად მართლმსაჯულების სისტემა, როგორც პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებებზე დამოკიდებული; ყველა კომენტარი ეფუძნებოდა მის პირად შულლს გამომძიებელ მოსამართლესთან, რომლის დამცირებაც მან უკვე სცადა როდესაც გამოაქვეყნა ტრაქტატები რამოდენიმე თვით ადრე, იმ დროს როცა დებატების საგანს წარმოადგენდა მხოლოდ აღნიშნული მოსამართლე და მისი ქცევა. რაც შეეხება სხვა კომენტარებს, ისინი შეფასდა უფრო როგორც სუბიექტური შეფასება ვიდრე ფაქტობრივი განცხადებები, მათი ზოგადი ფონისა და კონტექსტის გათვალისწინებით, ისინი ეფუძნებოდნენ იმ ერთადერთ ფაქტს, რომ მომჩივანს ბრალი დააკისრა მოსამართლე დ-მ, აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მოსამართლის მიმართ და არ წარმოადგენდა მომჩივნის განზრახვას გაეკრიტიკებინა მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება. შესაბამისად, ვინაიდან ტერმინი საჯარო ინფორმაცია არ განიმარტება ფართოდ, რომელიც დეპუტატის განცხადებებს მიიჩნევდა როგორც საიმედოს და სარწმუნო მონაცემებს, მიზანშეწონილი იყო იმ დასკვნის გაკეთება, რომ დეპუტატის კომენტარები და განცხადებები წარმოადგენდნენ ნებაყოფლობით პირად შეტევას და ისინი შეიძლება არ ყოფილიყო სიმართლე, მომჩივნის მხრიდან რაიმე ობიექტური ახსნის არარსებობის გამო“.

124. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან არ განხორციელებულა პირადი შეტევა მოსარჩელის მიმართ, არამედ მოპასუხემ გამოთქვა თავისი აზრი იმ საქმეზე, რომელიც როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა, საზოგადოების მაღალი ინტერესით გამოირჩეოდა. შესაბამისად, ამ განჩინების 3.51-ში გამოთქმული კასატორის მოსაზრება გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან განსახილველ საქმეში ადგილი აქვს, „მესლო საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Meslot v. France 50538/12, 09.01.2018) საქმისაგან განსხვავებულ შემთხვევას.

125. კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გათვალისწინებული დამოუკიდებელი და მი-

უკერძოებელი სასამართლო განხილვის უფლება იმის გამო, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განმხილველი მოსამართლე ზ. მ. მოსამართლედ დანიშნულ იქნა 3 წლის ვადით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე ექვემდებარება მისი საქმიანობის ყოველწლიურ შემოწმებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან (ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 36.44). ასეთ პირობებში, კასატორს მიაჩნია, რომ 3 წლიანი ვადა, ისე მოსამართლის ყოველწლიური შემოწმება, არ წარმოადგენს იმ გარანტიებს, რასაც მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და პრეცედენტული სამართალი. შესაბამისად, 20... წლის ... ოქტომბერს (როდესაც მსგავსი წესით გამწესებულ 4 მოსამართლეს უარი ეთქვა უვადოდ დანიშვნაზე) მოსამართლე ზ. მ-ი იმყოფებოდა სათათბიროდ და მსჯელობდა ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2017 წლის 25 ოქტომბერს. ცხადია, რომ მოსამართლეთა დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ ზ. მ-ისთვის ცნობილი იქნებოდა გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში და მას შეეძლო თვალი მიედევნებინა მის მსგავსად დანიშნული მოსამართლეების შემდგომი გადანიშვნის საკითხების გადაწყვეტისათვის. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.59).

126. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი ერთმანეთს უკავშირებს პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის, ზ.მ-ის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 11 მაისის №1/87 გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 20... წლის ... ოქტომბერს მიღებასა და ზემოსხენებული 4 მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 20... წლის ... ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით არ წარმოადგენს საფუძვლიან არგუმენტს მოსამართლე ზ. მ-ის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დასაყენებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

127. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავი ეძღვნება სასამართლო ხელისუფლებას, რომლის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები. საქართველოს კონსტი-

ტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის არა აქვს უფლება მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“. მოსამართლისთვის თანამდებობაზე მისი ყოფნის 3-წლიანი ვადის დაწყებისთანავე ცნობილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის პროცედურა, რომლის გავლაც იქნება აუცილებელი მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გასამწესებლად, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი, ასევე მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების მსურველ კანდიდატთა შეფასების „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი პროცედურა მაქსიმალურად უზრუნველყოფენ საბჭოს წევრთა მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობასა და კანდიდატთა პროფესიონალურ შეფასებას, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის მაღალი თანამდებობის პირი სად და როგორ საჯარო განცხადებას გააკეთებს, რაც უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ ხელისუფლების შტოებისგან დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. გარდა ამისა, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი მოსამართლეებზე საქმეების შემთხვევითი განაწილების პრინციპი გამორიცხავს კონკრეტული საქმის განსახილველად რომელიმე თანამდებობის პირის მიერ მისთვის სასურველი და, შესაბამისად, მიკერძოებული მოსამართლის

შერჩევას, მიუხედავად იმისა, ვნლით თუ უვადოდ არიან ისინი გამ-
ნესებულნი და სამართალწარმოების პროცესში მონაწილე მხარე-
ებს რა თანამდებობა უკავიათ, რაც მოსამართლეების დამოუკი-
დებლობისა და მიუკერძოებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
გარანტიაა. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხ-
ლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის აქვს უფლება მოსთხოვოს
მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. შესაბამისად, სა-
კასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღ-
ლესი საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებები 4 მო-
სამართლის უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ, ზ. მ-ზე
ზეგავლენას ვერ მოახდენდა და არც იმის განცდას ან შიშს შეუქ-
მნიდა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე მიღებული ნებისმიერი გა-
დაწყვეტილება მის სამსახურებრივ კარიერაზე დადებითი ან უარ-
ყოფითი თვალსაზრისით გავლენას მოახდენდა, რადგან მოპასუხე
მის მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეზე საქართველოს იუსტი-
ციის მინისტრია. საქართველოს კანონმდებლობით იუსტიციის მი-
ნისტრს არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი ზემოქმედების ბერკე-
ტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირება-
ზე, როგორც ასეთზე, და ასევე მოსამართლეების გამწესებასთან
დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ამასთან
ერთად გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობა უზ-
რუნველყოფს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვე-
ტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას სააპელაციო სასამარ-
თლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამდენად, კა-
სატორის მოსაზრება, განსახილველ საქმეზე პირველი ინსტანცი-
ის სასამართლოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონ-
ვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევასთან დაკავში-
რებით, მოკლებულია საფუძველს.

128. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-
ლატას მიაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თ. წ-ის
მიერ 20... წლის ... სექტემბერს გაკეთებული სადავოდ გამხდარი
განცხადება, რომ „მოსარჩელე ადამიანის უფლებათა ევროპულ სა-
სამართლოში ამტკიცებდა, რომ ს. გ-ნი არავის მოუკლავს, ის ბურ-
ქებზე ნაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით“, არ წარ-
მოადგენს ცილისწამებას და საკითხი უნდა გადაწყდეს სადავო გან-
ცხადებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, ვინა-
იდან სადავოდ გამხდარ გამონათქვამში სახეზეა არა პირისთვის
ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი არსებითად მცდარი
ფაქტის შემცველი განცხადება, არამედ აზრი, რომელიც უკავშირ-
დება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“
(განაცხადის №250.../..) დადგენილი დარღვევების ნაწილში ადამი-

ანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას და კასატორის, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში „ად ჰოკ“ მოსამართლის მიერ, ზემოხსენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევასთან და 38-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გამოხატულ პოზიციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. სადავო განცხადება სრულად თავსდება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულ „აზრის“ დეფინიციასში, რომლის მიხედვითაც აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“, რაც 1-ლი მუხლის „ტერმინთა განმარტება“ „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლების საფუძველია. რამდენადაც სადავოდ გამხდარი განცხადებით ადგილი არ ჰქონია კასატორის ცილისწამებას, მისი პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

129. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

130. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ გასაჩივრებულია

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20... წლის ... ივლისის განჩინება (მოსამართლის თვითაცილება) და 20... წლის ... ივლისის საოქმო განჩინება (20... წლის ... აპრილს ტელეკომპანია „ი.“ გასული სიუჟეტი (გადაცემა „პ.“) და ამ სიუჟეტის ამსახველი მოკლე წერილობითი ინფორმაციის (რ. და ი.) ვებ.გვერდებზე გავრცელების ამსახველი მასალის საქმისათვის დართვაზე უარი).

131. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 ივლისის განჩინების (მოსამართლის თვითაცილება) მიმართ კასატორის პრეტენზია მითითებულია ამ განჩინების პპ:55-59-ში.

132. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედი და მართლმსაჯულების ფუნქციონირების უმთავრესი პრინციპია, ხოლო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა მოსამართლის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით... იმავე პრინციპს განამტკიცებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომლის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

133. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას საქმის სააპელაციო სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობით განხილვის შესახებ და აღნიშნავს, რომ თვითაცილება მოსამართლის უფლებაა და ევროსასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებითაა განმარტებული ამგვარი ქმედების მაღალი სტანდარტი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, მოსამართლე მიიჩნევს, რომ მისი შინაგანი რწმენა ვერ იქნება ემოციისაგან თავისუფალი და გონიერი დამკვირვებლის თვალში, შეარყევს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უმნიშვნელოვანეს იდეას.

134. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაშია განმარტებული მოსამარ-

თლის აცილების საფუძვლების შემონების მეთოდების შესახებ, რომელიც სუბიექტური და ობიექტური ტესტითაა ცნობილი (იხ. ვეტსტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; მიქალეფი მალტის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება; პადოვანი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება; პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება).

135. სუბიექტური ტესტით მოსამართლის აცილების შემონებისას სახეზე არ არის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველია, არამედ ეს არის დაუდასტურებელი გარემოება, ემოცია, განწყობა, რომლის არსებობა დააბრკოლებდა სასამართლოს მიუკერძოებლობის მიღწევადობას.

136. ობიექტურობის ტესტი კი, უმეტესწილად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის. ობიექტურად გამართლებადი ეჭვის წარმოშობისათვის ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად აუცილებელია ისეთი დამატებითი გარემოებების წარმოდგენა, რომლებიც მიუთითებს საქმეში მონაწილე მხარესთან მოსამართლის უშუალო კავშირზე (მაგ., არსებულ დავასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა ან წარმომადგენლობა) ან რაიმე ფორმით დამოკიდებულებაზე (მაგ., იერარქიული, ფინანსური, სამსახურებრივი და სხვ.), ან კონკრეტული საქმის შედეგის მიმართ მოსამართლის ინტერესზე (პირადი, ქონებრივი და სხვ.). ამასთან, ობიექტურობის ტესტის მიხედვით, მიუკერძოებლობის შეფასებისას გადამწყვეტია არა მითითებული გარემოების რეალურად არსებობა ან მხარის მიერ მისი შეფასება, არამედ ის თუ მხარის ეჭვი გარეშე გონიერი დამკვირვებლის პოზიციიდან რამდენად არის გამართლებადი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ არის ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლე თ. ს-ი-ნ-ის თვითაცილება არ უნდა შეფასდეს საქმის განხილვისაგან ხელოვნულ ჩამოცილებად (იხ., საკასაციო პრეტენზია), რადგან განჩინება თვითაცილების შესახებ მოტივირებულია, როგორც სამოსამართლო ქცევის ბანგალორის საერთაშორისო პრინციპების დაცულობის მიზნით, რომლის მი-

ხედვით მართლმსაჯულებისადმი სანდოობის ტესტი ვერ შეასრულებს საკუთარ ფუნქციას საზოგადოებაში, თუკი არსებობს მინიმალური ექვიც კი, გადანყვეტილების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი. დადგენილია, რომ თავითაც ილების განჩინება დასაბუთებულია მოსარჩელესთან (აპელანტი) მეგობრული ურთიერთობის არსებობით, კერძოდ, თვითაც ილების განჩინებაში მოსამართლე აღნიშნავს, რომ 2006 წლიდან ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ხოლო 2010 წლიდან მუშაობას განაგრძობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე უფლებამოსილებას აგრეთვე მასთან ერთად ახორციელებდა მოსარჩელე (აპელანტი). სწორედ დასახელებული გარემოებებითა და მოსამართლის ქცევის მაღალი სტანდარტის შენარჩუნების, ასევე, პასუხისმგებლობამ არ იქნეს დაშვებული რაიმე გავლენა საქმის განხილვასთან დაკავშირებულ მოვლენებზე, განაპირობა თვითაც ილების უმართლის ამგვარი მოქმედება.

137. კასატორი აგრეთვე ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა საქმეზე დართულიყო: ა) ტელეკომპანია „ი.“ 20... წლის ... აპრილის ინტერვიუ პარტია „ო.“ თავმჯდომარესთან, რომელიც გადაცემის დიდ ნაწილს უთმობს „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე საუბარს.

138. კასატორი აღნიშნავს, რომ ამ სიუჟეტით იგი ცდილობდა იმის დადასტურებას, რომ ზემოხსენებულ საქმესთან ნეგატიურად დაკავშირება, მით უფრო, ცილისწამების შედეგად, იწვევს ყველა ადამიანის მიმართ უარყოფით შედეგებს, სახელის გატყუვას, სტიგმატიზებას, მისთვის ამა თუ იმ იარლიყის მიკვრას.

139. საკასაციო პალატა დაუსაბუთებულობის გამო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას და მიაჩნია, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას (იხ., სხდომის ოქმის ჩანაწერი 10.45სთ) შუამდგომლობის უარყოფის ნაწილში.

140. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმესთან მოსარჩელის ნეგატიური დაკავშირება და ამით, მოსარჩელის სტიგმატიზება, რაც შეიძლება იკვეთება ამ კონკრეტული ინტერვიუს ჩანაწერიდან, წარმოადგენს მხოლოდ მოსარჩელის შეხედულებას, მის მოსაზრებას. სასამართლო კი, მტკიცებულებათა შეგროვების საკითხს წყვეტს სსსკ-ის მე-3, მე-4, 102-ე და 104-ე მუხლების შესაბამისად. სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოს ანიჭებს უფლებას, არ მიიღოს, არ გამოითხოვოს ან საქმიდან ამოიღოს მტკიცებულებები, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

141. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

142. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება, ასევე ამავე სასამართლოს 2019 წლის 12 ივლისის განჩინება (მოსამართლის თვითაცილება) და 2019 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინება (ვიდეო მასალის საქმისათვის დართვა).
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge